# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№068 (12747) 24 მარტი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი






## დიდი კუში და ბოროტი ენები

ტოტალიზატორი და საქართველოს ჩემპიონატის უცნაურობანი » 2



## უმთავრესი მიზანი მსოფლიო თასის საგზურია

ინტერვიუ ტიმ ლეინთან » 12

## 5000 დოლარი

რუსეთის დამარცხებისთვის



### დვალიშვილის შესაშური სტარტი

ლეგიონერები » 5



### პელეს სკანდალური შეცდომა

მსოფლიო ფეხბურთი » 6-11



### ნადალის მეცამეტე მასტერსი

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა » 16

# მხოლოდ მარტის ჭირვეულობა?..

## დიდი კუში

საიუბილეო ჩემპიონატში მომხდარი ბოლოდროინდელი მოულოდნელობები, ალარც კი ვიცით, რას ან... ვის „დავაბრალოთ"; ინტრიგამ მოიმატაო — ხშირად ვახსენებდით და მარტის ჭირვეულობაც არ გვავიწყდებოდა; დაბოლოს, „ბოროტი ენების" მოტანილი ამბავიც, ტოტალიზატორს რომ უკავშირდება. გნებავთ, დამთხვევა დაარქვით, გნებავთ — სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ფეხბურთელთა ნერვიულობა, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით: ზედიზედ ორი ტურია, ჩემპიონობის უმთავრესი ორივე კანდიდატი საკუთარ მატჩებს ფრედ ამთავრებს; თანაც, ამ ოთხივე შემთხვევაში წყვილში უდავო ფავორიტებად სწორედ „ვიტ ჯორჯია" და „დინამო" მიიჩნეოდა. ჰოდა, „ბოროტ" ხალხს რა გამოლევს (იმათ ვგულისხმობთ, ქართული ფეხბურთის „მომავლის" რომ არ სჯერათ), რომელთა მოსაზრებითაც ბოლო ორი ტურის მოულოდნელობები... პირდაპირ, ირიბად, მიხრილად, მოხრილად, ნაწილობრივ, დაფარულად (და ასე შემდეგ) დაკავშირებულია ტოტალიზატორთან, უფრო ზუსტად, იმ ფაქტთან, რომ ქართული საბუქმეიქერო „ბაზრის" უდავო ლიდერმა, ტოტალიზატორმა „აჭარამ" ჩვენს ჩემპიონატზე ფსონების მიღება დაიწყო. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ფსონებზე გარკვეული შეზღუდვები ჯერჯერობით არ არის; ანუ, ნებისმიერს შეეძლო ერთ ბილეთში „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" მოგებები დაეწერა და ზედ „მიება" სხვა „უეჭველი" თამაშებიც: „ბაიერნის", „ინტერის", „რეალისა" და „ბარსელონას" გამარჯვებები. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ჩემპიონატის ფსონები ერთობ ჭკვიანი და, რაც მთავარია, მცოდნე კაცის შედგენილია. ანუ, ფსონების ავტორს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ჩვენი ჩემპიონატის მიმდინარეობა და, რაც მთავარია, თითოეული გუნდის სატურნირო მდგომარეობის გარდა, ეტყობა, ბევრ სხვა ნიუანსსაც ითვალისწინებს. ჰო, მთავარი კინაღამ დაგვავიწყდა: არავინ იფიქროს, რომ ხელაღებით ვამტკიცებდეთ, თითქოსდა, ტოტალიზატორ „აჭარასა" და ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის რაღაც ფარული „გარიგებები" ხდებოდეს; ეს, უბრალოდ, აბსურდია, მით უმეტეს, რომ თვითონ იდეა, ჩვენი აზრით, ცუდი კი არა, მისასალმებელია. ნუ გამოვრიცხავთ მოვლენების ისეთ განვითარებასაც, ჩვენს ჩემპიონატზე ფსონების მიღებამ... სტადიონებზე ქომაგთა რაოდენობის გაზრდაც რომ გამოიწვიოს. ანუ, ჩვეულებრივი მოვლენაა: კაცს, დავუშვათ, „დინამოს" გამარჯვებაზე სერიოზული თანხა აქვს დადებული, ჰოდა, წავა სტადიონზე და ისე უქომაგებს „დინამოსაც" და... საკუთარ ბილეთსაც. მოკლედ, წამოწყება უფრო პოზიტიურ გრძნობებს გვიტოვებს, ვიდრე — ნეგატიურს; მით უმეტეს, რომ საქართველოს ჩემპიონატზე ფსონებს პოპულარული და მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საბუქმეიქერო კანტორა Betandwin-იც იღებს. რაც შეეხება „ბოროტ ენებს", გარკვეულ ეჭვებსა თუ, უბრალოდ, დამთხვევებს, ყოველივე ამასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გვაქვს; თანაც, არც ნოვაციაა და, როგორც ვიცით, იმავე ინგლისსა თუ იტალიაში დიდი ხანია ეს წესი მოქმედებს. საქმის არსი კი შემდეგში მდგომარეობს: ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და, რაც მთავარია, მსაჯებს, უნდა ეკრძალებოდეთ ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე ფსონის დადება. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას გარკვეული პროცედურის ჩატარება დასჭირდება; სამაგიეროდ, ყოველგვარი ეჭვი მოისპობა და „ბოროტი ენების" ნაამბობსაც ჭირვეული მარტი თან „გაიყოლებს"...

## ბალანსი შენარჩუნებულია

ნინა ტურს „არა-ჩვეულებრივი" ვუწოდეთ, იმდენად მოულოდნელი შედეგით დაფიქსირდა ერთდროულად ორი შეხვედრა. ახლა რაღა ვქნათ, XXV ტური რა ეპითეტით შევამკოთ? კვლავაც, ორი, ზომაზე მეტი სენსაცია რომ ჰქვია, ისეთი შედეგი; კვლავაც განიავებული შანსები — ჯერ „დინამოს", მერე „ვიტ ჯორჯიას" „შესრულებით"; ცხინვალის „სპარტაკის" მორიგი სასწაული — **სერგო გაბელაიას** გუნდი უკანასკნელ ორ ტურში ხომ ჯერ „დინამოს" ეთამაშა ფრედ, მერე — „ვიტ ჯორჯიას". მაგრამ, ეს კიდევ არაფერი: XXV ტური თუ მის მერე განვითარებული მოვლენები კიდევ კარგა ხანს იქნება სალაპარაკო თემა. შევეცდებით თანამიმდევრულად მივყვეთ, ოღონდ, ერთ რამეზე ახლავე უნდა „შევთანხმდეთ": ტურის ზოგიერთ მატჩზე სათქმელი არც არაფერია! უფრო ზუსტად, იმავე „ბორჯომისა" თუ „მესხეთის" ფინანსურმა პრობლემებმა პიკს კი არ მიაღწია, გადააჭარბა კიდეც. ჰო, ძალიან ცუდი ტენდენცია რომ დაიწყო, უკვე გრძელდება და ამჟამად მხოლოდ „ბორჯომთან" კი არა, უკვე „მესხეთთანაც" შეიძლება ნებისმიერმა გუნდმა სამი ქულა წინასწარ დაგეგმოს და აუღელვებლად მოიპოვოს კიდეც. სამწუხაროდ, „ბორჯომის" საშველი, ალბათ, არ იქნება. აი, **კობა თედიაშვილის** მართლაც, არცთუ ურიგო გუნდს იქნებ ვინმემ მოწყალების თვალით გადახედოს...

„სპარტაკმა" რომ „ვიტ ჯორჯიასთან" ფრედ ითამაშა, ამაზე მეტი მოვლენა ტურში რა უნდა ყოფილიყო; ანდა ის, რომ „გაგრა" მოედანზე ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გაიყვანა — უკრაინელმა **ვიქტორ კაშჩეიმ**. სხვათა შორის, კაშჩეის გარდა „გაგრას" შემადგენლობაში ორი ახალწვეულიც გამოჩნდა: 17 წლის ნიგერიელი **ოვონიკოკო** და გამოცდილი **ლაშა ნოზაძე**. „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" ყოფილი კაპიტანი თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო „საყრდენად" ითვლებოდა, მერე ყაზახეთს მიაშურა და აი, ისევ სამშობლოში დაბრუნდა. ეტყობა, „გაგრას" ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ მხოლოდ 18-19 წლის ბიჭებით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდებოდათ და უკრაინელი **კოზლენკოსა** და ნოზაძის დამატებით გამოცდილ ფეხბურთელებზეც აღარ თქვეს უარი.

კაშჩეის წარსულზე თუ მის საფეხბურთო ხედვაზე მომავალში ვისაუბროთ; ახლა კი XXV ტურის უმთავრეს მოვლენაზე: „ლოკომოტივთან" თამაშის მერე თბილისის „დინამოს" მწვრთნელი შეეცვალა! ჯერ, მშრალი სტატისტიკა მოვიშველიოთ: ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე მეექვსე გუნდში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. თანაც, იმედია, სხვები არ გვიწყენენ თუ ვიტყვით, რომ „დინამოში" მომხდარი ნებისმიერი საკადრო გადაადგილება უკვე გარკვეულ აჟიოტაჟს იწვევს.

კაშჩეიზე ვთქვით, მომავალში დაწვრილებით ვისაუბრებთო და როგორ ფიქრობთ, **ცობელს** გვერდს ავუვლით? ყველაზე უცნაური და პარადოქსული კი ის გახლავთ, რომ გერმანელი მწვრთნელი საკუთარი პოსტიდან ისე წავიდა (თუ წასვლა აიძულეს — ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს), „დინამო" ცხრილის სათავეში დატოვა! ჰო, სეზონის დაწყებიდან პირველად სწორედ ამ ტურში მოხდა, რომ მოქმედი ჩემპიონი ერთპიროვნულ ლიდერად მოგვევლინა, ოღონდ, მხოლოდ... ერთი დღით! აი, რაც შეეხება ცობელის უკანასკნელ მატჩს (როგორც მერე გაირკვა), „დინამომ" კვლავაც გაორებული შთაბეჭდილება დატოვა. გასაგებია, რომ გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა; ისიც, ალბათ, გასათვალისწინებელია, რომ მოედნის საფარის მდგომარეობა იდეალურისგან შორს იყო; მაგრამ, ისე, როგორც წინა მატჩებში, მოქმედი ჩემპიონი კვლავაც არაორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მთელი მატჩის განმავლობაში სამი ექვს-შვიდწუთიანი „აფეთქებები" და ამ დროს შექმნილი სახიფათო მომენტები: აი, ეს იყო სულ „დინამოს" შემტევ არსენალში. თუმცა, იმ დღეს უშეცდომოდ თამაშობდა „ლოკომოტივის" მეკარე და კაპიტანი **გიორგი ლომაია**, ვინც საკუთარი გუნდი რამდენიმე ეპიზოდში აშკარა გოლს გადაარჩინა. საერთოდაც, მასპინძელთა ახალგაზრდა თავკაცებს **გიორგი კიკნაძესა** და **ზაზა ზამთარაძეს** აშკარად სწორი ტაქტიკა ჰქონდათ მოფიქრებული მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ. „ლოკომოტივში", ლომაიას გარდა, ორივე მარჯვენაფლანგელის აღნიშვნაც გვინდა: **დაჩი ფოფხაძემ** და **გიორგი კახელიშვილმა** საკუთარი მეურვეები აშკარად დაჩაგრეს; ჩინებულად გაისარჯნენ მასპინძელთა ცენტრალური ნახევარმცველები — **ირაკლი ჩირიკაშვილი** და **კახა მახარაძე**; სხვათა შორის, ორივე ყოფილი „დინამოელია"...

განსაკუთრებით, მახარაძის თამაში უნდა გამოვარჩიოთ: მასპინძელთა 21 წლის ნახევარმცველი 90 წუთის განმავლობაში მოედანზე, უდავოდ, საუკეთესო გახლდათ!

| XXV ტური | |
|---|---|
| **21 მარტი, შაბათი** | |
| ბორჯომი-სიონი | 1:2 |
| გაგრა-მგლები | 2:2 |
| ლოკომოტივი-დინამო | 0:0 |
| **22 მარტი, კვირა** | |
| ზესტაფონი-მესხეთი | 3:0 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |

*ოლიმპი ისვენებს*

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 23 | 14 | 8 | 1 | 37-12 | 50 |
| 2. დინამო | 23 | 15 | 4 | 4 | 48-17 | 49 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 13 | 4 | 6 | 29-15 | 43 |
| 4. ოლიმპი | 22 | 11 | 9 | 2 | 25-11 | 42 |
| 5. სიონი | 23 | 8 | 9 | 6 | 24-20 | 33 |
| 6. ლოკომოტივი | 22 | 8 | 5 | 9 | 24-21 | 29 |
| 7. მგლები | 23 | 7 | 5 | 11 | 26-29 | 26 |
| 8. მესხეთი | 23 | 5 | 8 | 10 | 15-29 | 23 |
| 9. გაგრა | 23 | 4 | 6 | 13 | 16-37 | 18 |
| 10. სპარტაკი | 22 | 3 | 6 | 13 | 20-37 | 15 |
| 11. ბორჯომი | 23 | 2 | 6 | 15 | 17-53 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| თოდუა (მგლები) | 10 |

**XXVI ტური**

**4 აპრილი, შაბათი**

მგლები-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი

**5 აპრილი, კვირა**

დინამო-ოლიმპი
ბორჯომი-გაგრა
სიონი-მესხეთი

*ზესტაფონი ისვენებს*

აპრილში თამაშები 16 საათზე დაიწყება

### XXV ტურის სიმბოლური ნაკრები

ბიბლიოთეკა

მწვრთნელი: სერგო გაბელაია (2) (სპარტაკი)

გ. ლომაია (8) (ლოკომოტივი)

ფოფხაძე (ლოკომოტივი) | გ. კვახაძე (სპარტაკი) | შ. ღონღაძე (სპარტაკი)

დიაკვნიშვილი (ლოკომოტივი)

ბ. დათუნაიშვილი (მგლები) | ჟანგიძე (2) (სპარტაკი)

მახარაძე (3) (ლოკომოტივი) | ჩირიკაშვილი (4) (ლოკომოტივი)

გელაშვილი (5) (ზესტაფონი) | ძიძია (2) (მგლები)

### ტურის ფეხბურთელი — კახა მახარაძე




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამ ნიჭიერ ბიჭს ადრეც ეტყობოდა, ფეხბურთის თამაში რომ შეეძლო — აი, იმ პერიოდს ვიხსენებთ, 17 წლისას თბილისის „დინამოში" რომ ჰქონდა დებიუტი. ისე, გენსაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს — მამა, მალხაზ მახარაძე ხომ ლამის ორი ათეული წელიწადი ბათუმის „დინამოს" კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. მახარაძე-უფროსმა კარიერის უმეტესი ნაწილი ცენტრალური მცველის პოზიციაზე გაატარა, მისი ვაჟი კი შუა ხაზის გამოკვეთილი ფეხბურთელია. სხვათა შორის, კახა მახარაძემ მეორე ეტაპის დაწყებიდანვე მიიქცია ჩვენი ყურადღება: გამოცდილი ფეხბურთელების გუნდიდან წასვლის მერე უკვე თვითონ მოგვევლინა „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერის რანგში. ახლაც, „დინამოსთან" მატჩში საკუთარი გუნდის თითქმის ყველა შეტევას იწყებდა და იშვიათი სიზუსტის პასებით ამარაგებდა პარტნიორებს. და კიდევ, რამაც გაგვაოცა: მახარაძის თითქმის ყველა გადაცემა (მოკლე თუ საშუალო მანძილზე) დროულიც იყო, ეფექტურიც და ეფექტიანიც; თანაც, მასპინძელთა ცენტრალური ნახევარმცველი მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ეს ყველაფერი, „ერთი შეხებით" შეესრულებინა. მოკლედ, საკმარისი საფუძველი გვქონდა, რომ XXV ტურის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ კახა მახარაძე დაგვესახელებინა!

გვერდი მოამზადა **გია ტუხაშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## საქართველოს ჩემპიონატი

### აღმოსავლეთი

**22 მარტი**

| | |
|---|---|
| ნ/დინამო-დილა | 1:2 |
| ჰერეთი-ჩიხურა | 0:0 |

**23 მარტი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2-დინამო 2 | 1:0 |
| თბილისი-კახეთი | 5:2 |
| ამერი-სიონი 2 | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 20 | 13 | 5 | 2 | 33-8 | 44 |
| 1. ვიტ ჯორჯია | 20 | 13 | 5 | 2 | 31-6 | 44 |
| 3. ჩიხურა | 20 | 13 | 4 | 3 | 38-13 | 43 |
| 4. დინამო 2 | 20 | 10 | 7 | 3 | 31-15 | 37 |
| 5. დილა | 20 | 8 | 6 | 6 | 26-17 | 30 |
| 6. თბილისი | 20 | 8 | 3 | 9 | 32-30 | 27 |
| 7. სიონი 2 | 20 | 5 | 5 | 10 | 23-44 | 20 |
| 8. გაგრა 2 | 20 | 5 | 3 | 12 | 27-42 | 18 |
| 9. ნ/დინამო | 19 | 2 | 7 | 10 | 20-33 | 13 |
| 10. კახეთი | 19 | 2 | 5 | 12 | 11-38 | 11 |
| 11. ჰერეთი | 20 | 1 | 8 | 11 | 14-43 | 11 |

**III წრე**
**XXIII ტური**

**29 მარტი, კვირა**

ჰერეთი-ვიტ ჯორჯია 2
ნ/დინამო-თბილისი
ამერი-გაგრა 2
სიონი 2-კახეთი
დილა-დინამო 2

*ჩიხურა ისვენებს*

### დასავლეთი

**22 მარტი**

| | |
|---|---|
| სამტრედია-გურია | 1:0 |
| ბაია-კოლხეთი | 4:2 |
| ხობი-მეშახტე | 2:0 |
| მარტვილი-ბათუმი | 1:0 |

**23 მარტი**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი 2-ტორპედო | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 20 | 14 | 2 | 4 | 35-16 | 44 |
| 2. ბაია | 20 | 13 | 5 | 2 | 37-11 | 44 |
| 3. მარტვილი | 20 | 12 | 6 | 2 | 30-15 | 42 |
| 4. კოლხეთი | 20 | 9 | 4 | 7 | 28-20 | 31 |
| 5. ხობი | 20 | 9 | 3 | 8 | 24-31 | 30 |
| 6. ტორპედო 2008 | 20 | 8 | 2 | 10 | 18-15 | 26 |
| 7. ჭიათურა | 20 | 7 | 2 | 11 | 27-30 | 23 |
| 8. გურია | 20 | 6 | 4 | 10 | 27-32 | 22 |
| 9. ზესტაფონი 2 | 20 | 5 | 5 | 10 | 17-28 | 20 |
| 10. ბათუმი | 19 | 5 | 4 | 10 | 21-32 | 19 |
| 11. მეშახტე | 19 | 1 | 3 | 15 | 9-43 | 6 |

**III წრე**
**XXIII ტური**

**29 მარტი, კვირა**

მარტვილი-ზესტაფონი 2
ხობი-ბაია
სამტრედია-ჭიათურა
გურია-კოლხეთი
მეშახტე-ტორპედო

*ბათუმი ისვენებს*

## ჭაბუკთა ლიგა

**1993-94 წ.წ. XIX ტური**

| | |
|---|---|
| ოლიმპი-გაგრა | 2:0 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 1:0 |
| დინამო-სიონი | 6:0 |
| ზესტაფონი-ბორჯომი | 6:1 |
| ამერი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| მესხეთი-მგლები | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 19 | 18 | 1 | 0 | 73-5 | 55 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 5 | 2 | 41-17 | 41 |
| 3. ამერი | 19 | 12 | 3 | 4 | 47-24 | 39 |
| 4. ზესტაფონი | 19 | 10 | 3 | 6 | 33-25 | 33 |
| 5. მგლები | 19 | 8 | 4 | 7 | 40-25 | 28 |
| 6. ლოკომოტივი | 19 | 8 | 3 | 8 | 29-19 | 27 |
| 7. ოლიმპი | 19 | 6 | 5 | 8 | 26-33 | 23 |
| 8. სპარტაკი | 19 | 6 | 4 | 9 | 19-27 | 22 |
| 9. გაგრა | 19 | 5 | 6 | 8 | 23-27 | 21 |
| 10. ბორჯომი | 19 | 4 | 6 | 9 | 17-40 | 18 |
| 11. სიონი | 19 | 2 | 2 | 15 | 10-48 | 8 |
| 12. მესხეთი | 19 | 1 | 2 | 16 | 10-79 | 5 |

**1995-96 წწ. XIX ტური**

| | |
|---|---|
| ოლიმპი-გაგრა | 0:2 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 4:1 |
| დინამო-სიონი | 2:0 |
| ზესტაფონი-ბორჯომი | 2:0 |
| ამერი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| მესხეთი-მგლები | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 19 | 15 | 2 | 2 | 51-8 | 47 |
| 2. გაგრა | 19 | 12 | 3 | 4 | 37-9 | 39 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 10 | 5 | 4 | 35-21 | 35 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 19 | 10 | 3 | 6 | 28-22 | 33 |
| 5. ოლიმპი | 19 | 9 | 4 | 6 | 29-23 | 31 |
| 6. დინამო | 19 | 8 | 7 | 4 | 23-16 | 31 |
| 7. მგლები | 19 | 8 | 5 | 6 | 28-20 | 29 |
| 8. ამერი | 19 | 6 | 5 | 8 | 22-25 | 23 |
| 9. ბორჯომი | 19 | 7 | 1 | 11 | 19-20 | 22 |
| 10. სიონი | 19 | 4 | 3 | 12 | 18-42 | 15 |
| 11. სპარტაკი | 19 | 2 | 5 | 12 | 10-37 | 11 |
| 12. მესხეთი | 19 | 0 | 3 | 16 | 2-59 | 3 |

ინტერვიუ

ნიკა გელაშვილი

# ორიდან ერთი მაინც უნდა მოვიგოთ


ნიკა გელაშვილი

**ექტორ კუპერმა კვიპროს-ჩერნოგორიისთვის პირველად გამოიძახა „ზესტაფონის" ფორვარდი ნიკა გელაშვილი. თუმც ის ეროვნული გუნდის დებიუტანტი არ გახლავთ. გელაშვილი ნაკრებში ჯერ კიდევ კლაუს ტოპმიოლერმა ათამაშა. კუპერისეული ფორმაცია კი მისთვის ერთგვარად ახალი ხილია. მოდით, ვნახოთ, რას ფიქრობს საქართველოს ჩემპიონატის თანაბომბარდირი სანაკრებო და საკლუბო პერსპექტივაზე...**

**- ეროვნულ ნაკრებში ადრე კი გითამაშია, მაგრამ კუპერის ფორმაციის გუნდში პირველად ხარ...**

- დიახ, შესარჩევი მატჩისწინა სიაში პირველად ვარ, თუმცა მანამდე კუპერმა სამშაბათის ვარჯიშზე მიმიწვია. როგორც ჩანს, ნაკრების თავკაცმა ჩემში რაღაც დადებითი დაინახა. სხვა რა გითხრათ... ძალიან გახარებული ვარ. ეროვნულ ნაკრებში თამაში და დამკვიდრება ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ცხადია, ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი.

**- ეროვნულ გუნდში დროის მოსაკლავად არავის იწვევენ. როგორ ფიქრობ, მაინც რითი მოხიბლე კუპერი?**

- ნაკრების თავკაცი ხშირად ესწრება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს. ალბათ, ჩემი ორი თუ არა, ერთი თამაში მაინც ნახა. მოედანზე ყოფნისას ყველანაირად ვცდილობ, გუნდს სარგებელი მოვუტანო. იცით, თამაშის დროს ნამდვილად არ ვფიქრობ იმაზე, ზის თუ არა ნაკრების მწვრთნელი ტრიბუნაზე. მოედანზე ჩემს საქმეს გულიანად ვაკეთებ, და თუ რამდენად კარგად გამომდის ეს საქმე, სპეციალისტებმა უნდა შეაფასონ. რით მოვხიბლე კუპერი? არ ვიცი, ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ. ჯობია, ეს თავად მწვრთნელს ჰკითხოთ. ესეც არ იყოს, საკუთარ თავზე ლაპარაკი და მსჯელობა არ მიყვარს.

**- არსებობს ვარაუდი, რომ კუპერს „ლოკომოტივთან" მატჩში მოეწონე. გარდა ამისა, ბოლო ტურებში არა ერთი გოლი გაიტანე... არგენტინელს ისედაც არ დარჩებოდი შეუმჩნეველი...**

- ალბათ, ასეა. ფორვარდის მოვალეობა გოლის გატანაა და მეც ყოველთვის ამას ვცდილობ.

**- რამდენად გაკმაყოფილებს შენი ახლანდელი კონდიციები?**

- ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ... თუმცა უკეთაც შემიძლია თამაში.

**- ეროვნულ გუნდში კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისას გქონდა დებიუტი. ერთი შეხედვით, სანაკრებო ატმოსფერო შენთვის უცხო არ უნდა იყოს, მაგრამ მაინც - კუპერის მოთხოვნებთან შეჩვევა მოგიწევს...**

- ნაკრებში ჩემთვის უცხო გარემო არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ გუნდში თამაშის ძალიან პატარა სტაჟი მაქვს. და მაინც, არ მგონია, რომ ადაპტაციის პრობლემა გამიჩნდეს.

**- ეროვნულში ნათამაშებ იმ ორ მატჩს როგორ გაიხსენებ?**

- ორივეჯერ შეცვლაზე ვითამაშე - ყატართან გასვლით ამხანაგურ შეხვედრაში და შინ ლიტვასთან. დოჰას მატჩი უფრო ტკბილად მაგონდება, რადგან 2:1 მოვიგეთ, მე კი ნახევარ საათზე მეტხანს ვითამაშე. იმ შეხვედრაში საგოლე მომენტიც მქონდა - მეკარესთან პირისპირ გავედი, ბურთი თავზეც გადავუგდე, მაგრამ კარს გადასცდა... ლიტვასთან კი მხოლოდ ბოლო 10 წუთი მომიწია თამაშმა. სამწუხაროდ, ის მატჩი წავაგეთ (0:2) და აღარც მინდა იმის გახსენება...

**- ახალგაზრდულ ნაკრებშიც გითამაშია...**

- კი, რალფ მინგეს დროს... პეტარ შეგრტს არ გამოვუძახივარ. აზერბაიჯანთან საშინაო შეხვედრაში გოლიც გავიტანე. ის თამაში 5:0 მოვიგეთ და მეოთხე გოლი ჩემი იყო...

**- „სამშაბათობამ" რა შეგძინა?**

- კუპერის „სამშაბათობებს" მანამდეც ყველა აქებდა და იმ ვარჯიშის შემდეგ მეც დადებითი აზრის ვარ. ნამდვილად სასარგებლოა. მწვრთნელმა ყველას ნათლად აგვიხსნა, თუ რას ითხოვს ჩვენგან, საკუთარი ტაქტიკური ვარიანტები გაგვაცნო. მსუბუქი ვარჯიში იყო... კუპერმა აგვიხსნა, თუ როგორ უნდა ვიმოძრაოთ სწორად შეტევისა და დაცვის დროს...

**- უკვე შვიდი თვეა, კუპერი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია. რა წარმოდგენა შეგექმნა მასზე?**

- ევროპის გრანდებს წვრთნიდა, მაღალი დონის სპეციალისტია... აშკარად ჩანს, რომ ძალიან უნდა, ჩვენი ნაკრები ძლიერ გუნდად ჩამოაყალიბოს. საქართველოში ცხოვრობს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება, ფეხბურთელებს ეძებს, სასარგებლო „სამშაბათობებს" ატარებს და ბევრ რამეს გვასწავლის... მეტი რა უნდა ქნას კაცმა?! ეს მონდომება აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

**- კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან მატჩები ახლოვდება. მეტოქეებზე თუ გაქვს რაიმე წარმოდგენა?**

- ჩერნოგორიაზე რა გითხრათ და, კვიპროსის ნაკრები კი იყო თბილისში და ყველამ ვნახეთ, როგორ გაგვიჭირდა. ლომაიას რომ არ ემარჯვა და პენალტი არ მოეგერიებინა, დიდი შანსი იყო, წაგვეგო კიდეც. დარწმუნებული ვარ, კვიპროსელები შინ უფრო უკეთ ითამაშებენ. ასე რომ, გაათმაგებული ყურადღებით უნდა ვითამაშოთ, ამავე დროს, მეტოქემ ჩვენგან აგრესიაც უნდა იგრძნოს, ბრჭყალები უნდა გამოვაჩინოთ... რაც შეეხება ჩერნოგორიას, ეს მაინც ახალი გუნდია ევროპულ ფეხბურთში, თუმცა ამ ნაკრების ფეხბურთელები იტალიისა და გერმანიის მთავარ ლიგებში თამაშობენ. მარტო ვუჩინიჩი რად ღირს, „რომას" წამყვანი ფორვარდია... ჩერნოგორიელებს, ალბათ, კვიპროსზე უკეთესი გუნდიც ჰყავთ. ასე რომ, რთული მატჩები გველის. მე მაგალითად, ამ შესარჩევში პირველი მოგების იმედი მაქვს, მეც და გულშემატკივარსაც. ორიდან ერთი მატჩი მაინც უნდა მოვიგოთ.

**- ბოლოს „ზესტაფონზეც" ვისაუბროთ. კვირას „მესხეთთან" დუბლი შეასრულე და ბომბარდირ მერებაშვილს დაეწიე. შეძლებ, მოუგო დინამოელს ეს რბოლა?**

- ბომბარდირობა ასე იოლი არ არის. თამაშისას ყოველთვის ვცდილობ, ჩემმა გუნდმა მოიგოს. ეს არის მთავარი და არა ის, თუ ვინ გაიტანს გოლს. პირველ რიგში გუნდის ინტერესებს ვაყენებ. გოლების გატანა ჩემზე მეტად არავის უნდა, მაგრამ ეს ხან გამომივა და ხან - არა. ვნახოთ, რამდენს შევაგდებ...

**- ამ სეზონში მესამე ადგილისა და უეფას თასის საგზურისთვის იბრძვით?**

- სამწუხაროდ, თასის გათამაშებას გამოვეთიშეთ. ჩემპიონობა ან მეორე ადგილი ბრინჯაოს ნამდვილად სჯობს, მაგრამ... წინა ორ გუნდს 6-7 ქულით ჩამოვრჩებით. ჩემპიონატის დასრულებამდე კი 7 ტურიღა დარჩა და რა ვიცი... ზემო ადგილებზე ასვლა თითქმის შეუძლებელია. კონკურენტიც ძლიერი გვყავს - მესამე ადგილისთვის რუსთავის „ოლიმპის" გვეცილება, თანაც ჩვენზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. მოკლედ, ვნახოთ... მესამე ადგილისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვფიქრობ, ბრინჯაო ჩვენ დაგვრჩება.

**დავით ცაგაძე**

---

ეროვნული ნაკრები

# მზადება იწყება



ეროვნული ნაკრების თავკაცმა **ექტორ კუპერმა** კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან მატჩებისთვის მოსამზადებლად გუშინ ბიჭები ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრიბა. უახლოესი თამაშებისთვის არგენტინელმა 22 ფეხბურთელი გამოიძახა. მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ შემადგენლობას:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (ლოკომოტივი), **გრიგოლ ბედიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ზურაბ მამალაძე** (ზესტაფონი);

მცველები - **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე** (ორივე რუბინი, რუსეთი), **გიორგი შაშიაშვილი** (შტურმი, ავსტრია), **გურამ კაშია** (დინამო თბილისი), **უჩა ლობჟანიძე** (ზესტაფონი), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - **ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია** (ორივე შალკე, გერმანია), **დავით ოდიკაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი), **ზურაბ მენთეშაშვილი** (ვენტსპილსი, ლატვია), **ლუკა რაზმაძე** (ვიტ ჯორჯია), **ლევან ხმალაძე** (დინამო თბილისი);

თავდამსხმელები - **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე, გერმანია), **ლევან მჭედლიძე** (პალერმო, იტალია), **ბექა გოცირიძე** (დნიპრო, უკრაინა), **გიორგი მერებაშვილი** (დინამო თბილისი), **ნიკა გელაშვილი** (ზესტაფონი), **დავით სირაძე** (უკლუბოდ);

ამ 22 ფეხბურთელიდან თბილისში ჯერ ყველა არ ჩამოსულა. თუ არაფერი შეიცვალა, ხვალ ეროვნულმა გუნდმა სრული შემადგენლობით უნდა ივარჯიშოს. რაც შეეხება „შალკეს" ნახევარმცველ **ლევან ყენიას**, მოგეხსენებათ, ის ტრავმირებულია და უახლოს ორ თამაშში ნაკრებს ვერ დაეხმარება, მიუხედავად ამისა, კუპერის სურვილია, ყენია მაინც გუნდთან ერთად იყოს. მაგრამ, როგორც გავიგეთ, ყენიას თბილისში ჩამოსვლა საეჭვოა...

კუპერი ნაკრებს დღეს ორჯერ ავარჯიშებს. ორივე წვრთნა საგურამოს ბაზაზე ჩატარდება - დილის 10 საათზე, საღამოს 6-ზე. ასე იქნება 25 მარტსაც, 26-ში კი, გამთენიისას, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ჩარტერული ავიარეისით კვიპროსისკენ აიღებენ გეზს. ჩვენები ლარნაკაში ჩაფრინდებიან და იქვე დაბინავდებიან. მატჩები სწორედ ამ ქალაქში გაიმართება.

**დავით ცაგაძე**

---

კვიპროსი-საქართველო

# 28 მარტი, 22:00...

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა საშინაო და გასვლითი შეხვედრის რეპორტაჟს „პირველი არხი" გადასცემს. 2008 წლიდან მოყოლებული ასე იყო და ამ წელსაც ასე იქნება. ეს არხის სპორტული მიმართულების პროდიუსერმა **დავით მინაშვილმა** გვამცნო.

*„წელს ეროვნული ნაკრების ყველა შეხვედრას „პირველი არხი" გადასცემს. ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია და ფეხბურთის ფედერაციასთანაც შეთანხმებულია. უკვე შემიძლია გითხრათ ისიც, რომ 28 მარტს, კვიპროსიდან ამ ქვეყნისა და ჩვენი ეროვნული ნაკრებების შეხვედრას გულშემატკივრები სწორედ ჩვენს არხზე იხილავენ. ასევე „1 არხი" განახორციელებს საქართველო-ჩერნოგორიის ნაკრებების შეხვედრის ტრანსლაციას, რომელიც 1 აპრილს ეროვნულ სტადიონზე გაიმართება"*, - გვითხრა მინაშვილმა.

კვიპროსი-საქართველოს მატჩი 28 მარტს, თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება, საქართველო-ჩერნოგორია კი 1 აპრილს 21 საათზე. სხვათა შორის, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩვენების ლიცენზიაც სწორედ „პირველმა არხმა" მიიღო.

**მერაბ მამულაშვილი**

---

მეტოქე. ჩერნოგორია

# ფილიპოვიჩმა 22 გაამხილა

## თბილისში დებიუტანტებიც მოდიან

ახლოვდება მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, რომელშიც საქართველოს ეროვნული გუნდი 28 მარტს ჯერ კვიპროსს გასვლაზე შეხვდება, 1 აპრილს კი ჩერნოგორიას უმასპინძლებს. თბილისამდე, ბალკანური კრებული შინ იტალიას დაუხვდება. „სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა **მარჩელო ლიპიმ** უკვე გამოაქვეყნა შემადგენლობა, რომელიც ამ და ირლანდიასთან (საკუთარ მოედანზე) მატჩისთვის მოემზადება. გუშინ სანაკრებო სია ჩერნოგორიელთა დამრიგებელმა **ზორან ფილიპოვიჩმაც** გამოაქვეყნა. აი, ის 22 ფეხბურთელი, რომელიც მან ამ შეხვედრებისთვის გამოიძახა:

მეკარეები - **ვუკაშინ პოლეკშიჩი** (დებრეცენი, უნგრეთი), **მლადენ ბოჟოვიჩი** (პარტიზანი, სერბეთი);

მცველები - **სავო პავიჩევიჩი** (კოტბუსი, გერმანია), **მიოდრაგ ჯუდოვიჩი** (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი), **იოვან ტანასიევიჩი** (დინამო მოსკოვი, რუსეთი), **რადოსლავ ბატაკი** (ანკარასფორი, თურქეთი), **დეიან ოგნიანოვიჩი** (ლკს, პოლონეთი), **მარკო ბაშა** (ლოკომოტივი მოსკოვი, რუსეთი), **ლუკა პეიოვიჩი** (მოგრენი), **ელსად ჟვეროტიჩი** (ლუცერნი, შვეიცარია);

ნახევარმცველები - **ვლადიმირ ბოჟოვიჩი** (რაპიდი ბუქარესტი, რუმინეთი), **მიტარ ნოვაკოვიჩი** (ამკარი, რუსეთი), **მილორად პეკოვიჩი** (მაინცი, გერმანია), **ნიკოლა დრინჩიჩი** (ამკარი, რუსეთი), **ბრანკო ბოშკოვიჩი** (რაპიდი ვენა, ავსტრია), **ივან დელიჩი** (ბუდუჩნოსტი), **სიმონ ვუკჩევიჩი** (სპორტინგი, პორტუგალია);

თავდამსხმელები - **სტევან იოვეტიჩი** (ფიორენტინა, იტალია), **მირკო ვუჩინიჩი** (რომა, იტალია), **ნიკოლა ვუიოვიჩი** (მოგრენი), **რადომირ დიალოვიჩი** (რაპიდი ბუქარესტი, რუმინეთი), **ფატოს ბეჩირაი** (ბუდუჩნოსტი).

ფილიპოვიჩის რჩეულთა შორის ორი დებიუტანტია - მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი **მარკო ბაშა** და „ბუდუჩნოსტის" თავდამსხმელი **ფატოს ბეჩირაი**. ჩერნოგორიელებმა მზადება უკვე დაიწყეს. ისინი თბილისში იტალიასთან მატჩის მეორე დღეს, 29 მარტს, ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან.

**დავით ცაგაძე**

ახალგაზრდული ნაკრები

# ცხადაძე საქმეს შეუდგა

გუშინ კახა ცხადაძემ ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებს მოუყარა თავი და კვიპროსსა (27 მარტი) და ბელარუსთან (1 აპრილი) გასამართი ამხანაგური მატჩებისთვის მზადების დაწყება გამოაცხადა. ვარჯიში საგურამოში, „ლოკომოტივისა“ და ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში გაიმართა. ცხადაძემ შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **რევაზ თევდორაძე** (გაგრა), **გიორგი ლოსაბერიძე** (დინამო);

მცველები - **დავით მჭედლიშვილი** (ამერი), **მაკარ აქუბარდია** (მგლები), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **ლაშა თოთაძე** (კიევის დინამო 2), **ლევან კაკუბავა**, **გულვერდ თომაშვილი** (დინამო), **ამირან სანაია** (ლე მანი);

ნახევარმცველები - **ბუბა დაუშვილი**, **ირაკლი ძარია**, **ალექსი ბენაშვილი**, **თორნიკე გორგიაშვილი** (ყველა ზესტაფონი), **გიორგი გაბედავა**, **თამაზ ჩარგეიშვილი** (ორივე გაგრა), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ვალერი ბოლქვაძე** (დინამო 2), **ირაკლი ხუციძე** (ამერი), **გიორგი განუგრავა** (უგუნდო);

თავდამსხმელები - **მიხეილ როსტიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ვახტანგ კვარაცხელია** (ვიტ ჯორჯია), **ბესიკ ჩიმაკაძე** (ამერი).

გუშინდელ ვარჯიშზე არ ყოფილან ლეგიონერები და **ვალერი ბოლქვაძე**, რომელიც თბილისის „დინამო 2-ის“ შემადგენლობაში „ვიტ ჯორჯია 2-ის“ წინააღმდეგ პირველ ლიგის კალენდარულ შეხვედრაში თამაშობდა. დღეს ცხადაძე საგურამოში გუნდს ორჯერ ავარჯიშებს - დილას 10:30 საათზე და შუადღისას 16:00 საათზე. ბოლო ინფორმაციით, **ირაკლი კლიმიაშვილმა** შესაძლოა ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლოს. ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა არც დაადასტურა და არც უარყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

ლაშა ნოზაძე

# გოლი დამუშავებული კომბინაციით გავიტანე

## რატომ არის ყაზახეთი საქართველოზე უფრო კორუმპირებული



**შაბათს „გაგრა“-“მგლების“ შეხვედრას წერტილი ლაშა ნოზაძემ დაუსვა. ეს გამოცდილი ცენტრალური ნახევარმცველი ოპტიმალურ ფორმაში არ არის, მაგრამ მაინც გამოადგა „გაგრას“, რომლის შემადგენლობაშიც სადებიუტო მატჩი ითამაშა. ნოზაძეს საქართველოს ჩემპიონატში, როგორც იტყვიან, ჭიპი აქვს მოჭრილი. უთამაშია „ვიტ ჯორჯიასა“ და თბილისის „დინამოში“, მერე კი უცხოეთში წავიდა და საქართველოს ჩემპიონატს ახლახან დაუბრუნდა. ნოზაძეს არაერთი გადამწყვეტი გოლი გაუტანია, როცა „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშობდა, დინამოური კარიერაც კარგად აეწყო - ჩემპიონი „ვიტ ჯორჯიაშიც“ გახდა და „დინამოშიც“.**

**ლაშასთან საუბარი იქიდან დავიწყეთ, თუ როგორ აღმოჩნდა „გაგრაში“...**

- ყარაღანდის „შახტიორიდან“ დეკემბერში წამოვედი. სხვა უცხოურ გუნდში უნდა გადავსულიყავი, მაგრამ ეს მომდევნო სეზონამდე გადაიდო და „გაგრაში“ მივედი.

**- რატომ მაინცდამაინც „გაგრა“?**

- ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, მაგრამ სად ის, რომ მარტო ვარჯიშობ და სად - გუნდთან ერთად. ახალი გუნდი რომ არ გამოჩნდა, ვლადიმერ ხაჩიძეს შევეხმიანე, მან ამის შესახებ „გაგრას“ პრეზიდენტს უთხრა და ყველაფერი ამის შემდეგ გადაწყდა - კლუბი ფორმის აღდგენაში დამეხმარება, მე კი, ჩემი მხრივ, რაც შემეძლება, გუნდს მაქსიმალურ სამსახურს გავუწევ. გადავედი თუ არა „გაგრაში“, გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი მოვიდა - ვიქტორ კაშჩეი, რომელმაც პირველი ვარჯიში „მგლებთან“ თამაშის წინა დღეს ჩატარა.

**- როგორია პირველი შთაბეჭდილება? როგორი მწვრთნელი ჩანს კაშჩეი?**

- გამოცდილი მწვრთნელი ჩანს, სპეციფიკური ვარჯიშები აქვს.

**- და რაში გამოიხატება ეს სპეციფიკურობა?**

- უპირატესობას ბურთით ვარჯიშს ანიჭებს. ბურთთან, ასე ვთქვათ, ურთიერთობა, მისთვის ერთობ მნიშვნელოვანია.

**- უშუალოდ „მგლებთან“ მატჩისთვის როგორ გამზადებდათ?**

- გოლი რომ გავიტანე, ეს სწორედ ვარჯიშზე დამუშავებული კომბინაცია იყო - კუთხურის დროს სხვა მიმართულებით ვაკეთებდი მოძრაობას, მერე კი შორეულ ძელთან მივედი, სადაც უნდა მომსვლოდა ბურთი - „მგლებს“ გოლი ზუსტად ასე გავუტანე. სხვათა შორის, 11-მეტრიანების დარტყმაზეც საგანგებოდ გვავარჯიშა, თითქოს გული უგრძნობდა, რომ გოლს გავიტანდით.

**- გოლი კი გაიტანე, მაგრამ მთლიანობაში საკუთარი გარჯით კმაყოფილი დარჩი?**

- ახლა ნამდვილად არ ვარ საუკეთესო ფორმაში, ოთხი თვეა პრაქტიკა არ მქონია და ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ნორმალურად ვითამაშე.

**- „გაგრა“ ახლა გასავარდნ ზონაშია. სეზონის ბოლოს გუნდიდან წახვალ?**

- ზუსტად ვერ გეტყვით. სეზონი რომ დასრულდება, ყველაფერი მერე გაირკვევა.

**- ჩემპიონობისთვის შენი ყოფილი გუნდები იბრძვიან. რას იტყოდი ამ დაპირისპირებაზე?**

- „ვიტ ჯორჯია“ ძალიან კარგად დაბალანსებული და ბრძოლისუნარიანი გუნდია, სწორი თამაშითაც გამოირჩევა... რა თქმა უნდა, „დინამოც“ ძალიან კარგი გუნდია და არ მგონია, რომ ერთი მეორეს ბევრად სჯობდეს, ამიტომ, პროგნოზებისგან თავს შევიკავებ.

**- ყაზახეთზეც ვთქვათ. მაინც რა მოხდა, რატომ გაეხვა ყარაღანდის „შახტიორი“ სკანდალში?**

- კლუბის პრეზიდენტი და სპორტული დირექტორი თამაშის ჩაწყობაში დაადანაშაულეს, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცეს, ისე მისცეს 5-წლიანი დისკვალიფიკაცია. ორივემ სამოქალაქო სასამართლოში იჩივლა და ვნახოთ, რა მოხდება. პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

**- როგორ ფიქრობ, სად უფრო მაღალია კორუფციის დონე - ყაზახეთის ჩემპიონატში თუ ჩვენთან?**

- ვფიქრობ, კორუფციის დონე ყაზახეთში უფრო მაღალია, თუნდაც იმიტომ, რომ იქ მსაჯები თავხედურად „წვავენ“ გუნდებს, არადა, არ მეგონა, თუ ასე იქნებოდა. ერთ-ერთ შეხვედრაში მსაჯი ისე გათავხედდა, სამი არარსებული პენალტი დანიშნა - დამეთანხმებით, რომ ასეთი რამ საქართველოში არ ხდება.

**- „შახტიორთან“ რაღაც პრობლემები გქონდა...**

- კლუბს 3 თვის ხელფასი არ მოუცია, ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციაში საჩივარი შევიტანე და ვნახოთ, რა გამოვა ამისგან...

**დავით თავართქილაძე**



ლეგიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე შეუნი ვარ, ოვონიკოკო მამაჩემია

## სნუკერი, ქათამი და ქართველი დედა

**ლეგიონერი ბევრი აღარ შემორჩა საქართველოს ჩემპიონატს. თუ „დინამოს“ არ ჩავთვლით, ქართული გუნდები უცხოელი ფეხბურთელებისგან, ფაქტობრივად, დაიცალნენ. „ზესტაფონმა“ კამერუნელები - ერიკ ჩასემი და ბოიომო ფრიდოლინი სულაც მეორე გუნდში გადაიყვანა... რამდენიმე დღის წინ კი ქართულ ასპარეზზე ახალი ლეგიონერი გამოჩნდა.**

ნიგერიელი ჯეელი **ოვონიკოკო აბაიომი შეუნი** „გაგრამ“ იანვარში იახლა თავისთან. აფრიკელს ორ თვეზე მეტხანს მოუწია ლოდინმა - ნიგერიიდან სატრანსფერო ფურცელი არა და არ მოდიოდა და „გაგრასაც“ არ შეეძლო ამ უცხოელის განაცხადში შეყვანა. მერე ფიფას დებულება ამოქმედდა - როცა სატრანსფერო ფურცელი ერთ თვეზე მეტს იგვიანებს, კლუბს ავტომატურად ეძლევა ფეხბურთელის განაცხადში შეყვანის უფლება.

ნიგერიელმა მოყმემ სადებიუტო მატჩი ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში, ზუგდიდის „მგლების“ წინააღმდეგ ითამაშა. გაგრელთა უკრაინელი დამრიგებელი **ვიქტორ კაშჩეიმ** მას (ისევე, როგორც მთელ გუნდს) ხსენებულ მატჩამდე მხოლოდ ერთ ვარჯიშზე დააკვირდა და მყის სასტარტოში გაამწესა. არც შემცდარა - აფრიკელმა „გაგრას“ ჯერ პენალტი მოუპოვა, მეორე ტაიმში კი იმ კუთხურსაც გამორჩა, რომელსაც **ლაშა ნოზაძის** გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა და მატჩი 2:2 დასრულდა.

*„საერთო ჯამში, საკუთარი თამაშით კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო ჩემი საუკეთესო მატჩი“*, - გვითხრა ნიგერიელმა თინეიჯერმა და მართლაც, ის არ იყო აქტიური, ბურთს იშვიათად იღებდა, თუმცა მცირედიდანც საკმაოდ ბევრი გამოადნო.

მიმდინარე სეზონში „გაგრას“ ნიგერიელი ერთადერთი აფრიკელი არ არის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, თუმცა 17 წლის ლეგიონერის საქართველოში ჩამოსვლა ისეთი რამეა, ჩვეულებრივი ამბავიაო, ვერ იტყვით.

მაინც, როგორ მოხვდა ის „გაგრაში“?

*„ჩემი აგენტი მამუკ ამიროვი ბელგიაში საქმიანობს, დაუკავშირდა აგენტს ნიგერიაში, რომელმაც მე გამიწია რეკომენდაცია. ასე ჩამოვედი საქართველოში“*, - გვამცნო ნიგერიელმა, რომელმაც ისიც გვითხრა, რომ მას შეუნი ჰქვია, გვარად აბაიომია, ხოლო ოვონიკოკო მამამისია.

*„როგორი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილებები, როცა საქართველოში ჩამოვედი? არ ველოდი იმას, რაც აქ დამხვდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოზე მანამდე არაფერი ვიცოდი. ჩემთვის საკმარისი იყო იმის ცოდნა, რომ საქართველო ევროპაა და უეფას ზონაშია. თბილისი და საერთოდ, საქართველო, საჩემო ადგილი გამოდგა, აქაურობა მართლაც მომწონს“*, - ამბობს ოვონიკოკოს ძე.

შეუნი ნიგერიის ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდში ირჯებოდა. მისი თქმით, ორივე ფეხით კარგად თამაშობს, მარჯვენა ნახევარმცველი კი ეთქმის, მაგრამ მარცხნიდანაც შეუძლია თამაში. *„მე შემტევი სტილის შუახაზელი ვარ“*, - გაგვარკვია საქმეში აბაიომიმ.

და მაინც, როგორ გამოუშვებს მშობლებმა 17 წლის შვილი ცხრა მთასა და ცხრა ზღვას აქეთ, იმ ქვეყანაში, სადაც რამდენიმე თვის წინ ომი იყო და ისეთ რეგიონში, დაძაბულობა რომ არ იკლებს.

*„ომი? ჩემმა მშობლებმა საქართველოში აგვისტოს ომზე არაფერი იციან. სიმართლე გითხრათ, არც მე ვიცოდი ამის შესახებ, არ მიყვარს „სი-ენ-ენზე“ ახალი ამბების ყურება, ხანდახან თუ შევავლებ თვალს. რაც მთავარია, კარგ გზაზე ვდგავარ, ყველა ნიგერიელ ფეხბურთელს ძალიან უნდა ევროპის კარგ გუნდში მოხვედრა, მიმაჩნია, რომ საქართველო საამისოდ კარგი დასაწყისი იქნება ჩემთვის“*, - იმედიანადაა შეუნი.

„გაგრა“ არ არის ისეთი მდიდარი კლუბი, უცხოელი იქ ფულის საშოვნელად რომ მივიდეს. აბაიომის მიზანიც ნათელი და დიადია - ევროპა საქართველოს გავლით. შეუნმა გვითხრა, რომ ნიგერიაში ცხოვრების დონე მაღალი არ არის, მაგრამ აფრიკული სტანდარტების გათვალისწინებით მისი ოჯახი ნორმალურად ცხოვრობს და საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ მის ევროპულ პერსპექტივას უკავშირდება.

„გაგრამ“ ნიგერიელ ყმაწვილს დიღმის მასივში უქირავა ბინა, შეუნს იქ მომვლელი ქალიც ჰყავს, რომელიც ქათმის შეწვაშია განაფული, რამეთუ აფრიკელს ეს კერძი ყველაფერს ურჩევნია.

*„კარგია ხაჭაპური, სუპსაც კი მივირთმევ, რადგან ეს კერძი სპორტსმენისთვის საჭიროა... და რაც შეეხება ქათამს, ძალიან კი მიყვარს, მაგრამ ყოველდღე ნამდვილად არ ვეტანები“*, - ამბობს შეუნი.

ნიგერიელი აქებს დიღმელ მეზობლებს, გულღია ხალხია და მათთან ახლო ურთიერთობა მაქვს, ფეხბურთს კი უბანში არ ვთამაშობ, რადგან ეს ჩემს რეჟიმში არ ჯდებაო.

შეუნი კათოლიკე და ღრმადმორწმუნეა. მან იცის, რომ თბილისშიც არის კათოლიკური ეკლესია, მაგრამ, როგორც თვითონ გვითხრა, ენობრივი ბარიერის გამო იქ არ დადის. ოვონოს საყოფაცხოვრებო საკითხებს მეტწილად „გაგრას“ პრესატაშე **მიხეილ აფხაზავა** უგვარებს და მასზე გვითხრა - ძალიან მეგობრულია, უცხო ქვეყანაში ცხოვრებას მიადვილებსო.

ოვონიკოკოს ძეს ნიგერიულ ფეხბურთზეც დავეკითხეთ. მისი აზრით, საქართველოსა და ნიგერიის ჩემპიონატები ერთი დონისაა. ასეთი დასკვნა მან მას შემდეგ გაკეთა, რაც თებერვლიდან ადევნა თვალი აქაურ პირველობას.

იყო დებიუტი და რა იქნება აბაიომის შემდეგი ნაბიჯი საქართველოს ჩემპიონატში? „გოლს გავიტან“, - მოკლედ მოჭრა სიტყვა შეუნმა.

მასთან საუბარი ორი კითხვა-პასუხით დავასრულეთ.

**- ფეხბურთის გარდა კიდევ რისი კეთება გეხერხება, კიდევ რაში ხარ ძლიერი?**

- სნუკერში.

**- რაც საქართველოში ჩამოხვედი, თავს რითი იქცევ თავისუფალ დროს?**

- ოჯახთან ყოფნით. მეზობლები და მომვლელი ქალი - ეს არის ჩემი ქართული ოჯახი. ამ ქალს სულაც ჩემს ქართველ დედად მივიჩნევ...

**დავით თავართქილაძე**

ფუტზალი

ელიტრაუნდის შემდეგ

# ევროპა დამთავრებულია

## ...და მაინც, ასათიანმა ფუტზალი ფსკერიდან ამოიყვანა

ფუტზალში ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შეხვედრები საქართველოს ნაკრებისთვის დასრულებულია. ელიტრაუნდის ბოლო შეხვედრაში ჩვენებმა ბელარუსთან 0:2 წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ. შეგახსენებთ, რომ პირველი ორი შეხვედრის შემდეგ, **ავთანდილ ასათიანის** გუნდს ფინალურ ეტაპზე გასვლის იმედი, ფაქტობრივად, გადაწურული ჰქონდა. საქართველოს ნაკრები ჯერ იტალიასთან დამარცხდა 1:10, მერე დამაჯერებლად მოუგო (4:0) მასპინძელ ლიტვას, მაგრამ რაკი ფინალში ერთი გუნდი გადიოდა, „სკუადრა აძურას“ გადასწრება წარმოუდგენელი იყო.



ავთანდილ ასათიანი

ელიტრაუნდში ასათიანი გაახალგაზრდავებულ შემადგენლობას დაეყრდნო. მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ შემადგენლობას: მეკარეები - **ლევან ზაქაიძე**, **ლევან გაბუჩია**; მოთამაშეები - **არჩილ ბოკერია**, **ლაშა ცნობილაძე**, **შოთა კუბლაშვილი**, **დავით ბობოხიძე**, **გიორგი სოზაშვილი**, **ირაკლი შელეგია**, **კახა მაისაია**, **კახა ახალაძე**, **დავით დარჩია**, **ნიკოლოზ ოსეფაშვილი**. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენები მარცხისთვის წინასწარ იყვნენ განწირულები, რადგან კვიპროსში მოთამაშე ნაკრების ლიდერები - **დევდარიანი და თოთაძე**, ლიტვაში სავიზო პრობლემების გამო ვერ ჩავიდნენ.

და მაინც, საერთო ჯამში ასათიანის ხანმოკლე მუშაობა მხოლოდ ქებას იმსახურებს. მცირე დროში მან ევროპული ფუტზალის აუტსაიდერებში მყოფი საქართველო ელიტრაუნდში გაიყვანა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფუტზალელებს ძალიან მწირი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ და ნორმალურ დარბაზებში ვარჯიშს მოკლებულნი არიან, ესეც დიდი მიღწევა გახლდათ.

ასათიანმა, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო - დამარცხებას შეჩვეული ფეხბურთელები გამოაფხიზლა, შემადგენლობა გააახალგაზრდავა და პირველი სასიკეთო შედეგებიც გამოაჩინა. ახლა კი მიღწეულის შენარჩუნებისა და განვითარების ეტაპი დაუდგა. საამისო პოტენციალი კი უკვე გამოჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ · ოთარ მარცვალაძე



# თეთრაძემ მთელი ფლანგი ქართველებს ჩაგვაბარა

## არ მგონია, ანჟიში გადასვლამ ნაკრების კარი დამიკეტოს...

ოთარ მარცვალაძე თბილისშია და რუსეთის ვიზას ელის. ექტორ კუპერმა ის ამჯერად არ გამოიძახა და ეს არცაა გასაკვირი დიდი ხნის უთამაშებლობისა და ფორმიდან ამოვარდნის გამო. მარცვალაძე ახლა იმედებს მახაჩყალის „ანჟის“ უკავშირებს, სადაც დეკემბერში ჩაირიცხა. ოთარი კიევის „დინამოში“ დაკარგული წლების კომპენსირებას ახლა ცდილობს. ვისარგებლეთ თბილისში მისი ყოფნით და ინტერვიუ ვთხოვეთ.

**- ოთარ, რუსებმა ბევრჯერ გააწვალეს ქართველი ფეხბურთელები და შენ რა გარანტია გაქვს, რომ ვიზას მიიღებ? შარშან, მაგალითად, მამინაშვილი, გოგუა, ხოჯავა, მუჯირი და ბარაბაძე ვიზას დიდხანს ელოდნენ...**

- ასე, არაფრის გარანტია არ მაქვს, მაგრამ... წესით, პასპორტში ბეჭედი მალე უნდა ჩამირტყან. ძველი ამბები მეც ვიცი, მაგრამ „ანჟი“ პრობლემის სასწრაფოდ მოგვარებაში მეხმარება. საქმეში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა ჩარეული. ის მსგავს პრობლემებს ადრეც აგვარებდა. არ მგონია, ამ დონემდე მისული საქმე არ გადაწყდეს. უკვე ათი დღეა თბილისში ვარ და ერთი სული მაქვს, როდის მოგვარდება პრობლემა, როდის დავიწყებ გუნდთან ერთად ვარჯიშს.

**- ამ ხნის განმავლობაში სად ვარჯიშობდი?**

- ხან ინდივიდუალურად, ხან კი „ვიტ ჯორჯიაში“ ვვარჯიშობდი. როგორც ხედავთ, ჩემი ყოფილი კლუბი არ მივიწყებს.

**- ათდღიანი უქმობა სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ ფორმიდან ამოვარდე...**

- მართალია, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს? ჯერ ისიც არ ვიცი, ვიზას როდის მომცემენ.

**- „ანჟი“ პირველ ლიგაშია, სადაც სულ სხვა მოთხოვნებია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კიევის „დინამოში“.**

- შეიძლება, კიევის „დინამოს“ დონის კლუბი არ არის, მაგრამ რუსეთის პირველ ლიგაში საკმაოდ მაღალი დონეა და ფეხბურთელს გაზრდა იქაც შეუძლია. უკრაინის უმაღლესი ლიგიდან ხუთი გუნდი რომ ამოაგდო, დანარჩენი გუნდების დონე რუსეთის პირველი ლიგისას ნამდვილად ვერ აჭარბებს. სხვათა შორის, ჩემს ახალ კლუბში არანაკლებ მკაცრი მოთხოვნებია, ვიდრე კიევის „დინამოში“. ეს ძალიან მომეწონა. ომარ თეთრაძეს პრემიერლიგაში გადასვლა სურს და ბუნებრივია, განსაკუთრებულ მოთხოვნებს გვიყენებს.

**- კუპერმა ნაკრებში აღარ გამოგიძახა და არ გეშინია, მახაჩყალაში გადასვლით ეროვნული გუნდის კარი დიდი ხნით რომ ჩაგეკეტოს?**

- თუ კარგად ვითამაშებ, რატომ არ უნდა მიმიწვიონ? არა მგონია, კარგ ფორმაში მყოფს გუნდისთვის სარგებლობის მოტანა არ შემეძლოს.

**- თავად „ანჟიზე“, გუნდში არსებულ ატმოსფეროზე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- ძალიან მეგობრული გუნდია. ახალწვეულის კვალობაზე ძალიან კარგად მიმიღეს. სხვათა შორის, რუსებთან ცუდი ურთიერთობა არ მაქვს, თან გუნდში ბევრნიც არ არიან, ოსებთან კი ვმეგობრობთ. მიხარია, რომ ომმა ჩვენს ურთიერთობაზე გავლენა არ მოახდინა.

**- ორი წლის წინათ „ანჟის“ საკუთარი არათუ ბაზა, სავარჯიშო მოედანიც არ ჰქონდა. ახლა ვითარება შეიცვალა?**

- ახლა ყველანაირად გააუმჯობესეს პირობები, დაფინანსებაც გაიზარდა, ბაზაც არის და სავარჯიშო მოედნებიც. მართალია, დღემდე მახაჩყალაში არ ჩავსულვარ, მაგრამ ბიჭებისგან ვიცი, რომ ასეა.

**- „ანჟიში“ ქართველისთვის ურიგო ვარიანტი არ არის - მწვრთნელი და გენერალური მენეჯერი ქართველები არიან... ისე, უკეთეს კლუბში მოხვედრის შანსი არ გქონდა?**

- ტრავმის გამო დიდი ხანია არ მითამაშია და არანაირი წინადადებაც არ მიმიღია. მამუკა ჯულელმა და ომარ თეთრაძემ იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები და ამიტომაც ამიყვანეს. ასე რომ, ამ ეტაპზე „ანჟი“ ჩემთვის სრულიად მისაღები ვარიანტია.

**- რუსეთის მოქალაქეობა რომ არ მიიღე, ძირითადში მოხვედრის შანსი გექნება?**

- არ მგონია, ლეგიონერობამ პრობლემა შემიქმნას.

**- თეთრაძე რა პოზიციაზე გათამაშებს?**

- მარჯვენა ნახევარმცველად ვთამაშობ, კახა ალადაშვილი კი მარჯვენა მცველად. მოკლედ, თეთრაძემ მთელი ფლანგი ქართველებს ჩაგვაბარა. მოსამზადებელ ეტაპზე ათი შეხვედრა ჩავატარე და 2 გოლი გავიტანე. ჯერ ვერ ვიტყვი, რომ უკვე კარგ ფორმაში ვარ. ვარჯიში კარგია, მაგრამ ფორმაში შესასვლელად ოფიციალური შეხვედრები საჭირო.

**მერაბ მამულაშვილი**

პარტნიორობა

# არაორდინარული გადაწყვეტილებების აუცილებლობა

## ვისოლი დიდ ფეხბურთში მოდის?

ქართულ საფეხბურთო ოჯახს, შესაძლოა, მალე სასურველი წევრი დაემატოს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია „ვისოლი“ დიდი ფეხბურთის გუნდის ჩამოყალიბებას აპირებს. კომპანიის პრეზიდენტმა **სოსო ფხაკაძემ** აქამდეც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მცირე ხნის წინათ, „ვისოლი“ მედიაკომპანია „კოლხიდას“ გენერალური სპონსორი გახდა, ახლახან, მიშა მესხის ლეგენდარული „ავაზა“ სამაგალითო ინფრასტრუქტურის სკოლად გადააქცია, აფინანსებს სარაგბო კლუბ „ვისოლი-ყოჩებს“, დიდ დილომში აშენებს იპოდრომს, რაგბის მოედანს და ა. შ. ერთი სიტყვით, კომპანია სპორტს პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.

ის, რომ „ვისოლი“ საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბებას აპირებს, ეს რამდენიმე წყაროსგან გავიგეთ. ანალოგიური ინფორმაცია მოგვაწოდა უეფას მედიაოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამაც**. ამას წინათ, მან ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ტურნირს გაუწია ორგანიზაცია. სამწუხაროდ, თავად კომპანიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, ისინი ზარებს არ პასუხობდნენ.

*„ტურნირის შემდეგ, კომპანიის პრეზიდენტ სოსო ფხაკაძეს პირადად ვესაუბრე. მას სურს უმაღლეს ლიგაში თავისი კლუბის შექმნა, რომელიც „ვისოლის“ ქსელის თანამშრომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდება. კომპანიამ ფეხბურთელების, ასე ვთქვათ, შენახვის საკმაოდ გონივრულ გზას მიაგნო - ისინი კომპანიაში დაასაქმეს და მათგან საუკეთესოებს კლუბში აიყვანენ. „ვისოლში“ უმაღლეს ლიგაში ნათამაშები ძალიან ბევრი ფეხბურთელი მუშაობს“,* - გვითხრა კვარაცხელიამ.

მინიფეხბურთის ტურნირი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ხუთ სანავთობო კომპანიას შორის „ქარიშხალაში“ გაიმართა და „ვისოლის“ გამარჯვებით დასრულდა. ინიციატივა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელებს, **ივანე მთვრალაშვილისა** და **ვახტანგ იობაშვილს** ეკუთვნით. ტურნირის ორგანიზატორობა მამუკა კვარაცხელიამ გასწია. ტურნირს ფიფას მსაჯები - **გოჩა ცირდავა, ავთო სამხარაძე** და **დავით სანაია** გაუძღვნენ. ფინალში „ვისოლმა“ „სოკარს“ 1:0 სძლია. საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე 27 წლის **თემურ ჯაფარიძე** („ვისოლი“) გახდა 7 გოლით, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ბევრ მოთამაშეს აჯობებს. საუკეთესოები კი ოლიმპიურმა ჩემპიონმა **გელა კეტაშვილმა** დააჯილდოვა.

„სოკარმა“ და „ვისოლმა“ კომპანიაში საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები და ვეტერანი ფეხბურთელები დაასაქმეს, შესაბამისად, ძლიერი გუნდებიც ჩამოაყალიბეს. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ საფეხბურთო ასაკშია, მაგრამ უსახსრობის გამო დიდ ფეხბურთს შეეშვა და ახლა იქ დაბრუნების შანსი უჩნდება. ვფიქრობთ, კარგი წამოწყებაა და ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა სხვა კომპანიებსაც არ აწყენდათ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი სულს ლაფავს, ზოგიერთი გუნდი თითქმის დაშლილია, ზოგიც იშლება და უამრავი მოთამაშე ქუჩაში რჩება. თავის დროზე თბილისის „დინამოც“ ასე შეიქმნა - **ბორის პაიჭაძე** მეზღვაური იყო, **გაიოზ ჯეჯელავა** - რკინიგზელი და ასე შემდეგ... ისინი პოლიციის გუნდში გააერთიანეს და ქართული ფეხბურთის დიდ ლეგენდას დაუდეს საფუძველი.

შესაძლოა, ახლა ასეთ მოდელზე ბევრს გაეცინოს, მაგრამ ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობა არაორდინარული გადაწყვეტილებების აუცილებლობას გვკარნახობს. „ვისოლის“ გუნდის დაარსება უდავოდ დიდი საქმე იქნება მძიმე ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდნილი ქვეყნის ფეხბურთისთვის და წესით, სხვა კომპანიებისთვისაც გადამდები უნდა იყოს. თუმცა, სანამ ეს განხორციელდება, კვარაცხელიას თქმით, „ვისოლში“ კრიზისის დასრულებას ელიან, იდეას კი „ფილტრში“ ატარებენ - როგორ და რა დოზით ულირთ ქართულ ფეხბურთში ინვესტიციის ჩადება...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები

# დვალიშვილის შესაშური სტარტი

## ხუბუტია თავს მარტო არ გრძნობს

ორი ტური და ოთხი გოლი, შესაშური პროდუქტიულობით დაიწყო ლატვიური ვირსლიგა რიგის „სკონტოს“ ქართველმა ფორვარდმა ლადო დვალიშვილმა. მეორე ტურში ლატვიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დებიუტანტ „ტრანზიტსს“ მასპინძლობდა. „სკონტომ“ სწორედ ლადო დვალიშვილის გოლის წყალობით მოიგო - 1:0. მატჩი რიგაში დახურულ დარბაზში გაიმართა და მას 350 მაყურებელი დაესწრო. კაპიტანმა დავით გამეზარდაშვილმა და ლადო დვალიშვილმა 90-90 წუთი ითამაშეს. ლადომ მე-8 წუთზე 14 მეტრი მანძილიდან გაიტანა მარცხენა კუთხეში. ლადო მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური იყო, ქართველი კარს ექვსჯერ დაემუქრა, ერთხელ კიდევ გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. მატჩის შემდეგ პოლ ეშვორტმა „სკონტოს“ დაცვა შეაქო გამეზარდაშვილის თამადობით, სწორედ მათი კარგი თამაშის გამო სტუმრებმა საგოლე მომენტები ვერ შექმნესო.

ჩემპიონმა ვენტსპილსმა“ 1:0 დაამარცხა „ოლიმპსი“. **ზურაბ მენთეშაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. გამარჯვების გოლი **ვიტას რიმკუსმა** გაიტანა, ეს გამოცდილი ფორვარდის 150-ე გოლია ჩემპიონატში. ზურას მეორე ტაიმში ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ გოლკიპერმა **კოლინკომ** იყოჩაღა და ქართველის თავური მოიგერია.

**თამაზ პერტიას** „დინაბურგი“ შინ 1:2 დამარცხდა „იურმალასთან“. ამ მატჩში ორივე გუნდის სათადარიგოთა სკამზე ქართველი იჯდა, თუკი **ირაკლი ქორთუას** („დინაბურგი“) მოედანზე შემოსვლა არ ეწერა, სტუმართა ჩვენთვის უცნობი ქართველი ლეგიონერი **გაგა გუგუნაშვილი** 74-ე წუთზე გამოჩნდა.

ლიტვის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში გოლი ამ ქვეყანას შემორჩენილმა ერთადერთმა ჩვენებურმა გაიტანა - „კაუნასმა“ 3:1 მოუგო „ატლანტასს“. **აკაკი ხუბუტიამ** მასპინძელთა ბოლო ბურთი 75-ე წუთზე გაიტანა. „კაუნასი“ 55 ქულით მეორე ადგილზეა და „ეკრანასს“ 10 ქულით ჩამორჩება.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში მთავარი გაირკვა, სასწაული უნდა მოხდეს, რომ **ვაჟა თარხნიშვილმა** კიდევ ერთხელ ვერ იზეიმოს ჩემპიონობა. „შერიფი“ 58 ქულით პირველია და „დაჩიას“ 11 ქულით უსწრებს. მეტი მდევარი კი თარხნიშვილის გუნდს არ ჰყავს. ამ უქმეებზე „შერიფი“ კიშინიოვში „ზიმბრუს“ ეწვია და 2:0 მოუგო. კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა მოლდოვურ კლასიკოში. ქართველთა „დაჩია“ ამ ტურში ისვენებდა.

აზერბაიჯანში ბომბარდირთა დავაში **ივან ცვეტკოვს** (12 გოლი) ჩამორჩა **ამირან მუჯირი** (11 გოლი). სამაგიეროდ მისმა გუნდმა ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. პრინციპში აზერბაიჯანში უფრო ცხადი ხდება, რომ ტიტულისთვის ორი გუნდი, „ბაქი“ და „ინტერი“ იბრძოლებს, რომელთა შორის სხვაობა მხოლოდ ქულაა. ბაქოურ მცირე დერბიში „ბაქიმ“ 3:1 დაამარცხა „ბაქილი“. **ბახტიარ სულთანოვის** ჰეთ-თრიკის წყალობით მასპინძლები უკვე პირველ ტაიმში 3:0 დაწინაურდნენ, ამიტომ კაპიტანი ამირან მუჯირი მეორე ტაიმში აღარც გამოსულა. მუჯირი ერთხელ ძალიან ახლოს იყო გოლის გატანასთან, მაგრამ მას ბედმა უმუხთლა. **გიორგი ადამია** და **გიორგი დემეტრაძე** სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ.

**ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა კვლავ მასზე წინ მყოფ გუნდს დააკარგვინა ქულები, „სტანდარდი“ ამჯერად ფრეს დასჯერდა „ოლიმპიკთან“ მატჩში - 0:0. **დავით ჭიჭველიშვილმა** და **ლევან სილაგაძემ** სრულად ითამაშეს. ასევე შეუცვლელად ითამაშეს ოლიმპიკელმა, **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და **რომან ახალკაცმა**. **რევაზ გეწაძე** („ოლიმპიკი“) ჯერაც ტრავმირებულია.

„გაბალამ“ შინ 3:0 მოუგო „ქარვანს“. ამ მატჩის მეორე გოლი **თორნიკე აფციაურმა** გაიტანა. მასპინძელთა რიგებში **გოგა ბერაიამ** 90 წუთი ითამაშა, თორნიკე კი 62-ე წუთზე შევიდა. სტუმართა რიგებში 69-ე წუთამდე ითამაშა **მიხეილ მესხმა**, ხოლო 55-ე წუთიდან **ალექსანდრე ინწკირველი** გამოჩნდა. წინა ტურში დუბლის ავტორი გივი ჩხეტიანი დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა „ხაზართან“ გასვლით მატჩს და მისი მოიკ-იც 0:2 დამარცხდა. ზაქათალაში ქართველთა „სიმურგი“ 0:0 დაუზავდა „ყარაბახს“. **კახა ჩხეტიანმა** და **მიხეილ მახვილაძემ** შეუცვლელად ითამაშეს, **გრიგოლ დოლიძე** 56-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **დავით ბოლქვაძე** 66-ეზე გამოჩნდა. „სიმურგი“ 38 ქულით მეოთხე ადგილზეა, „ოლიმპიკი“ 33 ქულით მეხუთეა.

დაიწყო სომხეთის ჩემპიონატიც. პირველ ტურში **ივო შუშაკის** „მიკამ“ სტუმრად 2:0 დაამარცხა „განძასარი“. ეს შუშაკის სადებიუტო მატჩი იყო სომხეთში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლადო დვალიშვილი



ვარსკვლავი

# დისციპლინა და პატივმოყვარეობა


ეროვნული ბიბლიოთეკა

21 მარტს, **ლოთარ მათეუსი** 48 წლისა გახდა. ის გენიოსია და მასზე რაც უნდა ალმატებულად წერო, მაინც ცოტა იქნება. ფანების ფავორიტი, ნაციის საყვარელი ფეხბურთელი, ცოცხალი ლეგენდა, ტალანტი, ნამდვილი კაპიტანი, ბელადი, სიმართლის პირში მთქმელი, მწარე ენის პატრონი, ხუმარა, სკანდალისტი, სექსსიმბოლო - ყველაფერი ეს შეიძლება მასზე ითქვას. მსგავსი პერსონების ირგვლივ მუდამ ხმაურია. ლოთარს 4 ცოლი და 3 შვილი ჰყავს. მისი მოქმედი მეუღლე უკრაინელი **კრისტინა ლილიანია,** ვინც მასზე ასაკით ორჯერ პატარაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ლოთარი საფეხბურთო გერმანიაში უდიდესი ფიგურაა, ისეთი, რომელიც მინდვრის გარეთაც წონად ავტორიტეტს ფლობს. ის მინდორზე გამარჯვებების მოსაპოვებლად ათას პირ ტყავს იძრობდა, ცხოვრებაში კი არანაკლებ ენერგიას ხარჯავდა სახელის მოსაპოვებლად. მასზე ყოველთვის მსჯელობდნენ და ალმერთებდნენ.

საფეხბურთო ტიტულებით ლოთარს ბევრი ვერ შეედრება. მათეუსი მინდორზე გამორჩეული უნივერსალი იყო - ერთნაირი წარმატებით თამაშობდა როგორც გამთამაშებლის, ისე საყრდენისა და კარიერის მიწურულს, ლიბეროს პოზიციაზე. მის ანგარიშზე ბევრი რეკორდი და ნაკრებში ჩატარებული უსაშველოდ ბევრი თამაშია - 150 მატჩი გერმანიის ეროვნულ გუნდში მართლა მოვლენაა. პირველად გერმანიის მთავარ გუნდში 1980 წლის 14 ივნისს, 19 წლისა გამოჩნდა, უკანასკნელად საამაყო თეთრი კვართი 39 წლისამ, 2000 წლის 20 ივნისს მოირგო და ამ დროის განმავლობაში რეგულარულად ასპარეზობდა... თუმცა იყო დრო, 1995 წლიდან 1998-მდე, როცა **ბერტი ფოგტსი** ზედმეტად მიიჩნევდა ვეტერანის სამსახურს, რადგან ლიბეროზე მას გენიალური **მათიას ზამერი** ჰყავდა. შეიძლება გაუგო ფოგტსსაც, მათეუსი სკამზე ძნელი წარმოსადგენი იყო, ლოთარი ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. სწორედ ეს პერიოდი დაემთხვა გერმანიის ნაკრების თბილისურ ვიზიტს. სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ ვერ იხილა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი. მათეუსის ანგარიშზე მრავალი რეკორდია-თქო... მან ითამაშა 1980, 1984, 1988, 2000 წლების ევროპისა და 1982, 1986, 1990, 1994, 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე - ვგონებ, კომენტარი ზედმეტია. ხუთჯერ მუნდიალზე მექსიკელ **ანტონიო კარბახალსაც** უასპარეზია, მაგრამ ლოთარის ანგარიშზე უმაღლეს ფორუმზე გამართული 25 შეხვედრაა. ეჭვი გვაქვს, უახლოეს მომავალში ამ შედეგის გაუმჯობესება ვინმემ შეძლოს. მან ითამაშა ევროპის პირველობის ექვს შესარჩევ ციკლში, შვიდჯერ მოიგო გერმანიის ჩემპიონის ტიტული, მოიგო იტალიის სერია A, ორჯერ გაიმარჯვა უეფას თასზე, ლეგენდა კი ერთ მშვენიერ დღეს მოინხენგლადბახის „ბორუსიაში" დაიწყო.

ტრიუმფულ 1990 წელს მათეუსი გერმანიის ნაკრების იმ ფორმაციის ლიდერი იყო, რომელზეც **გარი ლინეკერმა** ენამოსწრებულად ბრძანა, ფეხბურთის თამაშს 22 კაცი იწყებს და ბოლოს გერმანელები იგებენო. ლოთარმა ამ წელს ყველანაირი ინდივიდუალური პრიზი მოიგო. გარდა „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთისა" მან „ონზ მუნდიალის" მიერ დაწესებული ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიიღო, მასვე ხვდა წილად ინგლისური „ვოლდ სოკერის" მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის ჯილდო, ხოლო „კიკერმა", ბუნებრივია, გერმანიის წლის ფეხბურთელად ცნო. ერთი წლის შემდეგ ფიფამ სწორედ მისთვის გაიმეტა მსოფლიოში უპირველესის სახელი. 1990 წელს, იტალიაში, გადამწყვეტ შეხვედრაში გერმანიის ნაკრების თავკაცმა **ფრანც ბეკენბაუერმა** აღარ დაუშვა ოთხი წლის წინანდელი შეცდომა და მათეუსს **დიეგო მარადონას** მეურვეობა აღარ დაავალა. ლეგენდამ მთელი ძალები შეტევისკენ მიმართა და ამან შედეგი გამოიღო კიდეც - გერმანიამ არგენტინა აშკარად დაჯაბნა. სწორედ ამან ათქმევინა დიეგოს წლების მერე საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგნში: *„მათეუსი იყო ყველაზე დიდი მეტოქე, ვინც კი მინდორზე შემხვედრია. მის დასახასიათებლად ალბათ ეს სიტყვები საკმარისია"*. საკმარისია, დონ დიეგო, საკმარისი.

ლოთარს ფეხბურთმა მეგობრების გარდა არაკეთილისმოსურნეებიც შესძინა. 90-იანების საფეხბურთო გერმანიას რამდენიმე გენიოსი ჰყავდა, მათ შორის ერთ-ერთი ულაპარაკოდ **იურგენ კლინსმანი** იყო. მათეუსი და კლინსმანი ერთმანეთში ვერც პოპულარობას იყოფდნენ, ვერც ნაკრების ლიდერობას და წარმოიდგინეთ, რა ხასიათზე დადგებოდა ლოთარი 1995 წელს, როცა „ბაიერნმა" „ტოტენჰემიდან" გერმანიის ნაკრების შეტევების ლიდერი გადაიბირა. ერთმანეთისადმი ჯიბრმა ორ სუპერვარსკვლავს შორის დასაშვები ზღვარი გადალახა. ზღვარს კი სწორედ მათეუსმა გადააბიჯა. მან ერთ-ერთ მეგობართან შემდეგი გარიგება დადო - მისი თანაგუნდელი სეზონის განმავლობაში ბუნდესლიგაში 15 გოლზე მეტს ვერ გაიტანდა... კლინსიმ 16 შეაგდო. ამბავი გახმაურდა, რამაც „ბაიერნის" პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. კლუბის მმართველმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, მისთვის რეკორდმაისტერის კაპიტნობა ჩამოერთმია. სამკლაური **თომას ჰელმერს** გადაეცა. ისედაც დაძაბული ურთიერთობა ფეხბურთელებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა, რამაც 1997 წელს კლინსის „ბაიერნის" დატოვებისკენ უბიძგა. იმასაც კი ამბობდნენ, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის მილმა მათეუსი ფოგტსმა სწორედ იურგენის დაჟინებული მოთხოვნით დატოვაო. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, მაშინდელ ნაკრებში მათეუსი ძირითადში ნამდვილად ვერ მოხვდებოდა. 35 წლის ვეტერანი ჯანლონით სავსე ზამერს სკამზე ვერ გადასვამდა. 1998 წელს საფრანგეთში კლინსმანი და მათეუსი ისევ ერთ გუნდში აღმოჩნდნენ. ლოთარი ისევ საუკეთესო იყო მანშაფტის შემადგენლობაში. ის პირველად და უკანასკნელად კრიტიკის ქარცეცხლში ევრო 2000-ის შემდეგ მოექცა, ლეგენდას ფიტული შეარქვეს და მოუწონდეს, მადამ **ტიუსოს** მუზეუმში თავისი ფეხით წასულიყო. იმავე ზაფხულზე მან ფეხბურთიდან წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთა და გამოსამშვიდობებელ მატჩში მისი ცხოვრების ყველაზე დიდი მეტოქე დიეგო მარადონა დაპატიჟა.

ეს სანაკრებო კარიერაზე მოგითხრეთ, რაც შეეხება საკლუბოს: ვარსკვლავმა ბოლოს „ნიუ იორკ მეტროსტარზის" ღირსება დაიცვა, თუმცა სოკერის ამერიკელი ფანები უკმაყოფილონი დატოვა. მათ ლეგენდარული მათეუსის ნაცვლად მისი აჩრდილი იხილეს. ლოთარს თამაშის მოტივაცია შერჩენილი უკვე აღარ ჰქონდა და ოკეანისგაღმელთა რეაქციაში გასაკვირი არც არაფერი იყო.

მათეუსმა სწორედ ამერიკაში გაიცნო **ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოები.** აქედანვე დაიწყო მისი მეგობრობა უკრაინელებთან, რომელიც რამდენიმე თვის წინ იმით დასრულდა, რომ 21 წლის უკრაინელი მოდელი კრისტინა ლილიანა ცოლად მოიყვანა.

მათეუსს გარდა გამარჯვებებისა, იმედისგაცრუებაც მრავლად უნახავს ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში. პირველი დიდი გულისტკივილი 1987 წლის 27 მაისი იყო, როცა მისი „ბაიერნი" „პორტუსთან" ჩემპიონთა თასის ფინალში აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა. მიუნხენელებს ანგარიში მიჰყავდათ კიდეც, მაგრამ მოახერხეს და მეორე ტაიმში რამდენიმე წუთის განმავლობაში ორი გოლი გაუშვეს. ეს თითქოს რეპეტიცია იყო 12 წლის შემდგომი მოვლენების. 1999 წლის 26 მაისს, ბარსელონის „კამპ ნოუზე" „ბაიერნი" "მანჩესტერს" შეხვდა. შედგა ალბათ ყველა დროის ყველაზე დრამატული ფინალი. გერმანელებმა ანგარიში გახსნეს, მატჩის 90-ე წუთამდე იგებდნენ კიდეც, მეტიც, მათ აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის განმავლობაში... მაგრამ იმ დღეს ზეციდან სერ **მეტ ბასბის** სული დაეშვა (26 მაისი სწორედ ბასბის დაბადების დღეა) და მანჩესტერელებს ჯადოსნური ერთი წუთი აჩუქა - "ეშმაკებმა" ორი გოლი გაიტანეს. ბედის ირონიაა, მაგრამ რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგა 2001 წელს მოიგო, ერთი წლის თავზე მას შემდეგ, რაც მათეუსმა მიუნხენი დატოვა. ჩვენი გმირისთვის დიდი იმედის გაცრუება იყო 1988 წლის ევროპისა და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებიც. ის ხომ ორჯერვე ნაკრების კაპიტანი იყო და ეს განსაკუთრებულად მძიმე ტვირთად აწვებოდა მის პატივმოყვარეობას.

ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მათეუსმა სამწვრთნელო კარიერა დაიწყო. სიმართლე ითქვას, ციდან ვარსკვლავებს დღემდე ვერ წყვეტს. მას ჰქონდა და დღემდე აქვს ამბიცია, რომ ბუნდესგუნდი ჩაიბაროს, თუმცა მას ეროვნულ გუნდს დღემდე არ აკარებენ. წარმოიდგინეთ, რამდენად მძიმე გადასატანი იქნებოდა მისთვის ის, რომ 2004 წელს ნაკრები მის მთავარ „მტერ" კლინსმანს ჩააბარეს... თან ვისი რეკომენდაციით? ბეკენბაუერის! მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ გადაწყვეტილებას სკეპტიკურად შეხვდა და ერთი ორი შხამიანი სიტყვაც ესროლა ყოფილ პარტნიორს, ნაკრების პროგრესს ყოველ ნაბიჯზე აღნიშნავდა და მადლობასაც კი უხდიდა გაწეული სამუშაოსთვის. ნაკრების შემდეგ ლოთარისთვის მთავარი ამბიცია „ბაიერნის" მწვრთნელობა გახლავთ. აქაც ისე მოხდა, რომ გუნდი სწორედ კლინსის ჩააბარეს... ისევ „კაიზერ ფრანცის" ინიციატივით. არადა, დიდ მწვრთნელობას კაიზერი სწორედ მათეუსს უწინასწარმეტყველებდა. მათეუსმა ეს უკვე ველარ აიტანა და ცინიკურად იკითხა, *„ვულოცავ „ბაიერნს" კლინსმანის გადაბირებას, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს, ვინ გაწვრთნის გუნდს"?*

ვეცადეთ, ძალიან მოკლედ მოგვეთხრო დიდ გერმანელზე... დაბოლოს, ერთხელ, როგორღაც, მას ჩვენმა კოლეგებმა ჰკითხეს, თქვენი წარმატებული, ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის საიდუმლოება რაში მდგომარეობსო, რაზეც მან მოკლე და ბრწყინვალე პასუხი გასცა: *„ყოველთვის ვიცავდი დისციპლინას, მაწუხებდა პატივმოყვარეობა და მქონდა საკუთარი ძალების რწმენა"*.



ჩელსი

# ბრიუს ბაქი: არჩევანი ძნელია

## ჰიდინკს რაიკაარდი შეცვლის, არნესენს კი ვან დერ ზეე

საზაფხულოდ „ჩელსიში" სერიოზული ცვლილებებისთვის რომ ემზადებიან, ამას უკვე აღარავინ მალავს. ხსენებულ თემაზე აქა-იქ ხმები „ჩელსის" კულუარებიდან უკვე გამოდის და გაზეთებიც ინტენსიურად წერენ ამა თუ იმ შესაძლო სცენარზე. მაგალითად, უკვე რამდენჯერმე გაჟღერდა, რომ **გუუს ჰიდინკი რომან აბრამოვიჩს** დაჟინებით ურჩევს ამჟამად უმუშევარი **ფრანკ რაიკაარდის** დანიშვნას. მოქმედი მწვრთნელი საბოლოოდ ადასტურებს, რომ ის რუსეთის ნაკრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაშორდება, თუკი შესარჩევ ციკლს წარუმატებლად ჩაამთავრებს და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდება. მოიპოვებენ თუ არა რუსები სამხრეთი აფრიკის საგზურს, ნოემბერზე ადრე ვერაფრით გაირკვევა. შესაბამისად, სეზონის ბოლოს ის "არისტოკრატებს" ნამდვილად დაშორდება. ლონდონელებს კვალიფიციური მწვრთნელი ჰყავთ შესარჩევი. გარდა დამრიგებლისა, გადაადგილებები იქნება სხვა თანამდებობებზეც. ამჟამინდელი სპორტული დირექტორი, დანიელი **ფრანკ არნესენი** საკლუბო დირექტორის თანამდებობაზე განაგრძობს მუშაობას, ხოლო მის ადგილს „აიაქსის" მთავარი სკაუტი **ჰანს ვან დერ ზეე** დაიკავებს.

„ჩელსი ტვ-ის" ეთერში კლუბში შექმნილ მდგომარეობაზე ვრცლად ისაუბრა "ჩელსის" პრეზიდენტმა **ბრიუს ბაკმა**. მისი თქმით, მართალია, ჰიდინკი ზაფხულში წავა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ის კლუბს წარმატებული ტრანსფერების ხორცშესხმაში ხელს შეუწყობს, მისი გავლენა კლუბის ცხოვრებაზე უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდება, ვიდრე ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. *„ვაპირებთ, ჰიდინკის აზრიც გავითვალისწინოთ საზაფხულო ტრანსფერებთან დაკავშირებით,"* - განაცხადა ბაკმა. "არისტოკრატთა" ამერიკელი პრეზიდენტი რატომღაც გულწრფელობის ხასიათზე დადგა და წარსულსაც გადასწვდა. *„სულაც არ მგონია, რომ სატრანსფერო საქმიანობაში იმაზე მეტი შეცდომა დავუშვით, ვიდრე სხვა კლუბები უშვებენ. ამ დასკვნამდე გასული ხუთი წლის ანალიზის შედეგად მივდივართ. კლუბის პოლიტიკა იდეალურისგან, რა თქმა უნდა, შორს იდგა. რიგ მომენტებში მეტად სუბიექტურ გადაწყვეტილებებსაც ვიღებდით. საქმისადმი ასეთ მიდგომას ყოველთვის არ მოაქვს სასურველი შედეგი. ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ ორი სრულყოფილი ტრანსფერი მაინც გავჩარხეთ, დიდიე დროგბა და მიკაელ ესიენი, როცა ფორმაში არიან, ყოველთვის ამტკიცებენ, რომ მათში გადახდილი ფული წყალში არ გადაგვიყრია. გადაწყვეტილების მიღებისას არასდროს ხარ დაზღვეული, რომ შენ მიერ ივლისში ნაყიდი ფეხბურთელი, ვთქვათ, ნოემბერში ტრავმას არ მიიღებს და შემდეგ იგივე არ დაემართება ჩანკარშიც. პოლიტიკის გადახედვა ყველას მოუწევს, რადგან უეფაში აპირებენ 6+5 სისტემის შემოღებას. თუკი ეს პროექტი დამტკიცდა, იძულებულნი გავხდებით, აქცენტი ადგილობრივ კადრებზე გავაკეთოთ. მართალია, ეს წესი ძალაში შევა არა უადრეს 2012/13 წლების სეზონისა, მაგრამ ამ მიმართულებით ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიდეთ. ხსენებულ იდეას მონინებით ვეპყრობით. გვესმის, რომ ინგლისის ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ინგლისელი ფეხბურთელების წინა პლანზე წამოწევა აუცილებელია. სწორედ ამიტომ არნესენს უკვე მივეცით მითითება, პირველ რიგში, ადგილობრივი ტალანტები ეძებოს. იცით, რა, პროფესიონალი იურისტი ვარ და მშვენივრად მესმის, ხსენებული წესი ევროკავშირის კანონებთან წინააღმდეგობაში მოდის, თუმცა იმასაც ვაცნობიერებ, რომ უეფასა და ფიფას მაღალჩინოსნები როგორმე მაინც მოახერხებენ მისთვის კანონის ძალის მინიჭებას.*

*რაც შეეხება მწვრთნელის საკითხს. იმის გათვალისწინებით, რომ 5 წელიწადში 4 სპეციალისტი გავათავისუფლეთ, გვინდა, გუნდს ამ მხრივ მეტი სტაბილურობა შევძინოთ. „ჩელსის" მესაკუთრე, მმართველი საბჭო და ოფიციალური პირები ერთ აზრზე ვართ. სწორედ ამიტომ, დიდი სურვილი გვაქვს, ვიპოვოთ მაღალი კვალიფიკაციის დამრიგებელი და მას გუნდი ხანგრძლივი დროით ჩავაბაროთ. მიუხედავად ყველაფრისა, გუნდი ბოლო წლების განმავლობაში მაინც წარმატებით ასპარეზობდა. ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად გვაკლდა, იყო სწორედ სტაბილურობა. იმედია, ამას უახლოეს მომავალში მივაღწევთ".*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ვოლფსბურგი

# მაგათის მაგიური სამკუთხედი

## მიშიმოვიჩი, ჯეკო, გრაფიტე. ტრიო, რომელსაც გასაოცარი შედეგები აქვს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიქს მაგათის გმირები: მიშიმოვიჩი, ჯეკო და გრაფიტე

თუ ბუნდესლიგის პერიპეტიებს დიდი ხანია, თვალყურს ადევნებთ, აუცილებლად გემახსოვრებათ ტერმინი „შტუტგარტის" მაგიური სამკუთხედი. 90-იან წლებში შვაბურ კლუბს ჰყავდა გენიალური გამთამაშებელი **კრასიმირ ბალაკოვი**, რომელიც გენიალურ თავდამსხმელებს, **ჯოვანი ელბერს** და **ფრედი ბობიჩს** პასებით ამარაგებდა, ისინი კი გოლებს იტანდნენ. იმ „შტუტგარტის" თავკაცი **ფელიქს მაგათი** გახლდათ. დღეს კი, „დესპოტი ფელიქსი" „ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელია და ამ გუნდშიც ჰყავს მაგიური ტრიო.

ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონი უკვე 25 ტურს ითვლის და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ მომენტისთვის „ბაიერნსა" და „ვოლფსბურგს" აბსოლუტურად ერთნაირი შედეგები აქვთ! ცხადია, „მგლების" ასეთი მიღწევა პირველ რიგში მაგათის დამსახურებაა, მაგრამ თუ ფეხბურთელებზე მიდგა საქმე, აუცილებლად უნდა გამოვყოთ ტრიო, რომელიც „ვოლფსბურგის" წარმატების გარანტია: ფლეიმეიქერი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** და თავდამსხმელები, **ედინ ჯეკო და გრაფიტე**. ეს არის სამეული, რომელმაც ვოლფსბურგელ ფანებს „ვერცხლის სინზე" ოცნება დააწყებინა. 25 ტურის შემდეგ, ლიდერთან მხოლოდ ერთქულიანი ჩამორჩენა და „ბაიერნთან" აბსოლუტური თანაფარდობა - თუ ვინიცობაა, ვინმეს ჯერ კიდევ ჰქონდა ასეთი განცდა, ახლა მაინც მიხვდებოდა, რომ „მგლები" ნამდვილად არ ხუმრობენ. და ახლა უკვე თვითონ განსაჯეთ, როგორ ელოდება საფეხბურთო გერმანია მომდევნო ტურს, როცა „ვოლფსბურგმა" „ბაიერნს" უნდა უმასპინძლოს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები თვეების განმავლობაში ბჭობდნენ, თუ როგორ უნდა წარმოეთქვათ „ვოლფების" ბრაზილიელი თავდამსხმელის სახელი და საბოლოოდ, კოლექტიურად შეთანხმდნენ ასეთ ვარიანტზე: „გრაფიჩ". მაგრამ შაბათს, ფორვარდმა პირდაპირ ეთერში თქვა, ამდენს რომ მარჩიელობთ, ერთი ჩემთვის გეკითხათ და გეტყოდით, რომ „გრაფიჩ" შეცდომაა, მე გრაფიტე მქვიაო. კიდევ კარგი, რომ ჩვენც არ დავუჯერეთ გერმანელ ექსპერტებს და „ვოლფსბურგის" ბრაზილიელ გოლეადორს დასაბამიდან გრაფიტეს ვეძახდით...

ისე, ცოტათი სასაცილოც კია ის, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ფეხბურთელის გვარს შეცდომით გამოთქვამდნენ, რადგან გრაფიტე მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო - ბოლოს და ბოლოს, შაბათს, „არმინიასთან" რომ გოლი გაიტანა, ეს მისთვის მე-18 გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში, რითაც ბრაზილიელი ბომბარდირთა დავაში ტრავმირებულ **ვედად იბიშევიჩს** გაუთანაბრდა. აღსანიშნავია, რომ გრაფიტეს იბიშევიჩზე უკეთესი შედეგი აქვს. როგორც იცით, „ჰოფენჰაიმის" თავდამსხმელმა 18 გოლი 17 თამაშში გაიტანა, მერე დაშავდა და მას შემდეგ აღარ უთამაშია. გრაფიტეს კი 18 გოლის გასატანად 16 მატჩი ეყო.

თუმცა გრაფიტე ვოლფსბურგელთა წარმატების ნაწილია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ზუსტად ერთი მესამედი. ფლეიმეიქერ ზვიეზდან მიშიმოვიჩთან და ბოსნიელ ფორვარდ ედინ ჯეკოსთან ერთად ის ბუნდესლიგის ყველაზე სახიფათო და შედეგიან შემტევ ტრიოს ქმნის. გამთამაშებელმა მიშიმოვიჩმა ამ სეზონში უკვე 14 საგოლე პასის გაკეთება მოასწრო და ამ შედეგით, რა თქმა უნდა, ბუნდესლიგის საუკეთესო მეპასეა, თანაც მდევრებს დიდი უპირატესობით უსწრებს. ჯეკოს კი 13 გოლი აქვს გატანილი, რითაც, ბომბარდირთა დავაში მთლად გრაფიტესთან ახლოს ვერ არის, სამაგიეროდ, მას რვა საგოლე პასი აქვს და გოლს პლუს პასის ცხრილში მესამე ადგილზეა.

ეს ყველაფერი სტატისტიკაა, საიდანაც გამომდინარეობს კიდეც „ვოლფსბურგის" წარმატება: **ფელიქს მაგათის** სამწყსო გერმანიაში 2009 წლის საუკეთესო გუნდია. „ვოლფებმა" მხოლოდ მეორე წრის პირველი თამაში ვერ მოიგეს (ფრე „კიოლნთან"), რის შემდეგაც შვიდივე მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და ახლა ჩემპიონობაზე სავსებით სამართლიანად აქვთ პრეტენზია. ის ფაქტი, რომ 25 ტურის შემდეგ „ვოლფსბურგს" ზუსტად ისეთი მაჩვენებლები აქვს, როგორიც „ბაიერნს", მაგათს სიამაყის საფუძველს აძლევს - მან მიაღწია ზუსტად იმას, რასაც იურგენ კლინსმანმა ათჯერ უფრო სახელოვანი და ძლევამოსილი გუნდით.

„არმინიასთან" მატჩში ვოლფსბურგელებმა ერთი ისეთი სერია შეწყვიტეს, როგორზეც ზემაგიური ბალაკოვი-ელბერი-ბობიჩის ტრიოც მხოლოდ თუ იოცნებებდა: როდესაც საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე ბილეფელდელთა კარში **აშკან დეჟაგამ** მესამე გოლი გაიტანა, ეს იყო ვოლფსბურგელთა პირველი გოლი მიმდინარე სეზონის მეშვიდე (!) ტურის შემდეგ, როცა გოლში არც გრაფიტემ მიიღო მონაწილეობა, არც მიშიმოვიჩმა და არც ჯეკომ. წარმოიდგინეთ: „ვოლფსბურგის" ბოლო 38 გოლიდან, მიშიმოვიჩი, ჯეკო და გრაფიტე ან თვითონ იტანდნენ, ანაც ერთმანეთს ან სხვას ატანინებდნენ. საერთო ჯამში კი, ამ ტრიომ „ვოლფსბურგის" 53 გოლიდან, 46-ში მიიღო უშუალო მონაწილეობა, რაც 87 პროცენტია! ვიმეორებთ, 87 პროცენტი!

*„სამივე ძალიან კარგად თამაშობს, გრაფიტე, ჯეკო და მიშიმოვიჩი შესანიშნავ სეზონს ატარებენ, მაგრამ ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ მეორე წრეში უდიდესი პროგრესი განვიცადეთ, სულ სხვა რამეა და კერძოდ ის, რომ ზამთრის არდადეგების შემდეგ ჩვენი დაცვის ხაზი გაცილებით სტაბილური გახდა. თორემ წინა ხაზში პირველ წრეშიც ძალიან მაგრები ვიყავით,"* - ამბობს მაგათი, რომელმაც „არმინიასთან" შესანიშნავი თამაშის შემდეგ, შეგირდებს 2 თავისუფალი დღე აჩუქა. ვინც „დესპოტ ფელიქსს" იცნობს, ეცოდინება, რომ მისი მხრიდან 2 დღის დათმობა უდიდესი საჩუქარია.

ასე რომ, მაგათს შეუძლია იამაყოს: მან თითქმის უცნობი და მანამდე გამოუყენებელი ფეხბურთელებისგან შექმნა ტრიო, რომელიც საუკეთესოა ბუნდესლიგაში! ფელიქსი რომ დიდი მწვრთნელია, ვიცოდით, მაგრამ თუ „ვოლფსბურგში" მწირი ბიუჯეტით, მაგრამ სრული ძალაუფლებით ასეთ წარმატებას მიაღწევდა, ნაღდად არ გვეგონა. ფაქტია, მისი წარმატების საიდუმლოც სწორედ ის არის, რომ „ვოლფსბურგმა" მას სრული კარტ-ბლანში მისცა: აჰა, შენ გუნდი, აჰა, ფინანსები და რაც გინდა ის ქენიო. ფაქტია ისიც, რომ ფელიქსი თავიდან დიდ რისკზე წავიდა.

მაგათმა „ვოლფსბურგის" მწვრთნელად და მენეჯერად მუშაობა 2007 წლის ზაფხულში დაიწყო, ჯეკო და გრაფიტე კი მისი ერთ-ერთი უპირველესი ტრანსფერები გახლდათ. ედინ ჯეკო მან ჩეხური „ტეპლიცედან" იყიდა - მას მერე, რაც ოჯერ იყო ჩეხეთში ამ ფეხბურთელის სანახავად. იმ დროს ედინი 21 წლის გახლდათ და ჯერ კიდევ „ტეპლიცეს" იმედიცმომცემ ფორვარდს ფელიქსი ასე აქებდა: *„თუ მას ვიყიდით, ეს იქნება უპერსპექტიულესი ნაბიჯი მომავლისკენ!"* თუმცა რისკი ნამდვილად დიდი იყო - განა ერთ ან ორ ასეთ ფორვარდს გაუცრუებია იმედები? მაგრამ ფაქტია, რომ მაგათი გრაფიტეს შემთხვევაში უფრო დიდ რისკზე წავიდა. ეს ფეხბურთელი მან „ლე მანიდან" შეიძინა, სადაც ბრაზილიელს იმ სეზონში 34 თამაშში მხოლოდ 12 გოლი ჰქონდა გატანილი. და რაც ყველაზე საინტერესოა, ასეთ ფორვარდში ფელიქსმა 8 მილიონი ევრო გადაიხადა, რაც „ვოლფსბურგის" დარი გუნდისთვის ნამდვილად არ იყო მცირე თანხა.

გრაფიტესა და ჯეკოს დუეტმა მაგათს პირველსავე წელს გაუმართლა: 2007/08 წლების სეზონში ბრაზილიელმა 11 გოლი გაიტანა, ჯეკომ კი 8. იმ სეზონში ორივე თავდამსხმელს პასებით **მარსელინიო** ამარაგებდა, რომელმაც საბოლოოდ 10 საგოლე პასი მიითვალა. ამ შედეგმა კი ფელიქსი არ დააკმაყოფილა. მაგათმა სეზონის დასრულების შემდეგ მარსელინიო გაყიდა. ფანებს გუნდის ლიდერთან განშორების გადატანა არ გაუჭირდათ, რადგან იმ დროისთვის მაგათს უკვე ნაყიდი ჰყავდა მარსელინიოს შემცვლელი: ზვიეზდან მიშიმოვიჩი „ნიურნბერგიდან". იმ სეზონში ფრანკები მეორე ბუნდესლიგაში გავარდნენ და ზვიეზდანი ახალ გუნდს ეძებდა. მაგათმა „ნიურნბერგს" მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაუხადა.

შარშან მაგათმა „ვოლფსბურგი" ძალიან ჩუმად და უხმაუროდ შეაძვრინა საუკეთესო ხუთეულში, რითაც უეფას თასის საგზური მოაპოვებინა გუნდს, რომელიც წინა ორ სეზონში მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძოდა და ზედიზედ ორ სეზონში მე-15 ადგილზე გადიოდა. წელს კი, ფელიქსის „მგლები" სულაც გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვიან. რაც არ უნდა ილაპარაკოს მაგათმა, „ვერცხლის სინზე" არ ვფიქრობთო, შეუძლებელია, ეს სიმართლე იყოს, რადგან მისი გუნდი ლიდერ „ჰერტას" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. თანაც, მაგათს ნამდვილად უნდა, ყველას და განსაკუთრებით კი „ბაიერნის" ბოსებს დაუმტკიცოს, რომ მაგარი მწვრთნელია. შესაძლოა, საუკეთესოც კი ბუნდესლიგაში.

მიუხედავად ასეთი შესანიშნავი მდგომარეობისა, მაგათი მაინც ერთსა და იმავეს იმეორებს: *„ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი ამ სეზონში ისევ უეფას თასის საგზურის მოპოვება იყო და არის კიდეც,"* - თქვა 55 წლის მწვრთნელმა „არმინიასთან" გამარჯვების შემდეგ, - *„გვაქვს თუ არა უფრო მაღალი მიზნები, ეს კითხვა „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ დამისვით."* ჰო, ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ვოლფსბურგი" რეკორდმაისტერს მასპინძლობს და სწორედ ამ შეხვედრაში უნდა გამოჩნდეს, რამდენად ძლიერია „ვოლფსბურგი" სინამდვილეში და რამდენად არის მზად ეს გუნდი ჩემპიონობისთვის საბრძოლველად.

მაგრამ მაგათს ფეხბურთელებიც თავისებურად ჰყავს დარიგებული. თავად განსაჯეთ - „არმინიასთან" მატჩის შემდეგ, ჟურნალისტმა „ვოლფების" ნახევარმცველ **კრისტიან გენტნერს** ასეთი კითხვა დაუსვა: *„რა მოხდება, მომდევნო ტურში „ბაიერნსაც" რომ მოუგოთ?"* - *„ასეთ შემთხვევაში უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსებს გავიუმჯობესებთ,"* - ასეთი იყო გენტნერის პასუხი. არადა, გუნდი მეორე-მესამე ადგილებს იყოფს და ლიდერს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება...

**გოტფრიდ ლენცი**

დაპირისპირება

# მოურინიო ანჩელოტის წინააღმდეგ



**ჟოზე მოურინიო** არ ისვენებს და პრესისთვის მიცემულ კომენტარებში სულ უფრო და უფრო ხისტ განცხადებებს აკეთებს. პორტუგალიელი სპეციალისტი აქამდე მეტწილად არბიტრებს აკრიტიკებდა, გუშინ კი რატომღაც მისივე კოლეგა, **კარლო ანჩელოტი** ამოიღო მიზანში. მოურინიოს თქმით, „როსონერის" თავკაცი ვერ აკონტროლებს სიტუაციას და გუნდის წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზიც სწორედ ეს გახლავთ. ჟოზე ამით არ შემოიფარგლა და ყველასათვის მოულოდნელად, შემდეგი რამ განაცხადა:

*„კარლო ცუდი სპეციალისტი არაა, მაგრამ საქმეც იმაშია რომ მას მწვრთნელობას არ აცლიან. „მილანის" შემადგენლობას სილვიო ბერლუსკონი აყენებს და შეცვლებიც მეტწილად მისი კარნახით კეთდება. კარგი იქნება, თუ ანჩელოტი სადავეებს ხელთ იგდებს და გუნდის თამაშს თავად წარმართავს".*

აღნიშნულ განცხადებაზე „მილანის" ბანაკიდან კომენტარი არავის გაუკეთებია. **ადრიანო გალიანიმ** მხოლოდ ის ამოღერღა, რომ მსგავს სისულელეებზე აზრის გამოთქმას არ აპირებდა. სამაგიეროდ, სხვებმა გამოხატეს საკუთარი პოზიცია და მოურინიო მკაცრად გააკრიტიკეს. ერთ-ერთი პირველი, ვინც ხმა აიმაღლა, „კალიარის" დამრიგებელი, **მასიმილიანო ალეგრი** გახლავთ:

*„მოურინიო კარგი სპეციალისტია და ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ თუ მისი გამონათქვამებით ვიმსჯელებთ, არც თუ კარგი პიროვნებაა. მისი სიტყვები უბრალოდ სამარცხვინოა და მხოლოდ სიბრალულს იმსახურებს. კოლეგებს პატივისცემით უნდა მოეპყრო და მათთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნო. სამწუხაროა, რომ ჟოზე სხვაგვარად ფიქრობს".*

პირენეელის გამონათქვამს უპასუხა იტალიის მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, **რენცო ულივიერიმაც**:

*„მოურინიომ ეტყობა არ იცის, თუ რა სკოლას გადის თითოეული იტალიელი სპეციალისტი. თუ არ იცის, შეუძლია გაიაროს კურსები და ბევრი სასარგებლო რჩევაც მიიღოს. იტალიელი მწვრთნელები ყოველთვის გამორჩეულნი იყვნენ და ასე იქნება მუდამ. ვკითხოთ ლიპის, კაპელოს, სპალეტის - ერევა ვინმე მათ საქმიანობაში? იგივეა ანჩელოტის შემთხვევაშიც და უმჯობესი იქნება, ამ მართლაც შესანიშნავ სპეციალისტს მეტი პატივისცემით მოვეკიდოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## ვან გაალი სანდერლენდში?

„ალკმაარის" თავკაცი, 57 წლის **ლუი ვან გაალი** „სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება. ინგლისური პრესის ცნობით, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა საფინანსო კრიზისის გამო აშშ-ში დაგროვილი ქონების სერიოზული ნაწილი დაკარგა და ამიტომ ამჟამად მაღალანაზღაურებად სამუშაოს ეძებს. ბუნებრივია, ერედივიზიონში მას იმხელა ხელფასს ვერავინ გადაუხდის, რამდენიც შეიძლება პრემიერლიგაში გამოიმუშაოს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ „სანდერლენდის" სარფიან წინადადებას დათანხმდეს და სამუშაოდ ინგლისში წავიდეს. შეგახსენებთ, ვან გაალი წარსულში „აიაქსსა" (1991–1997) და „ბარსელონას" (1997–2000, 2002–2003) წვრთნიდა და მათთან ერთად არაერთი ტიტული მოიგო. თუმცა იმუშავებს თუ არა ის მომავალ წელს პრემიერლიგაში მთლიანად „შავ კატებზეა" დამოკიდებული. მთავარია, მათ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნონ. „სთედიუმ ოფ ლაითზე" მისვლის შანსი აქვთ ასევე **რობერტო მანჩინისა და ჟერარ ულიეს**.

## გიგზი: ყველაფერი ჩვენს ხელშია

„მანჩესტერ იუნაიტედის" უელსელი ვარსკვლავი **რაიან გიგზი**, კრიზისის მიუხედავად, „ეშმაკების" საჩემპიონო შანსებს ოპტიმისტურად უყურებს. „ალისფერებმა" „ფულჰემთან" წაგების შემდეგ „ლივერპული" ერთ ქულამდე დაიახლოვეს. მიუხედავად იმისა, რომ მანკუნიანელებს ერთი თამაში თადარიგში აქვთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ქულა უკვე არასახარბიელო სხვაობაა. *„ფულჰემთან" თამაში არ წაგვივიდა. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის. გავაკეთეთ უამრავი არაზუსტი პასი, ასევე ცოტას და არაეფექტურად ვმოძრაობდით. შემდეგ კი უმცირესობაში დავრჩით და სულ სხვა თამაში წავიდა. მოვახერხეთ კონცენტრაცია, უპირატესობა ხელთ ჩავიგდეთ, თუმცა მომენტები ვერ გამოვიყენეთ. შვარცერი ბრწყინვალედ თამაშობდა. ახლა მცირე შესვენება გვაქვს. იმედია, ნაკრების წევრი ფეხბურთელები ტრავმებს თავს აარიდებენ. გარწმუნებთ, მეტოქეთა თამაშის ხარისხი და შედეგები ჩვენ არ გვაღელვებს. მთავარი ის არის, რომ ჩემპიონატის ბედი ჩვენს ხელშია,"* - განაცხადა ვეტერანმა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი დანიშვნა

# კანი და შალკე

**მათიას ზამერმა „შალკეს" გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობა იუარა. შესაბამისად, ოთხიდან ერთი კანდიდატი გამოირიცხა. კანდიდატთა სიაში რჩებიან ჰერიბერტ ბრუხჰაგენი და ჰუუბ სტევენსი, მაგრამ გელზენკირხენული კლუბის შეფებს პირველ რიგში ის აინტერესებთ, რას გადაწყვეტს ოლივერ კანი.**



გახდება ტიტანი შალკეს მენეჯერი?

**კანთან** მოლაპარაკების შემდეგ, „შალკეს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ გელზენკირხენული კლუბის გენერალური მენეჯერის პოსტზე ოთხი კანდიდატი ჰყავს შერჩეული. გასული უქმეების შემდეგ ტიონისს შეუძლია, ერთ-ერთი მათგანი სიიდან ამოშალოს: 90-იანი წლების ლეგენდარულმა გერმანელმა ფეხბურთელმა **მათიას ზამერმა**, რომელიც დღეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია, „შალკეში" გადასვლაზე ტიონისს უარი სტკიცა. შეგახსენებთ, რომ მანამდე „ხუმარების" ბოსი ასევე უარით გაისტუმრა გერმანიის ნაკრების მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმაც**. კანდიდატად რჩება 60 წლის **ჰერიბერტ ბრუხჰაგენი**, რომელიც ახლა ფრანკფურტის „აინტრახტის" მენეჯერია და ამ გუნდთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს. ამასთან, ტიონისი ამ კვირაში ჰუუბ სტევენსსაც დაელაპარაკება, რომელმაც თვითონვე გამოთქვა „შალკეში" დაბრუნების სურვილი. მანამდე, ნომერ პირველ ფავორიტად კანი რჩება, რომელსაც ტიონისი გასულ ხუთშაბათს შეხვდა, ესაუბრა და გუნდის კონცეფცია წარუდგინა. როგორც უკვე ვწერდით, კანი მოლაპარაკებით კმაყოფილი დარჩა. მაინც რამდენად რეალურია ის, რომ ოლი **ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას** გუნდის მენეჯერი გახდეს?

ფაქტი ისაა, რომ ტიონისთან მოლაპარაკების შემდეგ, კანმა ზრდილობიანად, მოკრძალებულად, მაგრამ ყველასთვის გასაგებად თქვა, საინტერესო საუბარი გვქონდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერიაო. უპრიანია, შეგახსენოთ, რომ ოლიმ აქტიური სპორტული კარიერა შარშან დაასრულა და როგორც მაშინ თქვა, პირველ ეტაპზე ფეხბურთში მისიონერის რანგში დაბრუნებას გამორიცხავდა.

„შალკე" ქაოსური გუნდია და ეს კანმა ძალიან კარგად იცის. ამ გუნდში ნამდვილად არ არის აწყობილი და დალაგებული სისტემა - მას მერე, რაც **რუდი ასაუერი** წავიდა, გელზენკირხენულ კლუბს მუდმივად თან სდევს გაურკვევლობა და ქაოსი. თანაც, გუნდს ძალიან მომთხოვნი ქომაგები და სპონსორი ჰყავს „გაზპრომის" სახით. უნდა კი კანს ამ საქმეში თავის გაყოფა? ესეც არ იყოს, კანმა მიუნხენში ახალი სახლი აიშენა. მისი ვაჟი სკოლაში მიდის, ქალიშვილი კი გიმნაზიაში გადადის და ა.შ. ალსანიშნავია ისიც, რომ „შალკეს" ხელმძღვანელები კანს ვერ გაუბედავენ ისეთი ტონით ლაპარაკს და ისეთი ულტიმატუმების წაყენებას, როგორსაც **მიულერს** უბედავდნენ. ოლი სხვა კაცია. თანაც, „კიკერის" ინფორმაციით, კანი მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება „შალკეში" მუშაობას, თუ მისცემენ იმის უფლებას, რომ გელზენკირხენში ორი ასისტენტი წაიყვანოს, რომლებსაც ენდობა. ამასთან, გამორიცხული არც ისაა, რომ ოლის სამსახური „ბაიერნმაც" შესთავაზოს - როგორც იცით, მალე მენეჯერი რეკორდმაისტერსაც დასჭირდება, რადგან **ული ჰიონესი** პრეზიდენტის პოსტზე გადაინაცვლებს.

მართალია, კანს მენეჯერის რანგში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ აქვს, მაგრამ შანსი იმისა, რომ იმედები გაამართლოს, ძალიან დიდია. მას შეუძლია მართვა, აქვს უდიდესი ავტორიტეტი, ფეხბურთი უმაღლეს დონეზე იცის და რაც მთავარია, „ბაიერნში" ული ჰიონესისგან ბევრი რამ ისწავლა. თუმცა გამოუცდელი კაცის მენეჯერის პოსტზე დანიშვნა „შალკესთვის" მაინც სარისკო საქმეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამოცდილება ერთადერთი კრიტერიუმია, რომელსაც ოლი „შალკესთვის" ვერ აკმაყოფილებს. ფაქტია ისიც, რომ კანის კანდიდატურის წამოყენების შემდეგ, „შალკეს" ფანების აზრი ორად გაიყო. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ოლი გელზენკირხენში ბევრს არ ეხატება გულზე. ისიც ცხადია, რომ თუ კანი „შალკეში" დაინიშნება, მას მხოლოდ უმაღლესი მიზნები ექნება. ოლი ის კაცი არაა, რომ თუნდაც მესამე ადგილისთვის ბრძოლას დასჯერდეს. და სწორედ ეს ფაქტორი ალაფრთოვანებს კლემენს ტიონისსაც, რომელმაც, დიდი შანსია, ოლის სასარგებლოდ გადაწყვეტილება ამავე კვირაში მიიღოს.

**გოტფრიდ ლენცი**



25 მარტს „სიტყვა და საქმე"
12 წლის ხდება!
მიიღეთ საჩუქარი იუბილარისგან!

მხოლოდ 25-ში! დაბადების დღეს. მიიღეთ საჩუქრად
39 ცენტი ყოველ 1კვ.სმ-ზე და განათავსეთ ნებისმიერი
რეკლამა ნებისმიერ გვერდზე მხოლოდ 12 ცენტად.



P.S. საჩუქრებს ჩვენც ველით

მის.: იოსებიძის 49. ტელ.: 38 78 70; 37 78 07



ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# მომავლის ფეხბურთი

## ტურინში სკუდეტოზე ფიქრობენ

გასულ უქმეებზე, ტურინის „იუვენტუსმა" სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და „რომა" მისსავე მოედანზე ბეჭებზე გააკრა. სტუმართა გამარჯვება სენსაციად ვერ ჩაითვლება, მაგრამ 4:1-ს ნამდვილად არავინ ელოდა. თუმცა, აქ იმდენად ანგარიშშიც არაა საქმე, რამდენადაც თამაშის ხარისხში. „ვეკია სენიორამ" უმაღლესი დონის ფეხბურთი შესთავაზა მეტოქეს და ყველა კომპონენტში დაჯაბნა. მომავლის ფეხბურთი - ასეთი შეფასება მისცა „იუვეს" ასპარეზობას „გაძეტა დელო სპორტმა" და იქვე მიუთითა, რომ ეს გუნდი ჯერ კიდევ სკუდეტოს მაძიებელია.

ცოტა ადრე რომ აეკრიფა „იუვეს" ასეთი ტემპი, ვინ იცის, იქნებ მისი შანსები უფრო რეალურიც ყოფილიყო, თუმცა „გაძეტას" უნდა დავეთანხმოთ - ტურინელები ჯერ ინარჩუნებენ სკუდეტოს მოპოვების შანსს. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე **კლაუდიო რანიერიმ**:

*„გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და შეგირდების მისამართით, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჩემი აზრით, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში. შეიძლება ბევრს მოერჩვენა, რომ ასეთი ანგარიშით გამარჯვებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ მე ასე არ მგონია. მთელი შეხვედრის განმავლობაში, ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ვფლობდით და მეტოქის კარსაც არაერთხელ შევუტიეთ. რა თქმა უნდა, არიან ფეხბურთელები, რომლებმაც განსაკუთრებულად კარგად ითამაშეს, მაგრამ მათ გამოყოფას არ ვაპირებ. მთლიანად გუნდი გახლდათ მოწოდების სიმაღლეზე, რაც ჩემთვის უმთავრესია. „ინტერს" შვიდი ქულით ჩამოვრჩებით და ეს ცოტა არ არის, თუმცა სკუდეტოსთვის ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებთ. არ არის გამორიცხული, „ნერაძურის" ჩავარდნა დაეწყოს და ქულები დაკარგოს, სწორედ ამით უნდა ვისარგებლოთ და ლიდერს დავეწიოთ. ვნახოთ, ფეხბურთში ყველაფერია შესაძლებელი. „ინტერი" ძლიერია და ეს კარგად ვიცით, თუმცა არა იმდენად, რომ ჩავარდნისგან დაზღვეული იყოს. რაც შეეხება ჩემსა და ტრეზეგეს შორის მომხდარ გაუგებრობას, ინციდენტი წარსულს ჩაჰბარდა, დავიდს ხელი ჩამოვართვი და საკითხი ამოვწურეთ. ფრანგის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და მას აუცილებლად მიეცემა სათამაშო დრო. მთავარია, თვითონაც გაითავისოს ის, რომ დიდ გუნდში თამაშობს და აქ, სასტარტოში ასპარეზობის გარანტიას ვერავის მივცემთ. თუმცა, ამაზე ახლა ლაპარაკს აზრი აღარ აქვს, რადგან დავიდთან უკვე ყველაფერი გარკვეულია".*

როგორც ხედავთ, სენიორ კლაუდიო განვლილი პაექრობით მეტად კმაყოფილია და მომავალს იმედის თვალით უყურებს. ანალოგიური განწყობა აქვს კლუბის მმართველ დირექტორ, **ჯოვანი კობოლი ჯილის**. აი მისი სიტყვებიც:

*„გუნდი პროგრესირებს, ეს ძალიან მახარებს, თუმცა არ მიკვირს. ჩვენ გეგმის მიხედვით ვმოქმედებთ და წინ, მიზანმიმართულად მივდივართ. ამიტომ ვამბობ ხშირად, რომ რანიერი ხელშეუხებელია და ის აუცილებლად გააგრძელებს „იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად მუშაობას. ჩვენ მას ბოლომდე ვენდობით და გვსურს, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს გუნდში. მომავალ სეზონში, „იუვე" კიდევ უფრო ძლიერი იქნება, რასაც ზაფხულის აქტიური სატრანსფერო პოლიტიკა განაპირობებს. გუნდის წლევანდელი ასპარეზობით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ გაძლიერება აუცილებელია. რამდენიმე ფეხბურთელზე უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ალბათ წარმატებითაც დასრულდება. დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ, რადგან ამ ეტაპზე უმჯობესია ბევრი არ ვილაპარაკოთ და საქმე ვაკეთოთ".*

იტალიელი ჟურნალისტები კი გვარწმუნებენ, რომ ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელთანაც „იუვეს" მესვეურებს მოლაპარაკებები აქვთ გაჩაღებული, **ანტონიო კასანო** გახლავთ. მეტიც, თუ „გაძეტას" ვენდობით, შეთანხმებას წინ აღარაფერი უდგას და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ კასანო კარიერას „ვეკია სენიორაში" გააგრძელებს. ავტორიტეტული გამოცემის ჟურნალისტი გვიმტკიცებს, რომ ანტონიოს აგენტი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ტურინშია და „იუვეს" დირექტორატთან ყოველდღიურად ურთიერთობს.

კასანოს საკითხი გასაგებია, მაგრამ ისმის კითხვა - არის კი ადგილი ანტონიოსთვის „იუვენტუსში"? ტურინულ კლუბში ამჟამად ოთხი მაღალი კლასის თავდამსხმელი ირიცხება, რომლებსაც ერთმანეთში დიდი კონკურენცია აქვთ. **ალესანდრო დელ პიერო** და **კარვალიო ამაური** ძირითადის მოთამაშეებად ითვლებიან, ტრეზეგე და **იაკვინტა** კი მეტწილად სათადარიგო სკამიდან ერთვებიან თამაშში. თუმცა, ამ უკანასკნელმა ბოლო შეხვედრა პირველივე წუთებიდან დაიწყო და დუბლის ავტორადაც მოგვევლინა. „ბიანკონერიში" კიდევ ერთი შემტევი ფეხბურთელია, რომელიც ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდება. ლაპარაკია **სებასტიან ჯოვინკოზე**. ახალგაზრდა მოთამაშე იტალიის ოლიმპიურ ნაკრებში ან გამთამაშებლად თამაშობს, ანაც თავდამსხმელად. სწორედ ფლეიმეიქერობა სურს სებასტიანს „იუვეშიც", მაგრამ დიდი კონკურენციის პირობებში, მოედნის შუა ხაზში უწევს ასპარეზობა. ასეთ ვითარებაში, მართლაც ძნელი სათქმელია, რა როლი დაეკისრება კასანოს ახალ გუნდში.

ამასობაში, კარვალიო ამაურიმ პრესასთან საუბარში ყველასთვის მოულოდნელი და გარკვეულწილად, შოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, **ფაბრიციო მიკოლი** ალესანდრო დელ პიეროზე გაცილებით ძლიერი ფეხბურთელია. გაეცანით კარვალიოს ამ მართლაც უცნაურ განცხადებას:

*„რას ვიტყვი დელ პიეროზე? შესანიშნავი ფეხბურთელია და მასთან თამაში მსიამოვნებს. თუმცა, არის მოთამაშე, რომელსაც გაცილებით მაღლა დავაყენებდი. ეს მიკოლი გახლავთ. ფაბრიციოს მხარდამხარ თამაში ერთ რამედ ღირს და ვთვლი, რომ იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია. „პალერმოში" თამაშისას, ტრავმა მეც ხშირად მქონდა და ფაბრიციოსაც. ასე რომ არ ყოფილიყო, სიცილიურ კლუბს დიდ წარმატებებს მოვუტანდით".*

ამაურის ამ გამონათქვამს იტალიურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა ისიც კი დაწერა, რომ ამ სიტყვების უკან რაღაც იმალება. შესაძლოა, ამაურის და დელ პიეროს შორის კონფლიქტს ჰქონდეს ადგილი, თუმცა დღეს ამის დამადასტურებელი ინფორმაცია არავის აქვს. ეჭვებს კი თავად კარვალიოს ფაქტორი აძლიერებს, რომელიც არასდროს გამოირჩეოდა პროვოკაციული კომენტარებით.

სულ ბოლოს, ისევ რანიერის მივუბრუნდეთ, რომელმაც გუნდში არსებულ ერთსულოვნებაზე ხაზგასმით ისაუბრა. ვფიქრობთ, სწორედ ამ ციტატით უნდა დავასრულოთ „იუვეს" ბანაკში" არსებულ ვითარებაზე თხრობა:



*„გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ყოველ შემთხვევაში, ვერ ვხედავ ვერანაირ კონფლიქტებს და ინციდენტებს. ერთსულოვნება რომ არ იყოს, ასეთ შედეგებს ვერ ვაჩვენებდით და სკუდეტოსთვის ბრძოლაში ვერ ჩავერეოდით. აღიარეთ, რომ მიმდინარე სეზონში „ვეკია სენიორასგან" ამდენს არ ელოდით. ვინ წარმოიდგენდა, რომ „ინტერის" მთავარი კონკურენტი ტურინის „იუვენტუსი" იქნებოდა? - ვფიქრობ, რომ ძალიან ცოტა".*

**ლაშა ნიკლაური**




ინციდენტი

# რატომ დავარტყი გიორლიტცს...

## რიბერის უბრალოდ მოთმინების ფიალა აევსო

გუშინ, ბუნდესლიგის 25-ე ტურის მიმოხილვაში ვწერდით, რომ „ბაიერნისა" „კარლსრუეს" მატჩის დროს, მიუნხენელთა ლიდერი **ფრანკ რიბერი** ძალიან ცუდად მოიქცა და გაძევებას იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც დაინდო. 25 წლის ფლეიმეიერმა 47-ე წუთზე ბადენელთა მარჯვენა მცველ **ანდრეას გიორლიტცს** სახეში გამიზნულად ჩაარტყა - მას მერე, რაც ამ უკანასკნელმა რიბერის წინაალმდეგ თამაშის წესები დაარღვია. მსაჯმა კი ბავარიელთა მეშვიდე ნომერს მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა. მოგვიანებით, „რიბომ" თავისი საქციელი ასე ახსნა:

*„ძალიან ნერვებმოშლილი ვიყავი, რადგან „კარლსრუეს" ფეხბურთელები ჩემს წინააღმდეგ მთელი მატჩის განმავლობაში არღვევდნენ თამაშის წესებს. განსაკუთრებით კი გიორლიტცი მეუხეშებოდა. ამდენი უხეშობა ყელში ამომივიდა, სულ ფეხებში მირტყამენ, არადა, მე ხომ ახლახან გამოვჯანმრთელდი და უბრალოდ ნერვები მომეშალა, თავი ველარ შევიკავე,* - განაცხადა რიბერიმ და მატჩის მთავარი არბიტრი **გვიდო ვინკმანიც** გააკრიტიკა, - *უმჯობესი იქნებოდა, რომ მსაჯს სამართლიანად ემოქმედა და „კარლსრუეს" ფეხბურთელები დაესაჯა, ისინი უამრავ გაფრთხილებას იმსახურებდნენ. ასეთ შემთხვევაში ჩემს წინაალმდეგ გაცილებით ფრთხილად ითამაშებდნენ."*

მაშ ასე: რიბერი მსაჯებს სთხოვს, დამიცავითო. მაინც რამდენად ხშირად ურტყამენ ფრანგ დრიბლიორს ფეხებში? სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ „კარლსრუეს" ფეხბურთელებმა მის წინაალმდეგ თამაშის წესები ცხრაჯერ დაარღვიეს. ეს არ არის კატასტროფულად დიდი ციფრი. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში ყველაზე ხშირად თამაშის წესები „ჰოფენჰაიმის" ნახევარმცველ **ტობიას ვაისის** წინაალმდეგ ირღვევა - საშუალოდ 11-ჯერ ერთ თამაშში.

რიბერი ნამდვილად არ იტყუება: მას ფეხებში მართლაც ხშირად ურტყამენ, მაგრამ ეს ყველა ტექნიკური ფეხბურთელის ხვედრია და ფრანგმა ესეც უნდა იცოდეს. რაც ყველაზე მთავარია, ეს არგუმენტი არ ამართლებს მის საქციელს: უხეშობისთვის მოთამაშე მსაჯმა უნდა დასაჯოს გაფრთხილებით ან გაძევებით და არა მოწინააღმდეგე ფეხბურთელმა სახეში ჩარტყმით. თუმცა „ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰიონესი** სხვანაირად ფიქრობს. მან მატჩის შემდეგ რიბერი დაიცვა, - საბავშვო ბაღში ხომ არ ვართ, კაცს ნერვები მოეშალა და მე მას არ ვამტყუნებო...

**გოტფრიდ ლენცი**



ფრანკ რიბერიმ ანდრეას გიორლიტცს უხეშობისთვის სამაგიერო ასე გადაუხადა

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ — სამხრეთამერიკული ფეხბურთი

## იქ, დასავლეთ ნახევარსფე...

ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — რონალდო

# თუ სეზონში 30 შეხვედრას ჩავატარებ, 30 გოლს გავიტან

### კაცი, რომელიც ბედს არ ეგუება და ჯოჯოხეთიდან სამოთხეს უბრუნდება



თამამად შეიძლება ითქვას, რომ რონალდო ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი, მაგრამ ამავდროულად ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო ფეხბურთელია. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მას უამრავი ტრავმა ჰქონდა. გულშემატკივრებმა იციან, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი ყველაზე სერიოზულ და ფეხბურთელისთვის დამღუპველ ტრავმებს იღებდა. მიუხედავად ამისა, „კიჭამ" ყველაფერს გაუძლო და საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. არადა, მის ადგილზე ძალიან ბევრი გატყდებოდა და ფარ-ხმალს დაყრიდა... თუმცა რონალდოს დანებება აზრადაც არ მოსვლია. მან ყველაფერს გაუძლო, რომ კიდევ ერთხელ დაბრუნებულიყო და საყვარელი საქმით დამტკბარიყო. ფენომენი ახლა „კორინთიანსის" ღირსებას იცავს და იმედოვნებს, რომ ბრაზილიურ კლუბთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევს.

**- რონალდო, თქვენი შემართება აღფრთოვანებას იწვევს. ხანგრძლივი და უმძიმესი ტრავმის მიუხედავად, მაინც დაბრუნდით. თანაც, ეს არ არის პირველი შემთხვევა. მუხლის ჯვარედინი მყესები სუსტ წერტილად გექცათ. მართლა უნიკალური ადამიანი ხართ, არ გეპირფერებით, უბრალოდ, გულწრფელად ვფიქრობ, რომ თქვენს ადგილზე უმეტესობა ვერ გაუძლებდა. თქვენ რამ გაგაძლებინათ?**

- დიდი მადლობა, თბილი სიტყვებისთვის. მიხარია, რომ ჩემი მდგომარეობა კარგად გქონდათ გაცნობიერებული. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. შესაძლოა, ვინმემ თქვას, დიდი ამბავი, ტრავმა მიილო, თვეების განმავლობაში ისვენებდა და როცა გამოჯანმრთელდა ფეხბურთს დაუბრუნდაო. თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ მძიმე ტრავმა პირველად არ მიმიღია. ფეხი ისეთ დღეში მაქვს, ზოგჯერ თავი რობოტი მგონია, თითქოს ხელოვნური ფეხი მიმაკერეს. ისე, მყესები მართლაც ხელოვნურია. ისეთი ტრავმები მქონდა, რომ ექიმებმა სხვა გამოსავალი ვერ ნახეს. მყესებმა ბუნებრივი თვისებები დაკარგეს და ისინი ხელოვნურით შეცვალეს. ჩემი ექიმი მეხუმრება ხოლმე, გინესის რეკორდებში უნდა შეგიყვანონ, ფაქტობრივად, ინვალიდი ხარ, მაგრამ მაინც თამაშობო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უკან დაბრუნება იოლი ნამდვილად არ გახლდათ. ფიზიკურ მდგომარეობას თავი რომ დავანებოთ, ფსიქოლოგიურად იყო რთული. როცა ერთსა და იმავე ტრავმას რამდენჯერმე მიიღებ, შეუძლებელია, არ დაითრგუნო. ბოლო ტრავმამ ჯოჯოხეთში ამომაყოფინა თავი. საშინელება გამოვიარე. მეგონა, რომ მესიზმრებოდა. არ მეგონა, თუ ამ ტანჯვას კიდევ ერთხელ თუ გავუძლებდი, მაგრამ დროის გასვლის შემდეგ მივხვდი, რომ ფეხბურთის გარეშე ვერ გავძლებდი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და თამაშის გარეშე ვერ ვიარსებებ. რაც დრო გადიოდა, ეს გრძნობა მიმტკიცდებოდა და ვხვდებოდი, რომ საკუთარ თავში ძალა უნდა გამომენახა. მეგობრების, ახლობლების, ოჯახის წევრებისა და მარტო ყოფნის წყალობით ფსიქოლოგიური ტრავმისგან განვიკურნე და დაბრუნება მტკიცედ გადავწყვიტე. მადლობა ღმერთს, რომ ახლა ისევ ვთამაშობ. ექიმებმა წლების წინ მითხრეს, ხელოვნური მყესების გამო ძველ ელასტიკურობას ვერასოდეს დაიბრუნებო. ეს უკვე გაცნობიერებული მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაღალ დონეზე თამაში მაინც შემიძლია. მოკლედ, მე დავბრუნდი და ახალი მიზნები დავისახე.

**- რა კარგია, რომ ახალი მიზნები თქვენ თვითონ ახსენეთ. დაგვიკონკრეტეთ, არაფერი დაგვიმალოთ...**

- პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ ფეხბურთს ღმერთის დახმარების იმედით დავუბრუნდი. დიახ, ის უნდა დამეხმაროს, რომ ჯანმრთელად ვიყო და ახალი მძიმე ტრავმა არ მივილო. თუ ის წყალობის თვალით გადმომხედავს, ყოველ უქმეებზე ვითამაშებ და სეზონში სულ მცირე, 30 შეხვედრის ჩატარებას შევძლებ, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ 30 გოლი გავიტანო. მრავალი პრობლემისა და ტანჯვის მიუხედავად, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ.

**- ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა გაძლევთ?**

- არა მარტო, თუმცა საგაზეთო ინტერვიუში გოლებზე ბევრ ლაპარაკს აზრი არ აქვს. ყველაფერი მოედანზე უნდა დავამტკიცო. ამიტომაც ვამბობ, ღმერთის დახმარება მჭირდება-მეთქი. თუ გამიმართლებს და ტრავმას არ მივიღებ, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემდამი სკეპტიკურად განწყობილ ხალხს სალაპარაკო მოვუსპო. ვგრძნობ, ამის უნარი შემწევს.

**- დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა შეგახსენოთ, რომ 32 წლის ხართ და ტრავმების გამო ძალიან დიდი დრო გაგიცდათ...**

- არა უშავს (იცინის). ეს-ესაა დავბრუნდი, მაგრამ ორი გოლის გატანა უკვე მოვახერხე. ეს მცირე წარმატება მომავლის იმედს მიღრმავებს. მთავარია, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვამჟღავნო და სეზონის ბოლოს ყველა იტყვის, რონალდო არ ბაქიბუქობდა, თურმე მართალი ყოფილაო.

**- შეგიძლიათ, მთელი შეხვედრა მაქსიმალური დატვირთვით ჩაატაროთ?**

- არა, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის. შევეცდები, ლოგიკურად აგიხსნათ. ახალგაზრდა და ვეტერან ფეხბურთელს ერთი რამ განასხვავებს – გამოცდილება. დამწყები ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, უფრო სწრაფი, შემართული და აღგზნებულია. ეს ყველაფერი წარმატებების მიღწევისა და გულშემატკივრების გახარების საშუალებას გაძლევს... თუმცა გამოცდილ ვეტერანს შეუძლია, ტორსიდა სიბრძნით აღაფრთოვანოს. წინა წლებისგან განსხვავებით, ახლა თამაშის ზედმიწევნით კარგად წაკითხვა შემიძლია. დაახლოებით მაინც ვიცი ხოლმე, შეტევა როგორ განვითარდება და როდის სად უნდა ვიყო. ახალგაზრდობაში ამ თვისებით, ცხადია, ვერ დავიკვეხნიდი. მაშინ სისწრაფისა და დრიბლინგის წყალობით ვცდილობდი გოლის გატანას... ახლა ასაკისა და ძველი ტრავმების გამო მეტეორული სისწრაფით ვერ ვირბენ, თუმცა გოლის გატანა დინჯ და გონიერ ფორვარდსაც შეუძლია, თანაც სისტემატიურად (იცინის).

**- თქვენი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება, ადგილიდან სწრაფად სირბილი იყო. ვერ დავიჯერებ, რომ ამის გარეშე უნინდებურად ეფექტური იქნებით...**

- ამ თვისებას აუცილებლად დავიბრუნებ. არ მითქვამს, რომ სირბილი აღარ შემიძლია. რა სისულელეა, უბრალოდ, ადრე ბევრად მეტს დავრბოდი. ეს არის და ეს. ახლა ენერგიის დაზოგვა მომიწევს.

**- ბრაზილიაში დაბრუნებით კმაყოფილი ხართ?**

- ძალიან. უცხოეთში ძალიან დიდი დრო გავატარე. ამა თუ იმ მიზეზის გამო ნაკრებში ვერ ვთამაშობდი. ბრაზილიელი გულშემატკივრები მხოლოდ ტელევიზორით მიყურებდნენ. ძალიან მიხარია, რომ წლების შემდეგ მათთან კიდევ ერთხელ შეხვედრის საშუალება მომეცა. ახლა ერთად ვიქნებით და ერთი ცხოვრებით ვიცხოვრებთ. ჩემს გუნდს არაჩვეულებრივი ტორსიდა ჰყავს. მათგან უდიდეს სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სიბერის ჟამს ადამიანი ყოველთვის სამშობლოსკენ მიიწევს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. ახლა ბრაზილიაში ვთამაშობ და ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ევროპაში ყოფნისას აქაურობა საშინლად მენატრებოდა. ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდი. საშობაო არდადეგები რომ მთავრდებოდა, ტრაგედია მქონდა ხოლმე. ახლა სამშობლოში ვარ და ნოსტალგია აღარ მტანჯავს.

# რიკელმეს წასვლით ალბისელესტე დაზარალდა

### ტევესი ამბიციის დაოკებასა და საქმისადმი ერთგულებას ითხოვს



**ხუან რომან რიკელმესა** და **დიეგო მარადონას** კონფლიქტი აქტუალობას არ კარგავს. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ბუნებრივია, რომანის ეროვნული გუნდიდან სკანდალურად წასვლა გამოხმაურების გარეშე ვერ ჩაივლიდა. შეგახსენებთ, რიკელმემ გადაწყვეტილება მარადონას მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობით ახსნა. თავად მთავარმა მწვრთნელმა კი ხუან რომანს ზედმეტ ამბიციურობაში დასდო ბრალი და სრული სერიოზულობით განაცხადა, მე მისი წასვლა არ მინდოდა, თვითონ გადაწყვიტაო. ბუნებრივია, ორივე მხარე ერთმანეთის დადანაშაულებით შეეცდება თავის მართლებას. ამ სიტუაციაში საინტერესოა, ალბისელესტესთან დაკავშირებული სხვა ადამიანები რას ფიქრობენ. დღეს საშუალება გვაქვს, **კარლოს ტევესის** მოსაზრება გაგაცნოთ. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა საკმაოდ გულწრფელი განცხადება გააკეთა: *„ყოველთვის ვცდილობ, სხვის საქმეში არ ჩავერიო. ეს ჩემი ცხოვრებისეული პრინციპია. მე მენტორი არ ვარ, რომ ვინმეს ჭკუა ვასწავლო, თუმცა ღმერთის მიერ მონიჭებული უფლება მაქვს, ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო. არ ვიცი, რომანი ამ გადაწყვეტილების მიღებისას კიდევ რა მოტივით ხელმძღვანელობდა. არც ის ვიცი, მარადონასა და მას როგორი ურთიერთობა ჰქონდათ. აი, ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ამ ყველაფრით არგენტინის ნაკრები დაზარალდა. რიკელმე უდიდესი მოთამაშეა და მისი წასვლა აუცილებლად დაგვეტყობა. მე, როგორც რიგითმა ფეხბურთელმა და ალბისელესტეს უბრალო გულშემატკივარმა, არ შემიძლია, წუხილი არ გამოვთქვა. გული მწყდება, რომ ჩვენი გუნდი დასუსტდა. ალბათ, ჯობია, ამბიციები დავთმოთ და პირველ რიგში საერთო საქმეზე ვიფიქროთ."*

ტევესს არ დაუკონკრეტებია ბოლო წინადადებაში ვის გულისხმობდა, თუმცა თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, მას სწორედ რომანი უნდა ჰყოლოდა მხედველობაში. იმიტომ, რომ რიკელმე მარადონას არ გაუგდია. ის თავად წავიდა და შესაბამისად, ალბისელესტეს დასუსტებას თვითონვე შეუწყო ხელი. ამ სიტუაციაში მწვრთნელის გამტყუნება ძალიან ძნელი იქნება, დიეგოს სრული უფლება აქვს, შემადგენლობა პირადი შეხედულებისამებრ დააკომპლექტოს და თუ ამა თუ იმ ფეხბურთელს ერთ კონკრეტულ შეხვედრაში არ გამოიძახებს, სულაც არ ნიშნავს, ქუდი დაიხუროს და საერთო საქმე მიატოვოს. ჰო, რიკელმე კომუნიკაციის ნაკლებობაზეც წუწუნებდა, მაგრამ არც ეს არის გასამართლებელი მიზეზი.

# პელეს სკანდალური შეცდომა

### მეფემ მარადონა ნარკომანიის პროპაგანდაში დაადანაშაულა

**პელემ** დიდი სკანდალის აგორებას შეუწყო ხელი. ფეხბურთის მეფე ბრაზილიის ნაციონალური რადიოს რედაქციაში ინტერვიუზე მიიწვიეს. მან ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ სრულიად კურიოზული ფაქტის გამო გახმაურდა. პელე დარწმუნებული იყო, რომ გადაცემა სარეკლამო ჭრით შეწყდა და ისეთი რამ თქვა, საფეხბურთო სამყაროში ქარიშხალი გამოიწვია. ფეხბურთის ლეგენდის განცხადებას სტილის დაცვით შემოგთავაზებთ:

*„მარადონამ ფეხბურთელებს ძალიან ცუდი მაგალითი მისცა. ის ჟურნალისტებთან ფეხბურთზე მეტად ნარკოტიკებზე საუბრობს. ამას ბევრი ადამიანი კითხულობს. გული მერევა, მარადონა ფეხბურთელებისთვის მაგალითია. იცით, რამდენი მოთამაშე ეტანება ნარკოტიკს? მე ყველაფერს დიეგოს არ ვაბრალებ, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფეხბურთელი ნარკოტიკებზე არ უნდა ლაპარაკობდეს".*

პელემ, რა თქმა უნდა, მაშინვე გაიგო, რომ მისი საუბარი პირდაპირ ეთერში გავიდა და სარეკლამო ჭრის დასრულების შემდეგ იძულებული გახდა, თემა განევრცო. ბრაზილიელი ლეგენდა, ნათქვამ სიტყვებს, რა თქმა უნდა, უკან ვერ წაიღებდა. მან უბრალოდ, რამდენიმე განმარტება გააკეთა: „ვიცი, ეს ბევრისთვის მძიმე მოსასმენი იქნება, მაგრამ ჯობია, ყველაფერზე გულწრფელად ვისაუბროთ. დიეგო საზოგადოებისთვის ნეგატიური მაგალითი იყო. ცხადია, ის გენიალური ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ ძალიან ბევრი მინუსი ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, ის კაკას, პლატინისა და ბეკენბაუერს ვერ შეედრება. ვერ დავამტკიცებ, რომ მარადონამ მისი ცხოვრებით სხვა ფეხბურთელებიც ჩაითრია, თუმცა დასანანია, რომ ნარკოტიკი თანამედროვე მოთამაშეებსაც გაუსინჯავთ. ჩემი ინფორმაციით, მათ შორის რონალდო და რობინიოც არიან".



## უცხოური ფეხბურთი




(გაგრძელება)

პირველი აქტიური მოქმედებები პოლონელებისაა. ჩვენ ნერვიული კონტრშეტევებით ვპასუხობთ. საკმაოდ მობილიზებული ვარ. **ზიმაკოსთვის** და **როშტოსთვის** მშველელის როლი მაქვს და მეტოქის დაცვის რაიონში ბევრ გრძელ, ზუსტ გადაცემას ვგზავნი.

„ლოძის" დაცვა ფეხებითა და ხელებით მუხთალი და მსაჯისთვის შეუმჩნეველი ბინძური ილეთებით გვისწორდება. მოჩვენებითი სიმშვიდე ქარიშხლის წინ: 25 მეტრიდან საჯარიმოს ვასრულებთ. თუ ოდნავ მარჯვნივ დავარტყამ, ბურთმა მიზანს უნდა მიაღწიოს. კარში ვურტყამ. ის მეტოქის ცოცხალ კედელს სცილდება. პოლონელების მეკარე **ბერზინსკი** მინდორზე წევს. ყველანი ჩემკენ გამორბიან და მეხვევიან. ჩემი პირველი გოლი უეფას თასის გათამაშებაში. „მწვანეების" ახალი თაობის პირველი გოლი. ეპოქალურ მოვლენებს მოწყურებული „სენტ ეტიენის" 300 გულშემატკივარი ჩვენთან ერთად მოგზაურობს.

შესვენების შემდეგ, „ლოძი" განსაკუთრებული მონდომებითა და შემართებით თამაშობს, რაც სავსებით ბუნებრივია: ის თამაშს აგებს, თანაც თავის მოედანზე. წამიერად გამახსენდა მილიონობით ფრანგი გულშემატკივარი, რომელიც გატაცებით უყურებს ჩვენი ბრძოლის პერიპეტიებს და მარჩიელობს, შევძლებთ თუ არა პოლონელებისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევას. აგრეთვე ვფიქრობ იმ სკეპტიკოსებზე, რომლებიც ეჭვს გამოთქვამენ ევროპულ არენაზე ჩემი ფიზიკური შესაძლებლობების გამო.

მე კი თავს კარგად ვგრძნობ, შეიძლება ითქვას, ძალიან კარგადაც. იმ დროს, როცა გუნდი სულ უფრო და უფრო დამაჯერებლად მოქმედებს, პირნათლად ვაკონტროლებ მოედნის ჩემს ნაწილს. იქ არავის ვაჭაჭანებ. მაგრამ ერთხელ ნაქცეულმა გავაგრძელე ბრძოლა, რაც წესებით აკრძალულია. მსაჯის სასტვენი.

**ბონეკი** ყველაფერს მიხვდა. ის თავისიანებს იმ ადგილთან იხმობს, საიდანაც საჯარიმო უნდა შესრულდეს. გოლი ბონეკის ავტოგრაფით. მე და ბონეკი ისევ თანაბარ სიტუაციაში ვართ.

მაგრამ მატჩის ბოლო მთლიანად პოლონელებისაა. ძალიან გართულდა მათი შეტევების შეჩერება. მცველებიც კი წინ წავიდნენ თავდამსხმელების დასახმარებლად.

მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, **ივან ჩურკოვიჩი** მეორე გოლს უშვებს. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ანგარიში თამაშის დამთავრებამდე აღარ შეცვლილა. მართალია, უკეთესს არც ვიმსახურებდით, მაგრამ ჩვენი ნაგებით საშინლად გალიზიანებული ივანი, რაღაცას ბუზღუნებს გუნდის დაუდევარი თამაშის გამო. მაშ ასე, შედგა ჩემი პირველი მატჩი უეფას თასზე. ჩემი აზრით, მატჩის წინ ჩვენთვის რომ შემოეთავაზებინათ უმნიშვნელო წაგება ანგარიშით - 1:2, ყველანი თვალდახუჭულები მოვაწერდით ხელს.

მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ივანი მართალია. ჩვენ რომ უფრო მეტი ჟინი გამოგვევლინა, შეგვეძლო უკეთესი შედეგისთვის მიგვეღწია. გაკვეთილი მიღებულია.

3 ოქტომბერს, „სენტ ეტიენმა" საპასუხო მატჩი 3:0 მოიგო. სამივე გოლი **ჯონი რეპმა** გაიტანა. თავს ვხრი შენ წინაშე ამ ჰეტ-ტრიკისთვის, რომელიც საფეხბურთო სახელმძღვანელოდან იყო აღებული...

იმ საღამოს „სენტ ეტიენში" ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იყო, ისეთი, როგორიც მისი წინა ბატონობის პერიოდში. ჩვენ მეტოქის კართან მთლიანად გამოვავლინეთ საკუთარი შესაძლებლობები. შედეგი: ბრწყინვალე ფეხბურთი, ბრწყინვალე გამარჯვება.

### ჯოჯოხეთი ჟოფრუა-გიშარის სტადიონზე

„სენტ ეტიენმა" თავისი მაღალი კლასი დაამტკიცა და დაიბრუნა ფრანგი გულშემატკივრების უსაზღვრო სიყვარული. ჩვენი მისამართით მისალოცი წერილების წვიმა წამოვიდა.

ვარჯიშების შემდეგ ყველანი დაკავებულები ვართ ასობით მცირე ინტერვიუების დარიგებით. საბოლოოდ, მიკროფონები და ავტოკალმები გვერდზე გადადეს და ყველანი პატარა რადიოს შემოვეხვიეთ, რომელმაც უნდა გამოგვიცხადოს მომდევნო წრეში ჩვენი ბედი.

რა თქმა უნდა, გარშემო დაძაბული სიჩუმეა.

დიქტორის ხმა შესანიშნავ ახალ ამბავს გვამცნობს: „ბორუსია"-"ინტერი", „ბელგრადი"-"იენა", „გრასჰოპერსი"-"იფსვიჩი"...

და აი, ცივი ტონით ცხადდება: „ეინდჰოვენი" ხვდება „სენტ ეტიენს!"

დაუჯერებელია!..

მესამედ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „მწვანეები" ხვდებიან დიადი ამსტერდამის „აიაქსის" მემკვიდრეებს.

წინა ოთხ მატჩში „მწვანეებმა" ორი მოიგეს.

„სენტ ეტიენი" - ეს არის „შავი ჭირი" ჰოლანდიელებისთვის და მათი მწვრთნელის **კეს რიივერსისთვის**, მრგვალსათვალიანი დაბალი კაცისთვის, რომელიც (ბედის ირონიაა!) 50-იან წლებში „სენტ ეტიენის" ვარსკვლავი იყო!

ბედი - სხვადასხვა მოულოდნელობისა და კვანძის თეატრალური გახსნის დიდი მოყვარულია. ეს მორიგი ფრანკოჰოლანდიური კონფრონტაცია პროგრამის კლასიკურ და აუცილებელ ნომრად იქცა...

მაგრამ ეროვნული ვალი შეკრებაზე მიხმობს. 10 ოქტომბერს საფრანგეთის ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს იღებს. მოსაწყენი და ყოველგვარ ინტრიგას მოკლებული მატჩი.

ზუსტად მეორდება ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ექვსი თვის წინათ ნიუ ჯერსის „ჯაიანტს" სტედიუმის" (აქ ჩვეულებრივ თავის თამაშებს ატარებს ნიუ იორკის „კოსმოსი") სინთეტიკურ მინდორზე გაიმართა და რომელიც ფრანგულმა გუნდმა 6:0 მოიგო...

„პარკ დე პრენსზე" მაღალი და ახალგაზრდა ამერიკელები სწრაფად დარბიან, მხარს კარგად გვკრავენ და ხშირად აცილებენ კარს. ჩანს, რომ მათ დიდი პროგრესისთვის არ მიუღწევიათ. ჩვენი მხრივ, დაუდევრობის, კოლექტიური ოსტატობისა და ეფექტურობის ერთგვარ ნაზავს წარმოვადგენთ.

მეხუთე წუთზე **ბატენეის** პასით პირველი გოლი გამაქვს.

„სტრასბურის" ფეხბურთელი **ვაგნერი** ორამდე ზრდის ანგარიშს, ნანტელი **ამისი** - სამამდე.

სათამაშო რჩება სამი წუთი. მაგრამ ამერიკელები არ ცხრებიან. ისინი აშკარა გაღიზიანებას გამოხატავენ, ძლიერად გვირტყამენ მხრებითა და ფეხებით. ვაგნერი მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს: ფეხი იღრძო. ის უახლოეს კლინიკაში გააქანეს.

უცებ ძვლის საშინელი, ნაცნობი ხმა გავიგონე. მინდორზე დავეცი. 22-ე ნომრით მოთამაშე მცველი **ბანკოვი** უკვე წინ გარბის და მარტო მტოვებს ჩემს გაკვირვებასთან და ტკივილთან.

ძალიან სულელურად მოხდა ყველაფერი. ეს 22-ე ნომერი, ჩემი აზრით, ბურთს საერთოდ არ მიჰკარებია.

ექიმმა **ვრილაკმა** და მასაჟისტმა **ჟან-პოლ სერენიმ** ჩემი მუხლი გასინჯეს. დიაგნოზი იგივეა: მეც ფეხი ვიღრძე.

ძალიან მტკივა. უფრო მეტად გული, ვიდრე ფეხი. განწირული ვარ! სამი კვირა თაბაშირით უნდა ვიარო, „სენტ ეტიენი" კი 15 დღეში „ეინდჰოვენს" ხვდება. თანაც, ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, რომ საპასუხო მატჩისთვის მოვასწრებ აღდგენას.

როცა ამის შესახებ ტელეფონით ერბენს შეატყობინეს, მან აღშფოთება ვერ დამალა და განაცხადა, რომ ახსნა-განმარტებას მოსთხოვდა ნაკრების მწვრთნელ **იდალგოს**. მას მთელი ღამე არ ეძინა. არც მე. იდალგომ ისარგებლა „მწვანეების" მონაკოში ჩასვლით, სტუმრად მივიდა სასტუმრო „ვისტაეროში", სადაც ჩვენი გუნდი იყო დაბანაკებული.

იქ მას არასასიამოვნო დახვედრა მოუწყო **როჟე როშემ**, რომელიც მრისხანე სახით ეწეოდა ჩიხუხს, **რობერ ერბენმა** თავისი გამყინავი გამომეტყველებით და **პიერ გარონერმა**, რომელიც ყოველთვის მზად არის ხმამაღალი სიტყვის სათქმელად...

იდალგო თავის დაცვას ცდილობს: *„სტრასბურში მისტვენენ, რადგან მიაჩნიათ, რომ არ მიყვარს ელზასელები... მონაკოში მაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ნაკრებში არ ავიყვანე მათი მეკარე ეტორი... ახლა კი უნდათ „სენტ ეტიენთან" წამაჩხუბონ იმ საბაბით, რომ პლატინიმ ამხანაგურ მატჩში მიიღო ტრავმა..."* იდალგოს კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს, რომელსაც ვერავინ შეეწინააღმდეგება: *„გარდა ამისა, პლატინის თავისუფლად შეეძლო იგივე ტრავმა ვარჯიშზე მიეღო"*. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ მან ახსნა-განმარტებისთვის ცუდი მომენტი შეარჩია.

ამასობაში, კეს რიივერსი მუდმივად გაიძახის, რომ მხოლოდ „სენტ ეტიენთან" მომავალ დაპირისპირებაზე ფიქრობს. მწვრთნელმა შეძლო კენჭისყრის შედეგებით ოდნავ შეშფოთებული მოთამაშეების დაწყნარება და ახლა, 11 ჰოლანდიელი მოთამაშე, განსაკუთრებით ვეტერანები: კაპიტანი **ვან დერ კულენი**, მეკარე **ვან ბევერენი** და ძმები **ვან დერ კერკოჰოფები** უშიშრად ელიან „მწვანეების" ეინდჰოვენში ჩასვლას.

„მწვანეებსა" და „წითლებს" შორის შეხვედრები ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს და ხშირად კუნთების თამაშს ემსგავსება. ეს გარდაუვალია.

„ფილიპსის" სტადიონს თვალი მოვავლე: ერთგვარი სიმშვიდის ფონზე, ჰაერში დაძაბულობა იგრძნობა.

„მოღალატე თანამემამულე" ჯონი რეპს მაშინვე უსტვინეს, როგორც კი პირველად შეეხო ბურთს. მეორე შეხებისას გრძნობს, თუ როგორ ესობა მარცხენა ბარძაყში [illegible] ქალავები. მესამე შეხება და „ეინდჰოვენის" მცველები უცერემონიოდ აჩერებენ მას და ვან კროლ [illegible] მინდვრიდან. [illegible] ჩვენი ექიმის მიმართულებით. რეპი ფეხშეხვეული მაინც ბრუნდება მოედანზე, მაგრამ აშკარად შეშინებულია: ჯონი იძულებულია, თავის ფეხებს გაუფრთხილდეს.

მატჩი ასეთი ლოზუნგით გრძელდება: „ურტყით განურჩევლად ყველას!"

ამ საშინელ ატმოსფეროში „სენტ ეტიენი" ორ გოლს უშვებს და კეს რიივერსი ირონიული ღიმილით მიგვანიშნებს, რომ „სენტ ეტიენის" საქმე წასულია!

უცნაური გამოვიდა „ეინდჰოვენთან" ეს მატჩი.

„სენტ ეტიენის" ნებისმიერი მოთამაშე ამ დასანან ფიასკოზე ფიქრობს და იძულებულია მოითმინოს ყოველდღიური შენიშვნები და კრიტიკა.

ძნელია ამ ყველაფრის გამო თავის შეკავება.

„სენტ ეტიენის" წინა შემადგენლობებსაც განუცდიათ ასეთი განადგურება. ალბათ, რაღაც მსგავსი დაემართა **ლარკეს** გუნდს, რომელსაც სამი წლის წინ, მეტად უიღბლო მგზავრობა ჰქონდა კიევში (მაშინ კიევის „დინამომ" 3:0 მოიგო - რედ.).

მაგრამ თუ შედარებას მივმართავთ, უმჯობესია სპლიტში გადატანილი კოშმარი გავიხსენოთ.

„სენტ ეტიენი" უეფას თასს უმიზნებდა. ეს 1974 წელს მოხდა, ხუთი წლის წინ. თურქი მსაჯის მომაკვდინებელი სასტვენით დანიშნული პენალტის შემდეგ, „სენტ ეტიენმა" თავი დაკარგა, მაგრამ მებრძოლი სული შეინარჩუნა.

ლარკემ, **პიაცამ**, ჩურკოვიჩმა დაიფიცეს, რომ რევანშს აიღებდნენ.

ისინი ყოველდღე ამაზე ლაპარაკობდნენ.

ყოველ საღამოს ამაზე ფიქრობდნენ.

ყოველ ღამე სიზმარში ხედავდნენ.

მათ დაიფიცეს: „ჰაიდუკისთვის" „ჟოფრუა-გიშარის" სტადიონი ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცეოდა!" და მოიგეს ანგარიშით - 5:1.

ხუთი წლის შემდეგ, ვუერთდებით ჩვენი ვეტერანების ამბოხს და პირობას ვდებთ: „ეინდჰოვენისთვის" ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნება".

(გაგრძელება იქნება)

**გია თვალაბეიშვილი**

## ამბები

### ბენტლი სიტიში?

ბრიტანული ტაბლოიდის „სანდი მირორის" ცნობით, „მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა მომავალ სეზონში „ტოტენჰემიდან" **დევიდ ბენტლის** გადაბირებას შეეცდება. ფეხბურთელით დაინტერესებულნი არიან ასევე „ასტონ ვილა" და „ევერტონიც". იანვარში ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ ლონდონიდან აბარგება მოუწევდა **აარონ ლენონს**, მაგრამ მეორე წრეში ის ისე ათამაშდა, რომ მის გაშვებას ჭკუადმყოფელი მწვრთნელი ნამდვილად არ დათანხმდება. „ქალაქელთა" დამრიგებლის **მარკ ჰიუზის** ბენტლით დაინტერესება გასაკვირი ნამდვილად არ არის, ისინი ერთად ჯერ კიდევ „ბლექბერნში" მუშაობდნენ.

### ბენიტესი: უკეთაც შეიძლებოდა

**რაფაელ ბენიტესი** მიიჩნევს, რომ მის გუნდს კიდევ შეუძლია თამაშის მომატება. *„პირველ ტაიმში იმის მაგივრად, რომ სწრაფი კონტრიერიშები წამოგვეწყო, ბევჯერ ბურთი უმისამართოდ მოვიგერიეთ. გუნდმა ნამდვილად კარგად ითამაშა, მაგრამ აშკარა, რომ უკეთაც შეიძლებოდა. მეტოქე იმაში შეცდა, რომ მესამე გოლის შემდეგ დიდი ძალებით შეტევაში წავიდა. ჩემმა ფეხბურთელებმა შეძლეს სივრცეების გამოყენება. ხელი შეგვიწყო იმანაც, რომ „ასტონ ვილას" ბრედ ფრიდელი გაუძევეს. ბოლო თამაშებში მომეჩვენა, რომ ჩვენი მეტოქეები გადაღლილები არიან და თავისუფალ სივრცეებს ამიტომ გვიტოვებდნენ,"* - დაასკვნა ბენიტესმა.

**შალვა ბიბილაშვილი**



# რაგბი, ქართული სპორტის მშვენება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პრესკონფერენცია

## ჯილდო რუსებთან გამარჯვებისთვის 5 000 დოლარი

ერთა თასზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მიერ რუსეთის ეროვნული გუნდის ძლევასთან დაკავშირებით, სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა. ნაკრების წევრებთან ერთად მასში მონაწილეობა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ**, კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **ნიკოლოზ რურუამ** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** მიიღეს. პრესკონფერენციაზე რამდენიმე სიახლესა და საქართველოში რაგბის განვითარების მომავალ გეგმებზე ისაუბრეს.

გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

- რუსებთან მატჩში გამარჯვებით დასრულდა ერთა თასის გათამაშების პირველი ეტაპი. ცხადია, სასიხარულოა, რომ პირველი წრე პირველ ადგილზე დავასრულეთ და დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ ერთა თასისკენ. განვლილ შეხვედრაში გამარჯვებას ასეთი დიდი ფასი არასდროს ჰქონია, ვიდრე წლეულს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთს ასეთი ძლიერი ნაკრები არასდროს ჰყოლია.

დამეთანხმებით, ბიჭები საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ მათ მთელი საქართველო იმედის თვალით შეჰყურებდა და ამ შეხვედრაში ნაგება არაფრით შეიძლებოდა. სწორედ ამ ფსიქოლოგიური წნეხის ბრალია თამაშის ბოლო ოცწუთიან მონაკვეთში რუსების გააქტიურება და არა ჩვენი ბიჭების ფიზიკური დაღლილობის. თუმცა ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ბიჭები, მაშინ, როცა აღარ მუშაობდა აღარც კუნთი, აღარც ფეხი, მაინც პოულობდნენ ძალას და იმაზე ბევრად მეტს აკეთებდნენ, ვიდრე შეეძლოთ.

ნებისმიერი მწვრთნელი და მათ შორის **ტიმ ლეინიც** ისე გეგმავს თავის მოღვაწეობას, რომ უმთავრეს მიზნამდე ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად მივიდეს. ჩვენ შემთხვევაში კი, მთავარი მიზანი მსოფლიოს თასზე გასვლაა. ტიმ ლეინის ხელმძღვანელობით ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა 10 შეხვედრა გამართა. აქედან ცხრა მოიგო და ერთიც ფრედ დამთავრდა. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ კარგი შედეგია.

ცხადია, მხედველობაში არ გვაქვს შოტლანდიაში გამართული შეხვედრები. იქ თითქმის მესამე ნაკრებმა ითამაშა და ასეც რომ არ იყოს, შოტლანდიურმა ტურნემ ბევრი რამ გვასწავლა. გვიჩვენა, რა ხარვეზები გვაქვს, რაზე უნდა ვიმუშაოთ.

ივნისში დენვერში ჩერჩილის თასის გათამაშებაში ვიასპარეზებთ. ამ ტურნირზე IRB-ის ხელმძღვანელების დიდი მხარდაჭერის შედეგად მოვხვდით. იქ საკმაოდ ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს პაექრობა, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ნაკრებისთვის. შესაბამისად აქცენტი რაიმე დიდი შედეგის მიღწევაზე არ გვექნება აღებული. ამ შემთხვევაში, მთავარია, ძლიერ მოწინააღმდეგეებთან პაექრობაში ისწავლო, გაიზარდო.

ნოემბერში კი ორი ტესტმატჩია დაგეგმილი. წლეულს ქართულ რაგბის 50 წელი უსრულდება და გვინდა რაგბის ქომაგებს ორი კარგი სანახაობა ვუძღვნათ. ვინ იქნება ჩვენი ნაკრების მეტოქე ნოემბრის ტესტებზე, ამას ჯერ ვერ ვიტყვით. მათ ვინაობას IRB უახლოეს დღეებში დაადგენს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, რომლებიც იმ რთულ პერიოდში, როცა ცნობილი მიზეზების გამო სპონსორები დავკარგეთ, თითქმის ყველა სარაგბო აქციაში მხარს გვიჭერდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან გაგვიჭირდებოდა. მას შემდეგ კი, რაც სპორტის მინისტრად ნიკოლოზ რურუა დაინიშნა, ბევრი საკითხი ადგილიდან დაიძრა.

ნიკოლოზ რურუა, სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი:

- საქართველოს ნაკრებმა ღირსეული და ლამაზი გამარჯვება მოიპოვა. მინდა მადლობა ვუთხრა მორაგბეებს იმ სიხარულისთვის, რაც მათ ქართველ ხალხს მოუტანეს. ნათლად ჩანს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვითამაშოთ მსოფლიო დონის რაგბი. ეს, დამეთანხმებით, სპორტის ფარგლებს სცილდება. ჩვენს ერს დღეს, როგორც არასდროს, ძალიან სჭირდება მხნეობა და ამაში უდიდესი წვლილი რაგბის სამყაროს შეაქვს. ყოველივე ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდობისთვისაც. ქართველი მორაგბეების საქციელი, მათთვის ვაჟკაცობისა და თავდადების კარგი მაგალითია.

მინდა გაცნობოთ, რომ რუსებთან შეხვედრაში გამარჯვებისთვის საქართველოს ნაკრების თითოეული მორაგბე 5 000 ამერიკულ დოლარს მიიღებს."

დავით ნამგალაური, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:

- ეს თანხა მხოლოდ ამ შეხვედრის პრემიაა. ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს მორაგბეთა ნაკრების ფინანსური წახალისების მექანიზმი, რომელსაც ფინანსთა სამინისტროსთან შევათანხმებთ. თუ ყველაფერზე მოვილაპარაკებთ, პრემიას მორაგბეები ყოველი კონკრეტული მოგებული მატჩისთვის მიიღებენ და ეს საკმაოდ სოლიდური თანხა იქნება. თანხა გაიზრდება ერთა თასის მოგებისა და მსოფლიოს თასზე გასვლის შემთხვევაშიც. ასე რომ, ყურადღება ბორჯღალოსნების მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება, რასაც ისინი ალალად იმსახურებენ.

ინტერვიუ ტიმ ლეინთან

## უმთავრესი მიზანი მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებაა

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის გათამაშების პირველი წრის ბოლო შეხვედრაში რუსეთის ეროვნული ნაკრები დაამარცხა და გათამაშების პირველი ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა. განვლილი მატჩის პერიპეტიებსა და მომავლის გეგმებზე ბორჯღალოსანთა დამრიგებელ ტიმ ლეინს ვესაუბრეთ.**

**- სრულყოფილად შეასრულა თუ არა გუნდმა თქვენ მიერ მიცემული დავალება და როგორ შეაფასებდით საერთო ჯამში ჩვენი გუნდის თამაშს?**

- დავალებას ძირითადად კარგად გაართვეს თავი. ერთადერთი ჩვენი დამრტყმელების ფეხით თამაშით ვარ უკმაყოფილო. წინა შეხვედრებთან შედარებით გავაუმჯობესეთ დაცვაში თამაში. შერკინება და დერეფანი მთლიანად დომინირებდა ორი ტაიმის განმავლობაში. რაც შეხება შეტევას, შერკინების მწვრთნელმა დამიენ კამინსმა ნაყოფიერად იმუშავა. მიმაჩნია, რომ მისი ხელი აშკარად დაეტყო გუნდს.

**- დაცვაში თამაში ახსენით. პირველ ტაიმში, დასაწყისში, რუსებმა ორჯერ გაგვიჭრეს ერთი და იმავე კომბინაციით დაცვის ხაზი. ამას ისინი სხვა შეხვედრებშიც აკეთებდნენ. გუნდი არ იყო მზად ამ კომბინაციის ჩაშლისათვის?**

- როგორ არა. დეტალურად გავაანალიზეთ მათი შეხვედრა რუმინეთის ნაკრებთან. ჩვენი სტრატეგია იყო, დაცვის ხაზი გაგვეწელა, რადგან რუსები თამაშს მთელ სიგანეზე შლიან. იმ ორი შემთხვევის გარდა, ჩვენი დაცვა კარგად დადგა და მეტოქეს უპირატესობის მოპოვების საშუალება არ მისცა.

**- წინა შეხვედრებში და რუსებთანაც ხშირად ვჯარიმდებოდით რაკში თამაშში, რის გამოც არბიტრმა მოედნიდან ლაშა მალაღურაძე გაასინბინა. მასვე უჩვენა ყვითელი ბარათი არბიტრმა ესპანელებთან მატჩში. რისი ბრალია ჩვენი გუნდის ასეთი ჯარიმიანობა?**

- ლაშამ რუსებთან შეხვედრაში რაკში სრულიად უაზროდ აიკიდა ჯარიმა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ჩვენი მორაგბეები ზედმეტად ღელავდნენ და ზომაზე მეტი ჟინით თამაშობდნენ. ვფიქრობ, ამ მხრივ მეტი დისციპლინაა საჭირო. მორაგბეები უნდა ენდონ საკუთარი დაცვის შესაძლებლობებს და მოწინააღმდეგეს რაკში თამაში უნდა მოაგებინონ, ოღონდ, ცხადია, იმ შემთხვევაში თუ ბურთის მოპოვება წესის დაცვით შეუძლებელია. არ შეიძლება მოწინააღმდეგეს ზედმეტი საჯარიმოს დარტყმის საშუალება მისცე.

**- ეს შეხვედრა პირველი იყო, რომელშიც საქართველოს ნაკრებს კარში დასარტყმელი საჯარიმო არბიტრმა ერთხელაც არ დაუნიშნა. როგორ შეაფასებდით მსაჯის მოქმედებას?**

- ვიდეოფირზე თამაში ჯერ არ მინახავს. დეტალურად არ გამიანალიზებია, რა ხდებოდა. არბიტრმა საჯარიმოები ჩვენს სასარგებლოდ ჩვენსავე ნახევარზე დანიშნა, რაც საშუალებას გვაძლევდა, თამაში მეტოქის მოედანზე გადაგვეტანა და უპირატესობა მოგვეპოვებინა. ისე, მსაჯი მსაჯია, ვერაფერს იზამ. ასეთია ცხოვრება.

**- 62-ე წუთიდან, როცა მალაღურაძე გაასინბინეს, ბიჭებს დაღლა დაეტყოთ, რაც დროთა განმავლობაში შედეგზეც აისახა. ანგარიში სამ ქულამდე შეამცირეს რუსებმა. რატომ განახორციელეთ მარტო ორი ცვლილება?**

- დავიწყოთ იმით, რომ ეს ისეთი თამაში იყო, რომელსაც მორაგბეები მთელი წელიწადი ელიან. ამიტომ მათ თამაშის ვერც ერთ წუთს ვერ წაართმევ. თანაც მიმაჩნია, რომ ის ორი ლელო, რომელიც რუსებმა გაგვიტანეს, დაღლილობის ბრალი სულაც არ იყო. სხვათა შორის, გიორგი ჩხაიძის შეცვლას მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ვფიქრობდი. კიდევ კარგი, არ შევცვალე. რომ შემეცვალა, ბოლო 30 წამში რაც მოხდა, ხომ აღარ მოხდებოდა. ბოლო ლელო ხომ მთლიანად მისი დამსახურებაა.

**- ერთა თასის პირველი ეტაპი დასრულდა. ხომ არ გეგმავთ სამომავლოდ გუნდში ახალგაზრდა მორაგბეების თანდათანობით შერწყმას. მით უფრო, რომ ჩვენი გუნდი საკმაოდ ასაკოვანია?**

- მორაგბე თუ თავის პოზიციაზე საუკეთესოა, რამდენი წლისაც უნდა იყოს, ნაკრებში სწორედ მან უნდა ითამაშოს. ჩემი მიზანია, 2010 წლისთვის გუნდი საუკეთესო ფორმაში ჩავაყენო და მსოფლიო თასის საგზური მოვიპოვოთ. საამისოდ კი, წინ ჯერ კიდევ სერიოზული ბრძოლების გადატანა მოგვიწევს.

რაც შეეხება ახალგაზრდა მოთამაშეებს, მათ ივნისში ჩერჩილის თასის გათამაშებაში გავსინჯავთ. ჩვენ გვაქვს მოთამაშეების საკმაოდ დიდი სია. ყველა პოზიციაზე ორ-ორი კაცია. მინდა ყველა მათგანი საქმეში კიდევ არაერთხელ ვნახო, რომ რაც შეიძლება მეტი სათამაშო პრაქტიკა და საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდეთ. უფრო შორეული პერსპექტივისთვის, 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგი ეტაპისთვის ეს კარგი იქნება. ახლო პერსპექტივაში კი, მთავარი მსოფლიო თასზე გასვლაა.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ



ტიმ ლეინი

მსოფლიო რეიტინგი

## პირველად მეცამეტეზე

რუსეთის ნაკრების სტუმრად ძლევის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ერთი საფეხურით წინ წაიწია და 70,39 ქულით მე-13 ადგილზეა. ასეთ მაღალ საფეხურზე ჩვენი ეროვნული გუნდი აქამდე არასდროს ყოფილა. ჩვენი ადგილი რეიტინგში ტონგას ნაკრებმა დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მე-12 ადგილზე მყოფ იტალიის ნაკრებთან ერთ ქულაზე ნაკლები გვაშორებს. მათი უკან მოტოვების პერსპექტივა არცთუ შორეული მომავლის საქმეა. სავარაუდოდ, ამისათვის ივნისში ჩერჩილის თასის გათამაშებაში კანადის ნაკრების ძლევაც საკმარისი უნდა იყოს.

მსოფლიო რეიტინგი: 1. ზელანდია - 92,68 ქულა. 2. ს.აფრიკა - 89,45. 3. ავსტრალია - 85,86. 4. ირლანდია - 83,27. 5. არგენტინა - 81,56. 6. ინგლისი - 80, 96. 7. უელსი - 80,59. 8. საფრანგეთი - 79,94. 9. ფიჯი - 75,24. 10. შოტლანდია - 75,23. 11. სამოა - 75,57. 12. იტალია - 71,23. 13. საქართველო - 70,39... 17. რუსეთი - 66,18. 18. რუმინეთი - 64,26. 21. პორტუგალია - 62,16. 23. ესპანეთი - 59,01. 26. გერმანია - 55,74.

## მილოცვა ირლანდიიდან

როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა ირლანდიასთან. საქართველოში უკვე შეირჩა მწვრთნელთა კანდიდატურები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში — ორი; თავისუფალ ჭიდაობასა და ძიუდოში — თითო, რომლებიც ირლანდიაში გაემგზავრებიან სამუშაოდ. ირლანდია კი ჯერჯერობით კრივში არჩევს კანდიდატურას, რომელიც ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ოლიმპიურ პრიზიორს **რამაზ ფალიანს** გაუწევს ასისტენტობას. ხელშეკრულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული რაგბიში თანამშრომლობა ერთობლივი წვრთნისა და თამაშების ჩათვლით.

ამ დღეებში ირლანდიის მორაგბეთა ნაკრებმა ექვსი ერის წლევანდელი გათამაშება მოიგო. ამასთან დაკავშირებით სეოკ-ის ხელმძღვანელობამ მილოცვა გაუგზავნა ირლანდიის ეოკ-ის პრეზიდენტს, ევროპის ეოკ-ების პრეზიდენტს **პატრიკ ჯოზეფ ჰიკს**.

გუშინ სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გოგლიძემ** ირლანდიიდან მადლობა და საპასუხო მილოცვა მიიღეს:

*„ძვირფასო გია, ძვირფასო რამაზ,*

*მრავალგზის მადლობა თქვენი კეთილი სიტყვებისთვის. ჩვენ ძალიან დიდი ზეიმი გვქონდა ირლანდიაში. 60 წელიწადი ველოდით ამ გამარჯვების მიღწევას, რაც ადასტურებს, რომ ყველაფერია შესაძლებელი.*

*გილოცავთ თქვენი მორაგბეების უდიდეს და ბრწყინვალე გამარჯვებას".*

პატრიკ ჯოზეფ ჰიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# შენგელიას ანატომია

## თორნიკე ესპანეთის ჩემპიონატში ისევე თამამად თამაშობს, როგორც თანატოლებში



თორნიკე შენგელია

**თორნიკე შენგელიას** ბოლოდროინდელი პროგრესი მხედველობიდან არც ესპანელებს რჩებათ. მთავარ პირენეულ საკალათბურთო საიტ ეი-სი-ბიზე გამოქვეყნდა ვრცელი პუბლიკაცია 17 წლის ქართველი ვალენსიელის შესახებ. გთავაზობთ ჟურნალისტ დევიდ ვიდალის ნაშრომის სრულ თარგმანს.

"ვალენსიურ "პამესაში" მეტისმეტად გამოცდილი შემადგენლობაა შეკრებილი. იგი ესპანური ჩემპიონატის ერთ-ერთი წარმატებული გუნდია. ასეთ კლუბებში, როგორც წესი, გამოუცდელ კალათბურთელებს არ ენდობიან. "პამესა" გამონაკლისია – მწვრთნელი, ნევენ სპაჰია ბოლომდე ენდობა 17 წლის 202 სმ სიმაღლის ქართველ ფორვარდს თორნიკე შენგელიას.

იგი სხვა ახალგაზრდა მოთამაშეებისგან განსხვავებით არც "ჰოსპიტალიტეტის" ტურნირზე გამოჩენილა და არც 20-წლამდელთა ჩემპიონატში უთამაშია, პირდაპირ მოხვდა როგორც "პამესას" ძირითად გუნდში, ასევე საქართველოს ნაკრებში, რომელთან ერთადაც B დივიზიონის მატჩები ითამაშა.

### დებიუტი

თოკო შენგელია ესპანელებმა 2007 წლის ზაფხულში ქართულ კემპზე აღმოაჩინეს. 2007-08 წლებში მან "ვალენსიას" მაისურით ესპანეთის ჭაბუკთა ჩემპიონატში ითამაშა, ხოლო მომდევნო სეზონში, 2009 წლის 8 თებერვალს "პამესას" მთავარ გუნდში ესპანეთის ჩემპიონატში ჰქონდა დებიუტი. **ნევენ სპაჰიას** კრებულში მან პირველად "მენორკას" წინააღმდეგ ითამაშა, 9 წუთში 7 ქულითა და 2 მოხსნით გამოირჩა. ამ შეხვედრას ერთ-ერთი ესპანური გაზეთი ასეთი სათაურებით გამოეხმაურა: "ბოლო 12 დებიუტანტისგან შენგელია საუკეთესო იყო". მან პირველ მატჩში სტატისტიკით **მარტინესს, ქუკოს, რებრაჩას, პიეტრუსს** და სხვა სახელიან კალათბურთელებს აჯობა.

ქართველი ჭაბუკის დებიუტი შეაფასა "პამესა 2"-ში მისმა მწვრთნელმა **ხუანხო რედმა**: *"შენგელია თამამი მოთამაშეა. უმაღლეს ლიგაში გამოცდილი კალათბურთელების წინააღმდეგ ისევე თავისუფლად თამაშობს, როგორც თანატოლებში."*

როგორც ვთქვით, შენგელიას უმაღლესლიგური დებიუტი 8 თებერვალს შედგა. მანამდე მან "პამესაში" ევროთასზე ითამაშა – ბოლონიის "ფორტიტუდოსთან" მოედანზე 8 წუთი გაატარა, 4 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. თოკოს მწვრთნელი, რედი ქართველის თამაშს იტალიელების წინააღმდეგაც აფასებს: *"შენგელია სადებიუტო შეხვედრაშიც არ მორიდებია ერთი-ერთზე კაცის მოტყუებას, რაც კარგად გამოუვიდა. იგი ბრძოლებშიც თამამად შედიოდა და ნამდვილად არ იგრძნობოდა, რომ საქმე მეტისმეტად ახალგაზრდა კალათბურთელთან გვქონდა".*

თორნიკე შენგელიამ 2007 წელს საქართველოს კადეტთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. იგი გუნდის ლიდერი იყო, საშუალოდ 12.9 ქულას, 6.3 მოხსნას აგროვებდა.

ვალენსიაში გადმოსვლის შემდეგ "პამესას" ჭაბუკთა გუნდის ლიდერად იქცა (**მარკოს მოლინასთან** ერთად). მათი წინამძღოლობით ვალენსიელებმა ესპანეთის იუნიორთა პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავეს. ამ ტურნირში თოკო სნაიპერთა სამეულში შევიდა – 20.6 ქულა და 7.6 მოხსნა.

ხუანხო რედმა ქართველი ფორვარდის მაგალითზე 1991-წლიანთა თაობაზე ისაუბრა: *"შარშან, ჭაბუკთა ჩემპიონატზე თორნიკე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „რეალის" ამომავალ ვარსკვლავ მიროტიჩზე მაღლა იდგა. მის ასაკში მართლაც ბევრი ნიჭიერი ჭაბუკია."* 1991-წლიანებში ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მიროტიჩთან შედარება მეტად თამამი ნაბიჯია, თუმცა მწვრთნელი გადამეტებით არაფერს ამბობს.

### 2008-09

თორნიკე შენგელიამ მიმდინარე სეზონი EBA-ში (ერთგვარი დუბლების ლიგა) დაიწყო, სადაც 17 მატჩში საშუალოდ 21 წუთში 10.5 ქულას, 3.9 მოხსნას, 1.9 პასსა და 1.3 ჩაჭრას აგროვებს. ბოლო დროს, ქართველ ახალგაზრდას "პამესას" პირველი გუნდისკენ გზა **ხორხე კანდელის** დაშავებამ გაუხსნა. შენგელიას აქტივში ევროთასზე ჩატარებული ერთი და ესპანეთის ჩემპიონატში ჩატარებული 5 მატჩია.

თოკო განსაკუთრებით ეფექტური "ბრუესასთან" მატჩისას იყო. 17 წლის ბიჭმა მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და პირველ მეოთხედში ჩაგდებული 8 ქულით "პამესას" გაქცევას ჩაუყარა საფუძველი.

ქართველის მწვრთნელი შეგირდს ზოგადად ასე ახასიათებს: *"შენგელია ერთი-ერთზე თამაშისას ძალიან კარგია, შესანიშნავი მომხსნელია, სამქულიანი სროლა გასაუმჯობესებელი აქვს, რაზეც მუშაობს. თორნიკეს ასევე სამუშაო აქვს დაცვასა და სისწრაფეზე."*

მას ესპანეთის ჩემპიონატში სამქულიანი ჯერ არ უსვრია, ხოლო EBA-ში შორეული ტყორცნების 18 პროცენტს იყენებს, რაც დაბალი მაჩვენებელია. ამ კომპონენტის დაუხვეწავად მას უმაღლეს დონეზე თამაში გაუჭირდება.

202 სმ სიმაღლე შენგელიას ფარქვეშ თამაშის უფლებას არ მისცემს. მისთვის ოპტიმალური ვარიანტი მსუბუქი ფორვარდობაა. თოკოს საქართველოში ყველა პოზიციაზე აქვს ნათამაშები, ხოლო ესპანეთში შარშან მძიმე ფორვარდად ირჯებოდა, წლეულს კი მსუბუქი თავდამსხმელია (მესამე ნომერი).

ხუანხო რედი აცხადებს, რომ ქართველმა 2007 წლის შემდეგ საგრძნობლად გააუმჯობესა ფიზიკური მონაცემები, რაც პრესინგისას შენგელიას უპირატესობას აძლევს. თუმცა, მწვრთნელი იქვე აღნიშნავს, რომ თორნიკე ახალგაზრდაა და ყველა კომპონენტზე ბევრი სამუშაო აქვს.

### ვალენსიელთა ქართული პროდუქტი

ბოლო დროს ესპანეთში ქართველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. **კოკა ტომარაძე** "ბარსელონაში" თამაშობდა, თუმცა წლეულს "საბადელში" გადავიდა. **გიორგი შარაბიძეც** შენგელიას გვერდით, "პამესაში" ირიცხება. **გრიგოლ შვანგირაძე** "ტენერიფეშია". მათ გარდა პირენეებზე თამაშობენ **ბექა ჩიკვილაძე, გიორგი კვეტენაძე, ლევან სულაბერიძე** და **მიხეილ ბერიშვილი**.

გაგახსენებთ, რომ **ვიქტორ სანიკიძე** "ესტუდიანტესში" ირჯებოდა, ხოლო **ვლადიმერ ბოისა** – "მენორკაში". **ნიკა ცქიტიშვილი** "ფუენლაბრადას" ღირსებას იცავს. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა საქართველოს ნაკრებში თამაშობდა **შემონდ უილიამსი**, რომელიც თოკოს თანაგუნდელია. ხოლო "კახასოლის" უკანახაზელი ტაირონ ელისი ახლაც ქართველთა ნაკრების წევრია.

ბოლო წლებში "პამესას" მთავარ გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა მოხვდა. მათ შორისაა **ვიქტორ კლავერი**, რომელიც მომავალი დრაფტის კანდიდატია, **ბოჟიდარ ავრამოვი** (1990) და **ხოსე სიმეონი** (1991). *"როგორც უკვე ვთქვი, ნიჭიერი თაობა გვყავს. პირველი გუნდის მწვრთნელს საქმე ასარჩევად აქვს. ახლა მთავარია ამ ახალგაზრდების შენარჩუნება,"* – აცხადებს ხუანხო რედი.

მართალია, შენგელია პირველ გუნდში უკვე თამაშობს, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორი მომავალი ექნება "პამესაში"? ამ საკითხზე მწვრთნელი საუბრობს: *"დღეს ძნელია საუბარი, რა იქნება მომავალში. მირჩევნია წარსულზე ვთქვა: თოკო ვარჯიშებზეც 100 პროცენტით იხარჯება და თამაშებზეც. ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მისი მოკლე ვადაში "ვალენსიას" ძირითად გუნდში მოხვედრისა. მას ასევე კარგად ესმის, რომ წინსვლისთვის კიდევ უფრო მეტი ვარჯიშია საჭირო."*

**ვაჟა სიმონიშვილი**


ნიკა ცქიტიშვილი

ესპანეთის ჩემპიონატი

# ცქიტა პლეი ოფს დაშორდა

**ვალენსიური** "პამესას" მწვრთნელი, როგორც ჩანს, 17 წლის ქართველს, **თორნიკე შენგელიას** გუნდის უცვლელ წევრად მიიჩნევს. თოკომ ზედიზედ მეორე მატჩი დაიწყო სასტარტო შემადგენლობაში. ამჯერად მან მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ 11 წუთი ითამაშა, 2-მცდელობიდან ერთი ორქულიანი ჩააგდო და 2-2 ქულა-მოხსნა მიითვალა.

ვალენსიელებმა მადრიდული მატჩი კარგად დაიწყეს და გადამწყვეტ მეოთხედს ათქულიანი ფორით შეხვდნენ – 63:53. თუმცა, შენგელიასა და **შემონდ უილიამსის** თანაგუნდელებმა მეოთხე პერიოდში სამეფო კლუბს ვერაფერი დაუპირისპირეს და 76:80 დათმეს.

წაგების მიუხედავად "პამესა" მეშვიდე ადგილზე მყარადაა. მას 26-დან 14 მატჩი აქვს მოგებული. მერვეა "მანრესა", რომელსაც 13-13 მოგება-წაგება უწერია. ბოლო ტურში მან "ბარსელონა" 122:117 დაამარცხა.

სხვათა შორის, საპლეიოფო, მერვე ადგილი **ნიკა ცქიტიშვილის** "ფუენლაბრადას" სწორედ "მანრესამ" აართვა. ცქიტოს თანაგუნდელები მეცხრე პოზიციაზე მოკალათებულან და ორი მოგებით ჩამორჩებიან მეტოქეს. ასეთი ჩამორჩენის მიუხედავად "ფუენლაბრადას" პლეი ოფში გასვლის შანსი არ დაუკარგავს, რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურია დარჩენილი.

27-ე ტურში ნიკა ცქიტიშვილის მეგობრებმა "უნიკახასთან" გასვლითი მატჩი დათმეს – 78:91. მასპინძლებმა მეორე მეოთხედში მოიპოვეს 10 ქულიანი უპირატესობა და იგი საფინალო სირენამდე შეინარჩუნეს.

ნიკამ 14 წუთი ითამაშა, 4 ქულა (2-დან 2 ორქულიანი), 2 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა.

ჩემპიონატის დაწყების შემდეგ პირველად დაალწია თავი გავარდნის კანდიდატთა ორეულს **ტაირონ ელისის** "კახასოლმა". სევილიელებმა ბოლო დროს თამაში საგრძნობლად გამოასწორეს და ზედიზედ მესამე მატჩის მოგება მოახერხეს. სევილიელებმა 27-ე ტურში "მურსია" 83:81 დაამარცხეს და მას სატურნირო ცხრილში ადგილი გაუცვალეს – მეთექვსმეტედან მეთხუთმეტეზე აინაცვლეს.

როგორც იქნა, თავისი თამაში იპოვა საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა, ტაირონ ელისმა. მან 30 წუთში 16 ქულა ჩააგდო და "კახასოლის" სნაიპერი გახდა. ელისმა შორეული ტყორცნები უფრო ზუსტად ისროლა, ვიდრე ორქულიანები: 4-დან 2 ორიანი, 7-დან 4 სამიანი.

**მიხეილ ბერიშვილმა** ესპანეთის "ვერცხლის ლიგაში" მესამე მატჩი ჩაატარა. მისი "ხუვენტუდი" "კორდობას" ეწვია და 88:82 დაამარცხა.

ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 4 წუთი გაატარა, 1 სამქულიანი ააცილა და აქტივში 1 ჩაჭრა მიითვალა.

"ხუვენტუდს" 10 მოგების წილ 15 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზეა. ჩემპიონატში 16 კლუბი მონაწილეობს.

სხვა გვერდზე არ გადაშალოთ, ამ პუბლიკაციის ერთგვარ გაგრძელებას ცალკე სტატიად გთავაზობთ. იგი თორნიკე შენგელიას ეხება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ადრიატიკის თასი

# ზადარი ადრიატიკას დაემშვიდობა

**ვლადიმერ ბოისას** ახალმა კლუბმა "ზადარმა" ადრიატიკის ლიგაში გამოსვლა დაასრულა. ხორვატულ გუნდს ფინალურ ოთხეულში გასასვლელად ცოტა დააკლდა. მას საბოლოოდ 17 მოგება და 9 წაგება მოუგროვდა (მეხუთეზე აღმოჩნდა), ხოლო მეოთხეადგილოსან "ცრვენა ზვეზდას" – 19 მოგება 7 მარცხი.

ბოლო მატჩში "ზადარმა" "ვოივოდინა" 80:71 დაამარცხა. ვოვა ბოისამ 30 წუთი ითამაშა, 6 ქულას, 2 მოხსნას და თითო ჩაჭრა-პასს გამორჩა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვლადიმერ ბოისა

კალათბურთის ფედერაცია მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის,
**ნიკოლოზ (ზაურ) დოლაბერიძის**
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


მანუჩარ მარკოიშვილი

უკრაინის ჩემპიონატი

# მარკოიშვილის 21

**მანუჩარ მარკოიშვილმა** "კიევს" კიდევ ერთი მატჩი მოაგებინა. უკრაინის ჩემპიონატში დედაქალაქელებმა "პოლტავას" უმასპინძლეს და 75:64 დაამარცხეს.

ქართველმა ფორვარდმა ყველაზე მეტი, 38 წუთი ითამაშა და მატჩის ბომბარდირობა არავის დაუთმო – 21 ქულა (10-დან 5 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 8 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასი მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ "კიევი" 25 მარტს ევროჩელენჯის მეოთხედფინალის სათამაშოდ ფრანგულ "შოლეს" ესტუმრება. სერიაში ანგარიშია 1:1. გამარჯვებული ნახევარფინალში ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფიგურული ციგურაობა

# იქნებ, ლოს ანჯელესში გატყდეს ნავსი

**დღეიდან** ლოს ანჯელესი (აშშ) ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, პირველად ისტორიაში წლის ამ ყველაზე უმნიშვნელოვანეს ტურნირს საქართველოს ორი წარმომადგენელი ეყოლება - ვაჟებში **ბექა შანყულაშვილი**, ქალებში - **ელენე გედევანიშვილი**. დღეს მსოფლიოს პირველობა წყვილებით იწყება, ვაჟები მოკლე პროგრამას ხვალ შეასრულებენ, სულ 51 მონაწილეა. ბექა ტურნირის დასრულებისთანავე 19 წლის გახდება. მისი კარიერის მიღწევა მოკლე და თავისუფალი პროგრამის ჯამში 127,16 ქულის დაგროვებაა. ქართველი წელს გადავიდა დიდებში. ჯერჯერობით მისი შედეგები ვერ გვახარებს, შანყულაშვილი 38-ე ადგილზე გავიდა, როგორც ევროპის ჩემპიონატზე ასევე ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბულგარეთის სახელით ისრიალებს 22 წლის **გიორგი კენჭაძე**, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე 30-ე ადგილზე გავიდა. ვაჟთა თავისუფალი პროგრამა 26 მარტს გაიმართება.

ელენე გედევანიშვილს წლეულს კარიერის უცუდესი სეზონი უდგას. ის ევროპის ჩემპიონატზე 25-ე ადგილზე გავიდა და კარიერაში პირველად ვერ მოხვდა თავისუფალ პროგრამაში. მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩვენი თანამემამულე მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობდა, მაგრამ თავისუფალი ჩააფლავა და საბოლოოდ მე-6 ადგილი დაიკავა. ქალთა შორის ლოს ანჯელესში 54 მონაწილე გამოვა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩვენებურის საუკეთესო შედეგი მე-14 ადგილია (2006).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა



# ათი წლის შემდეგ

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის **ვიქტორ სანეევის** სახელობის თბილისის მერიის მძლეოსნობის სასპორტო სკოლას სასახელო ტრადიციები აქვს. ბევრი კარგი ათლეტი აღზარდა, მაგრამ საქართველოში მომხდარი ცნობილი მოვლენების გამო, 10 წლის განმავლობაში სკოლა, როგორც დირექტორმა **გიორგი ბედოშვილმა** გვითხრა, ფაქტობრივად, უმოქმედო იყო. მეტიც — ორი წლის განმავლობაში მწვრთნელებს ხელფასებიც არ აუღიათ. ბოლო ექვსი თვეა, აქ გამოცოცხლება იგრძნობა.

— შენობა-ნაგებობა სკოლას რომ დაუქვემდებარეს, ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცა. — აღნიშნა ბატონმა გიორგიმ. — თუმცა, მაინც ენთუზიაზმის ხარჯზე ვარსებობთ, რადგან 80-100 ლარი, აბა, რა ხელფასია?!

მძლეოსნობის მანეჟი საშინელ დღეში იყო. შეძლებისდაგვარად შევალამაზეთ კოსმეტიკურად, თორემ კაპიტალურ რემონტს დიდი თანხა სჭირდება. მშობლებს ბავშვებიც ახლა უფრო ხალისით მოჰყავთ სავარჯიშოდ. 27 მწვრთნელ-მასწავლებელი ემსახურება მათს აღზრდას. ღია სარბიელზე გასვლის წინ გადავწყვიტეთ, სკოლის პირველობა ჩაგვეტარებინა, რომელიც ათი წელიწადია, არ გამართულა. ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ორ ასაკობრივ ჯგუფში 150-მა გოგონამ და ვაჟმა მოიყარა თავი. ბევრი ისეთი ტალანტი აღმოვაჩინეთ, რომ, სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, ისინი არა მარტო საქართველოს პირველობებზე, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც ისახელებენ თავს.

**ქვარცხლბეკი**

**1995-1996 წლებში დაბადებულნი: 50 მ. რბენა.** 1. სოფიო ჩალაშვილი — 7,4; 2. ანა ვახტანგაძე — 7,8; 3. მარიამ ბედუკაძე — 8,0. 1. გიორგი აზარაშვილი — 6,5; 2. ნიკა ლუკავა და ამირან შენგელია — 6,7; **150 მ.** 1. სოფიო ჩალაშვილი — 2,1; 2. ანა ვახტანგაძე — 23,6; 3. მარიამ კოკოლაშვილი — 23,7; 1. გიორგი აზარაშვილი — 19,5; 2. ნიკა ლუკავა — 19,8; 3. ამირან შენგელია — 20,1; **სიგრძეზე ხტომა.** 1. ანა ვახტანგაძე — 2,07; 2. სოფიო ჩალაშვილი — 1,93; 3. თეონა მოსეშვილი — 1,92. 1. თემურ აზრუმელაშვილი — 2,45; 2. გიორგი აზარაშვილი — 2,40; 3. ნიკა ლუკავა — 2,35.

**1997-წლიანები და უმცროსები: 50 მ.** 1. ალექსანდრა მშვიდობაძე — 7,7; 2. სალომე ხაყომია — 7,8; 3. სალომე ფრუიძე და სალომე ბობოხიძე — 8,1; 1. თემურ შამოევი — 7,6; 2. დათო წონწავა — 7,8; 3. დათო გაბრიელაშვილი — 7,9.

**150 მ.** 1. ალექსანდრა მშვიდობაძე — 23,6; 2. ქეთი გაბიანი — 24,1; 3. სალომე ხაყომია — 24,2; 1. თემურ შამოევი — 23,0; 2. სანდრო ლამბაშიძე — 24,1; 3. თორნიკე ნანობაშვილი — 24,8. **სიგრძეზე ხტომა.** 1. სალომე ხაყომია — 2,01; 2. სალომე ბობოხიძე — 1,95; 3. ალექსანდრა მშვიდობაძე — 1,76. 1. დათო წონწავა — 2,10; 2. თემურ შამოევი და ალეკო სუმბელაშვილი — 2,0.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სუმო

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)

# გაგამარუს ბრძოლა გრძელდება

მიუხედავად იმისა, რომ ელიტაში ორი ფალავანი გვყავს, გუშინ ყველაზე მეტად მე-3 დივიზიონ მაკუშიტაში რა ხდებოდა, ის გვაინტერესებდა. 22 წლის **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, რომელიც დივიზიონის მე-3 ნომერია, ასევე მე-3 ნომერ **კოტოიუტაკას** ხვდებოდა. ორივეს 3-1 ბალანსი ჰქონდა და გამარჯვებული პრაქტიკულად იბევებდა მეორე დივიზიონის საგზურს. გაგამარუს 3-2 საგზური აქვს და მხოლოდ ორივე დარჩენილი ბრძოლის შემდეგ ექნება შანსი.

ელიტაში **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** სცადა ეშმაკობით ეჯობნა მე-4 მაეგაშირა **იოშიკაძისთვის**, მაგრამ ვერ გათვალა, სტარტისას ჩვენებური მარჯვნივ გახტა, იაპონელი დროულად მიუხვდა კოკაის და ოშიდაშით მიაწვა ჩვენებურს. კოკაის ბალანსი 5-4 აქვს და მისთვის უმთავრესი ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულებაა. დღეს ლევანი მე-15 მაეგაშირა **კიმურაიამას** დაეჭიდება.

ზუსტად იგივე ამოცანა აქვს 21 წლის **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)**, რომელმაც გუშინ 35 წლის **ტოიოძაკურას** ცუპარი მოიგერია, შემდეგ კი მეტოქის მავაში იგდო ხელთ და მეტოქე დოჰიოდან გაიყვანა. ტოჩინოშინს 4-5 ბალანსი აქვს, დღეს კი მთაკაცს ხვდება - 248-კილოიან **იამამოტოიამას**.

ბაშოზე კვლავ ორი დაუმარცხებელი სუმოისტია, ორი დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო**. მათ 9-9 გამარჯვება აქვთ, იმპერატორის თასისთვის ბრძოლის რეალური შანსი კი მათ გარდა მხოლოდ ოძეკი **კაიოს** აქვს (7 მოგება).

**15–29 მარტი. ოსაკა (იაპონია)**

IX დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 8)-იოშიკაძე (მ 4) 0:1 (ოშიდაში), ტოჩინოშინი (მ 10)-ტოიოძაკურა (მ 16) 1:0 (იორიკირი), ასაშორიუ (ი)-ბარუტო (ს) 1:0, ჰაკუჰო (ი)-კოტომიცუკი (ო) 1:0, კოტოოშუ (ო)-ჰარუმაფუჯი (ო) 1:0, კაიო (ო)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0, კისენოსატო (ს)-ჰოკუტორიკი (მ 1) 1:0, კაკურიუ (მ 1)-გოეიდო (კ) 1:0, კოტოშოგიკუ (მ 2)-კიოკუტენჰო (კ) 1:0, ტოჩიოძანი (მ 2)-მიაბიამა (მ 3) 1:0, ტაკამისაკარი (მ 7)-ტოკიტენკუ (მ 3) 1:0, ჰომაშო (მ 7)-ტაკეკაძე (მ 4).**

სატურნირო მდგომარეობა: 9-0: **ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა). 7-2:** კაიო (ოძეკი). ... 5-4: კოკაი (მაეგაშირა 8)... 4-5: ტოჩინოშინი (მ 10).

X დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 8)-კიმურაიამა (მ 15), ტოჩინოშინი (მ 8)-იამამოტოიამა (მ 13), ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო), ასაშორიუ (ი)-ჰარუმაფუჯი (ო), კოტომიცუკი (ო)-გოეიდო (კ), კოტოოშუ (ო)-ტაკეკაძე (მ 4), კაიო (ო)-კისენოსატო (ს), ბარუტო (ს)-ჰოკუტორიკი (მ 1), კიოკუტენჰო (კ)-კაკურიუ (მ 1), ტოჩიოძანი (მ 2)-კოტოშოგიკუ (მ 2), მიაბიამა (მ 3)-ტოკიტენკუ (მ 3), ამინიშიკი (მ 5)-ჰომაშო (მ 7).**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ჭადრაკი

# წარმატებული ევროპელები სამშობლოში დაბრუნდნენ

გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ევროპის ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატებზე წარმატებული ქართველი მოჭადრაკეები მასმედიას შეახვედრა. შეგახსენებთ, რომ **ბაადურ ჯობავამ** მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი ერგო; **მაია ლომინეიშვილმა** მეოთხე საფეხურზე დაასრულა ტურნირი, ხოლო **სოფიკო ხუხაშვილი** მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ფედრაციის პრეზიდენტმა, **გიორგი გიორგაძემ** მიულოცა მოჭადრაკეებს წარმატება და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტს მიაღწევენ. აღნიშნა, რომ ფედერაცია მაქსიმალურად დაიხარჯება და დაუდგება გვერდში ყველა პერსპექტიულ სპორტსმენს. ევროპის ჩემპიონატის წინ საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გაიარეს გოგონებმაც და ვაჟებმაც, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგა წარმატებისთვის. გამოითქვა წუხილიც - მეტის იმედი გვქონდაო... ვაჟებში მხოლოდ **მერაბ მამულაშვილმა** მიიღო შანსი, მსოფლიო თასის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაგრამ ბოლო ტურში დამარცხდა. **მიხეილ მჭედლიშვილმა** ცუდად იასპარეზა, ასევე მეტი შეიძლებოდა გაეკეთებინა **თორნიკე სანიკიძესაც**... გოგონებშიც შეიძლებოდა უკეთესი სურათის ხილვა, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო, ეს არ მოხერხდა... შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა **ნანა ძაგნიძის** წარუმატებლობა, მაია ლმინეიშვილმა უპასუხა: „ევროპის ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე ნანამ ძალიან კარგად ითამაშა გიბრალტარის დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ბევრ და ძლიერ მამაკაც დიდოსტატს გაუსწორდა. როგორც ჩანს, ის ქალებთან სათამაშოდ სათანადოდ ვერ განეწყო. შესაძლო იყო, მცირე გადაღლაც. სამწუხაროდ, სანკტ-პეტერბურგში გარდა სასტუმროსი, სხვა დანარჩენი არაფრად ვარგოდა. კვებაზე თავად ჩვენ ვზრუნავდით და სათამაშო დარბაზიც არაკომფორტული იყო. რატომღაც ორ ნაწილად ვიყავით დაყოფილები - ლიდერები ერთ სართულზე ისხდნენ, დანარჩენები კი - მეორეზე. ნერვების მომშლელ უამრავ წვრილმან - მსხვილმან პრობლემას ვეჩეხებოდით ყოველდღიურად". გიორგაძე დაეთანხმა მაიას, რომ ძაგნიძემ ფსიქოლოგიურად ვერ მოახერხა ქალებთან სათამაშოდ განწყობა. მან ღნიშნა: „ნანა სანკტ-პეტერბურგში მედლის ასაღებად წავიდა და არა - საბრძოლველად. ამ ორ მიდგომაში კი დიდი გასხვავებაა. ნებისმიერ ტურნირში ბოლომდე უნდა დაიხარჯო და ზუსტად შეაფასო პოზიცია. ნანამ კი, მოულოდნელად დიდ წინაალმდეგობას რომ წააწყდა, ანერვიულდა, შედეგად კი პოზიციის ობიექტურად შეფასების უნარი დაკარგა - ყველა პარტიის მოგებაზე თამაში დაიწყო და ამანაც აზარალა რიგ შემთხვევებში... მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ჩავარდნა ხანმოკლეა და ნანა კვლავაც ძველებურად ათამაშდება".

როგორც ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო და გუშინდელმა მასპინძლებმა ჟურნალისტებს გაგვანდეს - მეტიც გვსურდაო. ჯობავას შემთხვევაში ჩემპიონობაზეც კი ვფიქრობდით, რადგანაც **ევგენი ტომაშევსკი** არ იყო დაუმარცხებელი და ბაადურს ფინალში გამარჯვების დიდი შანსიც ჰქონდა. მაიასაც შეეძლო ჩემპიონობისთვის ბრძოლა, - ბოლო ტურში **ნატალია პოგონინასთან** აბსოლუტურად მოგებული პარტიის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო - ერთ სვლაში ამთავრებდა ყველაფერს. მოგებით მაია მინიმუმ მესამე ადგილს დაიკავებდა - ტაიბრეიკში **ლილიტ მკრტჩიანსა** და **ტატიანა კოსინცევას** შეეცილებოდა ოქროს.

ალსანიშნავია **სოფიკო გურამიშვილის** და **მერი არაბიძის** წარმატებები - სოფიკომ დიდოსტატის ნორმა შეასრულა, მერიმ კი - საერთაშორისო ოსტატის.

თავის მხრივ, კმაყოფილება გამოთქვეს მოჭადრაკეებმაც - წარმატებაში ფედერაციის დახმარებამ და საწვრთნელი შეკრების მოწყობამ დიდად შეგვიწყო ხელიო. წლევანდელი წელიწადი ტურნირებითაა დახუნძლული. ერთ-ერთი მთავარი ტურნირი ჩინეთში, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატია ქალთა შორის და იქ ჩვენი რენომეა დასაცავი. ჩინელები ოლიმპიადაზე მარცხს მსოფლიოს ჩემპიონობით გამოსყიდვას ეცდებიან და ყველა ღონეს იხმარენ გამარჯვებისთვის. ამიტომ ჩვენც ძალიან კარგად უნდა მოვემზადოთ.

მსოფლიოს ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატი გაისად გაიმართება, კაცთა მსოფლიოს თასი კი წელსვე — რუსეთში. სამწუხაროდ, იქ ქართველთაგან მხოლოდ ბაადურ ჯობავა ითამაშებს. მსოფლიო თასი ნოკაუტ-სისტემით ჩატარდება და სტარტზე 128 მოჭადრაკე გავა. ბადურმა, თუკი კარგად მოვემზადე, მაღალ შედეგს აუცილებლად ვაჩვენებო, - ევროპამდე მხოლოდ თვე-ნახევარი მოვემზადე ინტენსიურად და უმალ დამეტყოო. გიორგი გიორგაძემ მომზადებაში მხარდაჭერა რომ აღუთქვა ყველას, უკვე მოგახსენეთ და, იმედია, ქართული ჭადრაკი კიდევ არაერთ სიმაღლეს დაიპყრობს.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა და ბასილაშვილი წინ

გუშინ, ორკვირიანი შესვენების შემდეგ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგი გამოქვეყნდა ქალთა და ვაჟთა შორის. WTA-ს ლისტში კვლავ 9 ქართველია, რომელთაც სათავეში 19 წლის **ანა ტატიშვილი** უდგას. ანას 392 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 150-ე ჩოგანია (+4). ტატიშვილი ასე მაღლა რეიტინგში არასოდეს ყოფილა. სხვათა შორის, მისი მონაგარი ჰონორარებში დღეისათვის 99,9 ათას დოლარს შეადგენს, ასე რომ, ანა მალე ასიათასიან ზღვარს გადალახავს. 6 ადგილით წინ წაიწია 26 წლის **მაკა ჩახნაშვილმა**, მაკა 270 ქულით მსოფლიოს 206-ე ჩოგანია. მისმა საჰონორარო შემოსავალმა 182,5 ათას დოლარს მიაღწია. **სოფიო შაფათავა** 212 ქულით კლასიფიკაციაში 244-ე (-1) ადგილზეა.

ჩვენებურებში ყველაზე დიდი წინსვლა 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** აქვს. ოქსანამ ერთბაშად 34 საფეხურით წაიწია წინ, იგი დღეს 128 ქულით მსოფლიოს 351-ე ჩოგანია. ბუნებრივია, ეს მისი კარიერის მორიგი მიღწევაა. მხოლოდ ერთი ადგილით გააუმჯობესა რეიტინგი **ეკა გორგოძემ**, თუმცა კარიერის მორიგი პიკი აქტივში მანაც ჩაიწერა - ეკა 46 ქულით მსოფლიოს მე-600 ჩოგანია. სხვები: 658 (+3) **სოფიო ქვაცაბაია** - 38, 714 (-24) **მანანა შაფაქიძე** - 31, 739 (-2) **სალომე დევიძე** - 28 და 903 (+2) **სოფიო მელიქიშვილი** - 16.

ვაჟებში **ირაკლი ლაბაძე** პირველობს - მას 96 ქულა აქვს, ირაკლი მსოფლიოს 515-ე (+5) ჩოგანია. სხვებიდან კი 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილის** პროგრესს აღვნიშნავთ, ნიკამ ერთბაშად 173 საფეხურით წაიწია წინ. 909 (+3) **ლაზარე კუხალაშვილი** - 24 ქულა, 1005 (+2) **ლადო ჩიხლაძე** - 17, 1018 (+173) ნიკოლოზ ბასილაშვილი - 16, 1312 (+7) **ნოდარ ითონიშვილი** - 6, 1555 (+7) **ბექა ბუჩუკური** - 2, 1644 (+9) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

ესპანურ ლა პალმასში 25-ათასიანი ტურნირის მეორე საკვალიფიკაციო წრეში ეკა გორგოძემ ბრიტანელი **ემილი უებლეი-სმითის** (347) წინააღმდეგობა ადვილად დაძლია, 6:3-ის მერე მე-6 ნომრად განთესილმა ალბიონელმა ბრძოლა შეწყვიტა. სამწუხაროდ, დამარცხდა სოფიო ქვაცაბაია, რომელმაც მე-16 ნომრად განთესილ ფრანგ **ნატალი პიკეონთან** (513) წააგო - 3:6, 4:6. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში გორგოძე ბულგარელ **ელიცა კოსტოვას** (398) ეთამაშება, რომელიც მე-11 ნომრადაა განთესილი. გორგოძეს ბულგარელთან ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე აქვს ნაგებული. ტურნირის ძირითად ბადეში მაკა ჩახნაშვილი მე-8 ჩოგნად განთესეს. პირველ წრეში მას უხერხული მეტოქე, სერბი **ანა იოვანოვიჩი** (269) შეხვდება.

ოქსანა კალაშნიკოვა მოსკოვშია, სადაც 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო წრეში პირველ ნომრად არის განთესილი. მისი მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული რუსი **პოლინა როდიონოვაა**. ამ ტურნირის ძირითად ბადეში მე-7 ნომრადაა განთესილი სოფიო შაფათავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ცურვა

# ტონუსის ცისფერ ბილიკებზე

დილიდანვე ხალხმრავლობა იყო წყალთა სახეობების სპორტულ ცენტრ „ტონუსში" (გენერალური დირექტორი **სპარტაკ ყიფშიძე**). მოზარდების ჟრიამული ახალისებდა იქაურობას. თვალხატულა გოგო-ბიჭები ცისფერ ბილიკებზე გასასვლელად ემზადებოდნენ, რათა საინტერესო ორთაბრძოლებით აღენიშნათ გულაღმა ცურვის დღე. შეჯიბრებაში 90-მდე ყმაწვილმა მიიღო მონაწილეობა ორ ასაკობრივ ჯგუფში. 7-10-წლიანები 25-მეტრიან დისტანციაზე შეეჯიბრნენ ერთმანეთს, უფროსებმა (11-12 წლის) კი 50 მეტრზე მოსინჯეს ძალები. პირველ ადგილზე გავიდნენ **ანა ზურაბიშვილი, არჩილ ქრისტინაშვილი, ანა იოსელიანი, გიორგი ჩიქობავა, ქეთი გიორგაძე, ნიკა ქორჩილაძე, ანა გალდავა, სოსო რთველიაშვილი** და **ირაკლი ჭარბაძე**.

— დედაჩემი „ტონუსის" თანამშრომელია, — მითხრა შვიდი წლის ანა ზურაბიშვილმა. — სექტემბერში მან მომიყვანა აუზზე. ძალიან მომეწონა. **ცურვაც მალე ვისწავლე. „კროლის"** დღეს ცუდად გამოვედი. ახლა გავიმარჯვე და მიხარია. საჩუქარიც მომცეს...

— შეჯიბრების ყველა მონაწილე სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მეცადინეობს მაღალკვალიფიციური მწვრთნელების ხელმძღვანელობით, — მითხრა გამოცდილმა სპეციალისტმა, „ტონუსის" გენერალური დირექტორის მოადგილემ **გივი ცქიტიშვილმა**. — მოზარდებს მზრუნველობას არ აკლებენ **ზაურ სოფრომაძე, ვაჟა ჩერტკოევი, ირინა მინჟულინა, ლუდმილა კუხიანიძე, გიორგი აბზიანიძე** და **გია მთვრალაშვილი**. ამჟამად ამ ჯგუფებში 250 გოგო-ბიჭი სწავლობს ცურვას. მათთვის მეორე შეჯიბრება გავმართეთ. აპრილში „ბრასის დღეს" ჩავატარებთ. თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ სწორი გეზი გვაქვს აღებული. მართალია, ყველა ბავშვი ჩემპიონი ვერ გახდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისინი ჯანმრთელობას გაიკაჟებენ და სამერმისოდ ცხოვრების ჯანსაღ წესს აირჩევენ.

ის მოზარდები, რომლებიც ორი-სამი წელიწადია, ვარჯიშობენ და კარგი მონაცემებით გამოირჩევიან, სპორტულ ჯგუფში გავაერთიანეთ. 15-მდე ასეთ მოცურავეს გიორგი აბზიანიძე ამეცადინებს.

ალსანიშნავია ისიც, რომ ჩვენთან ვარჯიშობენ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები — პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **ირაკლი რევიშვილი** და **გიორგი მთვრალაშვილი**. ისინი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელსაც ივლისის მიწურულს რომი უმასპინძლებს. აქვე იმაღლებენ ოსტატობას 1994 წელს დაბადებული **ირაკლი შენგელია, დავით სიხარულიძე** და **ირაკლი ბოლქვაძე**. ნორმატივებს თუ შეასრულებენ, ისინი წლეულს 20-24 ივლისს ტამპერეში (ფინეთი) ევროპის ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე მოსინჯავენ ძალებს...

აქვე შევნიშნავთ, რომ გულაღმა ცურვის დღის გამარჯვებულები და პრიზიორები „ტონუსის" ხელმძღვანელობამ დიპლომებითა და სამახსოვრო სუვენირებით დააჯილდოვა.

**ვაჟა დანელია**

ერთიანი ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მაიკლის საამაყო შვილი




ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანის** ვაჟმა - **მარკუს ჯორდანმა** თავის სასკოლო გუნდ "ჩიკაგო უიტნი იანგს" ილინიოსის შტატის ჩემპიონობა მოაპოვებინა. ფინალურ მატჩში უმცროსი ჯორდანის გუნდმა "უოკიგანი" 69:66 დაამარცხა.

მარკუსი 19 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა, გარდა ამისა, ფინალის ბოლო ორ წუთში ჯორდანმა 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და სწორედ მისმა ზუსტმა თამაშმა განაპირობა "უიტნი იანგის" გამარჯვება.

როგორც კი საფინალო სირენა გაისმა, მაიკლ ჯორდანი ფეხზე წამოდგა და თვალზე ცრემლმომდგარი ტაშს უკრავდა თავის ვაჟს. იმ დღეს, NBA-ის ლეგენდამ გამოტოვა "შარლოტ ბობკეტსის" საშინაო მატჩი და შვილის თამაშის სანახავად ჩიკაგოში გაფრინდა. როგორც იცით, მაიკლი "ბობკეტსის" თანამფლობელი გახლავთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ მაიკლის უფროსი ვაჟი - **ჯეფ ჯორდანი** ილინიოსის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობს.

**გია თვალაბეიშვილი**

**ტორონტო-კლიპერსი 100:76**

33:20, 21:20, 23:14, 23:22

ტ: ბოში (16+13 მოხსნა), კალდერონი (15+6 პასი), მერიონი (14+13 მოხსნა), ჯ. გრემი (13), ჯ. პარკერი (10+8 მოხსნა+4 ჩაჭრა).

კ: ზ. რენდოლფი (20+7 მოხსნა), ბ. დეივისი (12), ე. გორდონი (11), ნოვაკი (11).

**ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი 99:89**

27:20, 27:17, 24:21, 21:31

ნ-ო: პოლი (27+8 მოხსნა+8 პასი), დ. უესტი (23+6 პასი), არმსტრონგი (14+11 მოხსნა), რ. ბატლერი (13).

გ-ს: ს. ჯექსონი (22+10 მოხსნა), აზუბუიკე (16+3 ჩაჭრა), ელისი (12), ტურიაფი (11), მაგეტი (11+8 მოხსნა).

**სან ანტონიო-ჰიუსტონი 85:87**

27:22, 20:29, 16:13, 22:23

ს-ა: დანკანი (23), ტ. პარკერი (22+12 პასი), უდოკა (16+7 მოხსნა).

ჰ: არტესტი (24), სკოლა (19+17 მოხსნა+3 ჩაჭრა), იაო მინი (13+8 მოხსნა), ლოური (11).

**ნიუ ჯერსი-კლივლენდი 88:96**

21:27, 17:21, 17:23, 33:25

ნ-ჯ: კარტერი (25+9 მოხსნა), დულინგი (19), ბ. ლოპესი (16).

კ: ლ. ჯეიმსი (30+11 მოხსნა+8 პასი), ილგაუსკასი (18+4 დაფარება), ვარეჟაო (16+11 მოხსნა).

**საკრამენტ-ფილადელფ 100:112**

17:35, 26:34, 31:26, 26:17

ს: გარსია (24), ჰოესი (17+11 მოხსნა+9 პასი), მარტინი (16), ტომპსონი (12+13 მოხსნა), უდრიხი (12+6 პასი), მაკენტსი (10).

ფ: იგუოდალა (27+7 მოხსნა), ტ. იანგი (22), ლ. უილიამსი (18), სპეიტსი (15), გრინი (10).

**მინესოტა-ოკლაჰომა 90:97**

16:26, 23:31, 14:27, 37:13

მ: კ. სმიტი (19+10 მოხსნა), კარნი (15), ბ. ბრაუნი (12), ლავი (10), მ. მილერი (6+10 მოხსნა).

ო: დურანტი (30+8 მოხსნა), ჯ. გრინი (17), უესტბრუკი (7+8 მოხსნა+10 პასი).

**დეტროიტი-მაიამი 96:101**

23:20, 24:23, 26:24, 23:34

დ: სტაკი (24), მაკდაისი (16+12 მოხსნა), პრინსი (14), აფლალო (13).

მ: უეიდი (39+6 პასი+4 დაფარება), მუნი (17+3 დაფარება), ჰასლემი (16), ჯ. ო'ნილი (14).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| დაგენჰემი-ბრენტფორდი | გადაიდო |
| **კონფერენსი** | |
| რედსჰემი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ტრევიზო-გროსეტო | 1:0 |
| სალერნიტანა-ბრეშია | 3:0 |
| **სერია C1/A** | |
| ჩეზენა-პადოვა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 0:1 |
| *თარგამაძემ 75-ე წუთიდან ითამაშა* | |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტრასბური-ანჟერსი | 2:0 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 3:2 |
| **ნორვეგია** | |
| ტრომსიო-რუსენბორგი | 2:4 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| თუნი-კონკორდია | 1:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონიკოსი-ატრომიტოსი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-მანისა | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ტეპლიცე-სპარტა | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| ცსკა-ტომი | 0:1 |
| **უკრაინა** | |
| დინამო-არსენალი | 3:0 |
| *ასათიანს არ უთამაშია* | |
| **ბულგარეთი** | |
| მინიორი-ბელასიცა | 0:3 |
| პირინი-ლოკომოტივი (მ) | 1:2 |
| ბოტევი-ლოკომოტივი (ს) | 0:4 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-ლოკომოტივი | 2:4 |
| დინამო-აკ ბარსი | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-კოშიცე | 0:5 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-ჰპკ | 2:2 |
| პელიკანსი-კიეკო | 2:7 |
| ტპს-იუვიასკიულა | 2:4 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 5:2 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფერიესტადი | 0:6 |
| ჰვ71-ფრიოლუნდა | 1:3 |

რაგბი. ზე 14

# დაუმარცხებელი ლურჯი ხარები



ზე 14 გათამაშებაში მეშვიდე ტურის შეხვედრების შემდეგ დაუმარცხებელი მხოლოდ ერთილა დარჩა. სამხრეთ აფრიკული „ბლუ ბულზი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც შვიდივე შეხვედრაში გაიმარჯვა.

აფრიკელებმა ამჯერად სტუმრად გამართეს შეხვედრა ზელანდიურ „ჰარიკენზთან" და მეტოქე-19:14 დაამარცხეს. პირველი ნახევარი სტუმრებმა მხოლოდ ორი ქულის სხვაობით მოიგეს. **მორნი სტეინის** სამ საჯარიმოს მასპინძლებმა ფულ ბეკის, **ტამატი ელისონის** ლელოთი უპასუხეს, რომელიც პირი ვიპუმ გარდასახა-7:9.

მეორე ტაიმში ბულზებმა გადამწყვეტი უპირატესობა შუამარბ **ჯი პი ნეილის** 57-ე წუთზე გატანილი ლელოს წყალობით მოიპოვეს, რომელიც სტეინმა გარდასახა-19:7. ზელანდიელებმა ანგარისის შემცირება თამაშის ბოლო წუთზეღა შეძლეს. ლელო მეორეხაზელმა **ჯეისონ ეიტონმა** გაიტანა. გარდასახვა ისევ ვიპუს ანგარიშზეა-14:19.

მეორე მარცხი იგემა ავსტრალიურმა „ვორათაზმა" საშინაო მატჩში ტურნირის მოქმედ ჩემპიონ ზელანდიურ „კრუსეიდეზთან"-13:17. შეხვედრის პირველი ტაიმი სტუმრებმა -7:0 მოიგეს. ერთადერთი ლელო 24-ე წუთზე მესამეხაზელმა **კირონ რიდმა** გაიტანა. **სტეფან ბრეტმა** გარდასახა.

ავსტრალიელებმა ანგარიში 47-ე წუტზე გაქვითეს პირველხაზელი **ბენ რობინსონის** ლელოთი, რომელიც **კარტლი ბეილიმ** გარდასახა-7:7. ცხრა წუთში „კრუსეიდერზის" ფულ ბეკმა **ლეონ მაკდონალდმა** გამოიჩინა თავი. როგორც მოგვიანებით გაირკვა მი მიერ გატანილი ლელო გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა ზელანდიური გუნდისთვის. გარდასახვა ამჯერად გარემარბმა **კოლინ სლეიდიმ** გაიტანა, რომლის ანგარიშზე ხუთი წუთით ადრე ერთი საჯარიმო დარტყმაც მოდის-7:17. დარცენილ დროში მასპინზლებმა პასუხი მხოლოდ ბეილის ორი საჯარიმოთი გასცეს-13:17.

წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ, სტუმრად ავსტარალიაში „ფორსი" დაამარცხა სამხრეთ აფრიკულმა „ნატალ შარქსმა". ზვიგენებმა მონინაალმდეგე ყველაფერში დაჯაბნეს და 22:10 გაიმარჯვეს.

**ბესიკ ჯანაგავაძე**

| VI ტური | |
|---|---|
| ჰარიკენზი(ზელ)-ბულზი (ს.აფრ) | 14:19 |
| ჰაილენდერზი (ზელ)-ჩიტაზი (ს.აფრ) | 32:8 |
| ჩიფსი (ზელ)-ბლუზი (ზელ) | 63:34 |
| ვორათაზი (ავსტრ)-კრუსეიდერზი (ზელ) | 13:17 |
| ფორსი (ავსტრ)-შარქსი (ს.აფრ) | 10:22 |
| ლაიონზი (ს.აფრ)-ბრამბიზი (ავსტრ) | 25:17 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბულზი - 22 ქულა, 2. შარქსი - 21, 3. ვორათაზი - 21, 4. ჩიფსი - 17, 5. ბლუზი - 17, 6. ჰარიკენზი - 17, 7. კრუსეიდერზი - 14, 8. ჰაილენდერზი - 13, 9. ბრამბიზი - 13, 10. სტრომერზი - 12, 11. ფორსი - 12, 12. რედსი - 11, 13. ლაიონზი - 10, 14. ჩიტაზი - 2.

**VII ტური**

**27 მარტი**

ბლუზი (ზელ)-ვორათაზი (ავსტრ)

**28 მარტი**

ჰაილენდერზი (ზელ)-ბულზი (ს.აფრ)
კრუსეიდერზი (ზელ)-სტრომერზი (ს.აფრიკა)
რედსი (ავსტრ)-ჩიფსი (ზელ)
შარქსი (ს.აფრ)-ბრამბიზი (ავსტრ)
ლაიონზი (ს.აფრ)-ჰარიკენზი(ზელ)

TV პროგრამა

**24 მარტი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ფეიენოორდი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ფრაიბურგი-ნიურნბერგი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
01:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
05:05 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
06:50 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**EUROSPORT**

11:30 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-შვედეთი. ჩრ. კორეა (LIVE).
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
14:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
15:00 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-შვედეთი. ჩრ. კორეა (LIVE).
17:30 მულტისპორტი.
17:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - კრისტიანო რონალდო.
18:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
18:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მას-სტარტი. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - არიენ რობენი.
21:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მას-სტარტი. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
23:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ჰელსინკი. ფინეთი.
00:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. აუცილებელი ცეკვა. ლოს ანჯელესი. აშშ (LIVE).
03:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
04:00 არმრესტლინგი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ავსტრალია.
12:00 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. იტალია.
15:30 ახალი ამბები.
15:45 სერფინგი. ავსტრალია.
16:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. იტალია.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
17:45 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-აელ.
18:45 კარომი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. იტალია.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. ავსტრალია.
23:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-აელ.
00:00 მოტოფრისტაილი. ბერლინი. გერმანია.
01:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალია-ირლანდია.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ავსტრალია.

დოპინგი

# ციხე დოპინგის გავრცელებისთვის

ავსტრიის ბიატლონისტთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ვალტერ მაიერი** პოლიციამ დააკავა. სკანდალურად ცნობილი სპეციალისტი დოპინგის გავრცელებაშია ეჭვმიტანილი. პოლიციას ეჭვი აქვს, რომ მაეირი აკრძალული პრეპარატით - ერითროპოეტინით ამარაგებდა ავსტრიელ ველომრბოლს, რომლის გვარიც არ სახელდება. ეს ველომრბოლი 13 მარტს დააპატიმრეს.

ავსტრიის პროკურატურის ოფიციალური წარმომადგენლის **გერჰარდტ იაროშის** სიტყვებით, ველომრბოლი აკრძალული პრეპარატის კონტრაბანდის მცდელობის გამო დააკავეს. იაროშმა განაცხადა, რომ სპორტსმენი ავსტრიის ერთ-ერთი წამყვანი ველომრბოლია. ის 32 წლისაა. პროკურატურამ მისი ერთ-ერთი ინიციალიც გაამხილა - ასო K.

გარდა ამისა, სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს ფარმაკოლოგი, რომლისგანაც, სავარაუდოდ, ვალტერ მაიერმა ერითროპოეტინი მიიღო. 2008 წლის აგვისტოში ავსტრიის კანონმდებლობაში შეიტანეს შესწორება, რომლის მიხედვითაც იმ პირებს, რომლებსაც დამნაშავეებად აღიარებენ აკრძალული პრეპარატების შენახვასა და ტრანსპორტირებაში, ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

2003 წელს, მაიერი სპორტსმენებისთვის სისხლის გადასხმის ორგანიზებისთვის იქნა დისკვალიფიცირებული. 2006 წელს, ის კერძო პირის სტატუსით ჩავიდა ტურინის ოლიმპიადაზე და ზამთრის თამაშების მთავარი დოპინგსკანდალის გმირი გახდა. მაშინ, აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხილეს ავსტრიელი ბიატლონისტები **ვოლფგანგ პერნერი** და **ვოლფგანგ როტმანი**.

მოგვიანებით, ქვეყნის ბიატლონის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ მაიერს არანაირი კავშირი არ ჰქონდა იმ დოპინგსკანდალთან.

**გია თვალაბეიშვილი**

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ნიუ ჯერსი 4:1**

1:0, 3:1, 0:0

გოლები: 1:0 რაიდერი-25 (რეკი-33, სავარი-55), 2:0 კობესიუ-18 (პ. ბერჟერონი-27, რეკი-34), 3:0 სავარი-23 (ჩანეიკი-15, რაიდერი-22), 3:1 ჯ. გრინი-2 (ლანგენბრუნერი-38, პარიზე-47), 4:1 ლუჩიჩი-14 (კესელი-23, მ. სტიუარტი-10).

**პიტსბურგი-ფილადელფია 1:3**

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 საიმონ განიე-29 (ნუბლი-19, ჟირუ-13), 0:2 ჰარტნელი-27 (ჯ. კარტერი-33, ბრიერი-5), 1:2 ლეტანგი-8 (კროსბი-67, მალკინი-72), 1:3 პოუ-5 (ჰარტნელი-28, პარენტი-3).

**ანაჰაიმი-ფინიქსი 6:2**

2:0, 1:2, 3:0

გოლები: 1:0 ს. ნიდერმაიერი-12 (პრონგერი-33, სელიანე-21), 2:0 პაროსი-5 (კრისტენსენი-18, მ. ბრაუნი-2), 2:1 პრუხა-5 (დოუნი-36, ზ. მიხალეკი-19), 3:1 პერი-24 (გეტცლაფი-54, ბ. რაიანი-22), 3:2 დოუნი-28, 4:2 გეტცლაფი-22 (ს. ნიდერმაიერი-36, პრონგერი-34), 5:2 გეტცლაფი-23 (პრონგერი-35, ს. ნიდერმაიერი-37), 6:2 ებეტი-6 (ვიშნიევსკი-13, რაიან უიტნი-15).

**ჩიკაგო-ლოს ანჯელესი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

გოლები: 1:0 შარპი-24 (კეიტი-31), 2:0 პავლატი-23 (შარპი-16, კეიტი-32), 2:1 დოუტი-6 (ჯ. ჯონსონი-4, კალდერი-17), 3:1 შარპი-25 (ტეუვზი-32), 4:1 პავლატი-24 (ლედი-29, კეიტი-33).

**მინესოტა-ედმონტონი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 ნოლანი-21 (ფრიტშე-7, ბუშარი-29), 2:0 ნოლანი-22 (შეპარდი-13, იონსონი-21), 3:0 ვეილო-13.

**რეინჯერსი-ოტავა 1:2**

1:0, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 დუბინსკი-9 (კელეჰანი-14, ეივერი-10), 1:1 კომრი-10 (ფილიპსი-15, კამპოლი-17), 1:2 შენონი-5 (ფოლინი-11, ფიშერი-17).

**სან ხოსე-კოლორადო 3:1**

0:0, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 მაკგინი-3 (სემიონოვი-6, ვლას ჩი-27), 1:1 ჰენანი-1 (ვოლსკი-26, ჰეიდუკი-29), 2:1 პ. მიხალეკი-22 (სემიონოვი-7, პაველსკი-31), 3:1 სეტოგუჩი-27 (მ. მიხალეკი-30, ვლასიჩი-28).

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ნადალის მე-13 მასტერსი



ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სამართლიანად ფლობს მამაკაცთა ტურის საუკეთესო ჩოგბურთელის სტატუსს.

რაფა ნამდვილ უნივერსალად ჩამოყალიბდა და მისთვის უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, კორტის რომელ საფარზე უწევს თამაში. ჰარდზე ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ, ნადალმა ამჯერად ინდიან უელსის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურნირზე იმარჯვა. მან ფინალში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო ბრიტანელ **ენდი მიურეის**, რომელმაც წინა წრეში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** გამოთიშა ბრძოლას.

ფინალმა გულშემატკივართა მოლოდინი ვერ გაამართლა. ნადალისგან ასეთ იოლ გამარჯვებას არავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ წელს მას უკვე ორი მატჩი ჰქონდა წაგებული მიურეისთან.

გუშინდელი ფინალი საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. ესპანელს ერთი შეცდომაც არ დაუშვია საკუთარ მოწოდებაზე, თავად კი ხუთჯერ აილო მეტოქის გეიმი. მატჩის შემდეგ ესპანელმა აღიარა, რომ არ მოელოდა ფინალში ასეთ კარგ თამაშს. შოტლანდიელს ხანდახან გამოსდიოდა ლამაზი გათამაშებები, ოვაციასაც ხშირად იმსახურებდა, მაგრამ ყველა მნიშვნელოვანი ქულა ნადალს ერგო.

ორივე სეტი ერთნაირი სცენარით წარიმართა. თავიდან ენდი თანაბარ ბრძოლას უმართავდა მეტოქეს, შემდეგ კი ნადალი უპირატესობას იღებდა და ერთ გეიმსაც არ უთმობდა მოწინააღმდეგეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბრიტანელს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია, გარდა ამისა, ბადესთან საშინლად ითამაშა - 17-დან 10 ქულა დათმო.

ნადალმა ამ სეზონში მეორე ტურნირი მოიგო და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა იმავე მიურეის, აგრეთვე **ჟო-ვილფრიდ ცონგას, ტომი რობრედოს, რადეკ შტეპანეკსა** და **მარინ ჩილიჩს**. თუმცა ეს ჩოგბურთელები თავიანთი წარმატებებით ესპანელთან ვერ მივლენ, რადგან რაფამ ავსტრალიის ღია პირველობა და სეზონის პირველი მასტერსი მოიგო.

სულ კი კარიერაში მსოფლიოს პირველ ჩოგანს 33 ტიტული დაუგროვდა. აქედან 13-ჯერ რაფამ მასტერსის სერიის ტურნირებში იმარჯვა. რაც მთავარია, ესპანელმა უმაღლესი სარეიტინგო ქულები მიიღო და რეიტინგში კიდევ უფრო მეტად ჩამოიტოვა როჯერ ფედერერი.

გამარჯვების შემდეგ ესპანელმა განაცხადა: *"დღეს თამაშისთვის ურთულესი პირობები იყო. ჩემი აზრით, ქარიან ამინდში ზუსტი ტაქტიკა შევარჩიე და კარგი შეხვედრა ჩავატარე. შესაძლოა, ენდიმ ვერ ითამაშა თავისი საუკეთესო ჩოგბურთი, მაგრამ მე თავიდან ბოლომდე კონცენტრირებული ვიყავი და კორტზე უკეთ ვმოძრაობდი"*.

მიურეიმ კი 2007 წლის აგვისტოდან მოყოლებული, ყველაზე გამანადგურებელი მარცხი იწვნია. მაშინ მან ცინცინატის მასტერსის პირველ წრეში ანალოგიური ანგარიშით წააგო კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისთან**. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წელს ეს იყო მიურეის მეორე წაგება. ამასთან, ბრიტანელი პირველად დამარცხდა რეიტინგის ტოპათეულის წევრთან.

■ ■ ■

ქალთა შორის ტურნირის ტრიუმფატორი გახდა რუსი **ვერა ზვონარევა**, რომელმაც კარგად გამოიყენა ინდიან უელსში დები **უილიამსების** არყოფნა და კარიერაში პირველად მოიგო ასეთი დონის ტურნირი.

ფინალში ზვონარევას მეტოქე სერბი **ანა ივანოვიჩი** იყო, რომელიც თითქმის ერთი წელი ვერ ახერხებდა ჩვეული თამაშის ჩვენებას. ამიტომაც, ივანოვიჩს ფინალში გასვლა წარმატებად ჩაუთვალეს, თუმცა გადამწყვეტ მატჩში ანამ მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა მეტოქეს.

პირველ პარტიაში ყველაფერი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, სადაც უფრო მეტი იღბალი რუსის მხარეს იყო და მან შემოკლებული გეიმი 7:5 მოიგო.

მეორე სეტში კი ბრძოლა არ შედგა და ზვონარევამ მხოლოდ ორი გეიმის მოგების საშუალება მისცა ივანოვიჩს.

აღსანიშნავია, რომ ზვონარევა ინდიან უელსის ტურნირის ორმაგი ლაურეატი გახდა - ერთეულთა თანრიგის გარდა, მან წყვილებშიც მთავარი პრიზი მოიპოვა. აქ მისი პარტნიორი ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** იყო.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:1, 6:2.

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 4)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 5) 7:6(5), 6:2.

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 14 990 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 10 910 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 8 420 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 850 |
| 5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 4 735 |
| 6(7). ენდი როდიკი (აშშ) | 4 610 |
| 7(6). ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 4 470 |
| 8(8). ჟილ სიმონი (საფ) | 3 930 |
| 9(10). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 590 |
| 10(9). გაელ მონფილსი (საფ) | 3 550 |
| 11(11). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 195 |
| 12(12). დავიდ ფერერი (ესპ) | 3 045 |
| 13(17). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2 850 |
| 14(13). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2 785 |
| 15(14). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2 735 |
| 16(15). ტომი რობრედო (ესპ) | 2 730 |
| 17(16). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 540 |
| 18(19). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 515 |
| 19(18). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 2 470 |
| 20(21). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 270 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 2 182 160 |
| 2. ენდი მიურეი (ბრიტ) | 953 937 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 929 073 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 874 900 |
| 5. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 641 154 |
| 6. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 412 004 |
| 7. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 388 990 |
| 8. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 382 457 |
| 9. ტომი რობრედო (ესპ) | 381 705 |
| 10. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 370 258 |
| 11. მარდი ფიში (აშშ) | 361 235 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპ) | 344 784 |
| 13. გაელ მონფილსი (საფ) | 332 387 |
| 14. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 328 136 |
| 15. ჟილ სიმონი (საფ) | 299 437 |
| 16. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 286 729 |
| 17. რიშარ გასკე (საფ) | 221 625 |
| 18. ბობ ბრაიანი (აშშ) | 206 077 |
| 18. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 206 077 |
| 20. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 196 457 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 9 432 |
| 2(2). დინარა საფინა (რუს) | 9 121 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 7 985 |
| 4(4). ელენა დემენტიევა (რუს) | 7 671 |
| 5(6). ვერა ზვონარევა (რუს) | 7 090 |
| 6(5). ვენუს უილიამსი (აშშ) | 6 842 |
| 7(7). ანა ივანოვიჩი (სერ) | 5 184 |
| 8(8). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 4 308 |
| 9(9). ნადია პეტროვა (რუს) | 3 762 |
| 10(11). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3 760 |
| 11(10). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 468 |
| 12(13). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 320 |
| 13(12). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 221 |
| 14(14). ალიზე კორნე (საფ) | 3 061 |
| 15(15). ფლავია პენეტა (იტა) | 3 050 |
| 16(16). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 685 |
| 17(17). ჟიე ჟენგი (ჩინ) | 2 501 |
| 18(18). პატი შნიდერი (შვეიც) | 2 497 |
| 19(21). კაია კანეპი (ესტ) | 2 330 |
| 20(20). ამელი მორესმო (საფ) | 2 304 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 666 697 |
| 2. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 156 913 |
| 3. დინარა საფინა (რუს) | 814 278 |
| 4. ვენუს უილიამსი (აშშ) | 562 822 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუს) | 494 508 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერ) | 430 367 |
| 7. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 419 797 |
| 8. ვირჟინ რაზანო (საფ) | 245 004 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 217 142 |
| 10. ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 195 322 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 187 432 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 176 717 |
| 13. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 172 534 |
| 14. კაია კანეპი (ესტ) | 164 459 |
| 15. აი სუგიამა (იაპ) | 163 842 |
| 16. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 156 224 |
| 17. კარლა სუარესი (ესპ) | 151 934 |
| 18. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 151 400 |
| 19. ხისელა დულკო (არგ) | 147 686 |
| 20. ა. მედინა გარიგესი (ესპ) | 145 836 |

# ჩინელებს აღარ დაჩაგრავენ

ჩინეთის მთავრობამ თავისი ჩოგბურთელების მიმართ მეტად საგულისხმო და დიდსულოვანი ნაბიჯი გადადგა. მოთამაშეებს ტურნირებზე გამომუშავებული თანხის 92 პროცენტის თავის სარგებლობაში დატოვების უფლება მისცეს. გარდა ამისა, მცირდება მთავრობის მხრიდან ჩოგბურთელებზე კონტროლი. სულ მალე, ანალოგიური დათმობები სპორტის სხვა სახეობის ათლეტებზეც გავრცელდება.

ჩინეთის ჩოგბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სააგენტო "როიტერთან" საუბარში განაცხადა: *"მიღებული გადაწყვეტილება ჩოგბურთელებს საშუალებას მისცემს, თითქმის ასი პროცენტით დაიტოვონ ტურნირებზე მიღებული თანხები. გარდა ამისა, მათ უფლება ექნებათ, თავად აირჩიონ პირადი მწვრთნელი. აქ ლაპარაკია ისეთ ჩოგბურთელებზე, როგორებიც არიან ჟიე ჟენგი, ნა ლი, იან ცზი და შუაი პენგი"*.

ადრე, ჩინელ მოთამაშეებს საპრიზო თანხის 35 პროცენტს უტოვებდნენ, სამაგიეროდ, ჩოგბურთელთა ტურნირიდან ტურნირებზე მოგზაურობას ჩოგბურთის ასოციაცია აფინანსებდა. ახლა, წამყვანი ჩინელი სპორტსმენები ყველა ხარჯს საკუთარი ჯიბიდან ანაზღაურებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ელენამ ცუდი ფორმის მიზეზები გაამხილა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ელენა იანკოვიჩმა** აღიარა, რომ ოჯახური პრობლემები მას ჩოგბურთზე კონცენტრაციის საშუალებას არ აძლევს.

*"ბოლო დროს, დედაჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და ამის გამო სერიოზულად ვიყავი შეშფოთებული. რა თქმა უნდა, ამან გავლენა იქონია ჩემი თამაშის ხარისხზე"*, - განაცხადა სერბმა ჩოგბურთელმა. ელენამ დაამატა, რომ ავადმყოფობის მიუხედავად, დედამისი მაინც ჩავიდა ინდიან უელსში ქალიშვილის საქომაგოდ.

*"რამდენიმე ღამე საერთოდ არ მიძინია, რადგან დედას მუდმივად ჩემი დახმარება სჭირდებოდა. დიახ, დღეს ჩემს თამაშში კრიზისის პერიოდი დგას, მაგრამ ჩოგბურთი - მხოლოდ სპორტია, ცხოვრებაში კი გაცილებით მნიშვნელოვანი რაღაცები არსებობს. ერთადერთი, რაც ნამდვილად მაღელვებს, ჩემი ოჯახის წევრები არიან"*, - ამბობს იანკოვიჩი.

სერბის სიტყვებით, მას სჯერა, რომ ადრე თუ გვიან ისევ შეძლებს ჩვეულ სტილში თამაშს: *"იმედი მაქვს, ყველაფერი*



*მოგვარდება. ბევრი ადამიანი მეკითხება, თუ სად გაქრა ჩემი საფირმო ღიმილი. ერთადერთი ამის თქმა შემიძლია - ჩემი ღიმილი მალე დაბრუნდება. მე ამის მჯერა"*.

# როჯერი მონაკოში არ ჩავა

სააგენტო "როიტერის" ცნობით, მსოფლიოს მეორე ჩოგანი **როჯერ ფედერერი** მონაწილეობას არ მიიღებს მონტე კარლოს "მასტერსში", რომელიც მომავალ თვეში გაიმართება. *"როჯერმა ცოტა ხნის წინ გვაცნობა, რომ სათიხნარო სეზონის გრაფიკში ცვლილებები შეიტანა და ამის გამო არ ჩამოვა მონაკოში სათამაშოდ"*, - განაცხადა მონტე კარლოს ტურნირის დირექტორმა **ზლიტკო ფრანკულოვიჩმა**. ამ უკანასკნელის სიტყვებით, მონაკოს "მასტერსის" სამგზის ფინალისტს შეუძლია ბოლო მომენტში მოითხოვოს ტურნირის უაილდ-ქარდი.

მონტე კარლოს "მასტერსში" (11-19 აპრილი) მონაწილეობა დაადასტურა **რაფაელ ნადალმა**. ესპანელმა ეს ტურნირი ზედიზედ ოთხჯერ მოიგო და წელს მეხუთე ტიტულს უმიზნებს. შარშანდელ ფინალში რაფამ სწორედ ფედერერი დაამარცხა - 7:5, 7:5.

სხვათა შორის, ფედერერის მსგავსად, მონაკოში თამაშს არ აპირებს ATP-ის ტოპათეულის კიდევ ერთი წევრი - ამერიკელი **ენდი როდიკი**.

